



# როლანდი



E-mail: r.jalagania@mail.ru

E-mail: roland.jalagania@mail.ru

№351 (410) 16-23 თებერვალი 2016 წელი სხვალხო მოძრაობა „სამებროლოს“ ორბანო 30 თემოტი

სირსხვილი ის კი არ არის, რომ მებროლოდ ლაპარაკობან, არამოდ ისაა, რომ დანარჩენბა ქართველებბა არ ვიხით მებროული ენა – აააკი შანიბა

**ალექსანდრა  
ჭაჭია:**  
არ ვიცი, კიდეც რა  
უნდა მოხდეს საქართ-  
ველოში ისეთი, რათა  
დავრწმუნდეთ, რომ  
გზა, რომელიც საქარ-  
თველოს ხელისუფლე-  
ბამ შევარდნაბის  
დროიდან აირჩია,  
არის დამღუპველი

**გვ. 82**



**ზაურ ნაჭყებია:**  
**ვინ დაეოქა „მაცასო“ და  
დაკანონდება თუ არა სოლო-  
გოგორის სოღვა  
საქართველოში?!**

საქართველოს პარლამენტის მიერ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებისთანავე ვწერდი, რომ ამ გადაწყვეტილებას უახლოეს ხანებში ერთსქესიანთა ქორწინების, ხოლო შემდგომ კი, ერთსქესიანთა მიერ შვილის აყვანის უფლების დაკანონების მოთხოვნა მოყვებოდა.

**გვ. 84-7**

**სვატოვლუკ  
ჩინი:  
მოგზაურობა  
კავკასიაში  
თარგმანი  
ალ. კაკულიასი**

**გვ. 83.5**

**სისოხსლეშივე უკვდავბად  
და ლებენდად ქცეული –  
მამანტი ძაძამიას დაბადების  
75-ე წლის საიუბილეო  
ღონისძიების მოხსენებიდან**

**გვ. 83.10**

**იზა თამაზაშვილი:  
რუსეთი  
დემოტრაკიულ  
დასავლეთში არავის  
შეეშალოს!**

**გვ. 83.8**



**კონსტანტინე  
კაკანელი  
(ჭანბურაია):  
რენესანსი  
ლიტერატურაში**

**გვ. 83.3**

რუსთაველის აზრით, ცხოვრება დაუნდობელია: “იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია”. რუსთაველი სრულყოფით არ ფიქრობს, რომ ცხოვრება კმაყოფილება და ბედნიერებაა; პირიქით, “კარგი რა მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია”

**გვ. 83.3**

**ანავანი დო ვაჟა უვიცობავ,  
ქედდადრაკილთა  
აზროვნებავ, უხვალდლო-  
ბისკან თავაწყვეტილო  
ფენაწყობავ და ჯოგურო  
თვითკმაყოფილებავ!..**

**გვ. 83.2**



**გვ. 83.9**  
**რას  
ვჭამთ?  
ანუ, პური  
მტერი და  
პური  
მარბებელი!**

**რევაზ ბულიას  
ბამოსათხოვარი...**  
ჩხონაფილო ქოხოვედათ ჩქი-  
მი ოღოროფე პატგნი რეხო...

# ალექსანდრა ქაჩია: არ ვიცი, კიდევ რა უნდა მოხდეს საქართველოში ისეთი, რათა დავრწმუნდეთ, რომ გზა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ შევარდნაძის დროიდან აირჩია, არის დამღუპველი

დაიბეჭდა გაზეთში „ასავალ-დასავალი“, №11 (756), 16-22 მარტი 2009 წელი

– ბატონო ალექსანდრე, საქართველოში აქტიურად მიდის საუბარი იმის შესახებ, რომ რუსეთისგან მოსალოდნელია ახალი აგრესია. ეს დადასტურა რუსმა ექსპერტმა ფელგენგაუერმაც. თქვენი აზრით, მოსალოდნელია თუ არა ისევე იქნება?

– ჩვენი უბედურება ის არის, რომ ფელგენგაუერისნაირი ექსპერტებს ვუსმენთ და არასწორი დასკვნები გამოგვაქვს. რა იცის მან, რა იგუვება რუსეთის გენშტაბში? მე ვერ ვხედავ ვერანაირ მიზეზს საომარი მოქმედებების დაწყებისათვის. რუსეთს დღეს არავითარი მოგება აქვს არც კენება. არის მოსახრება, რომ შეიძლება ომის პროვოცირება მოახდინოს საქართველოს ხელისუფლებამ იმისათვის, რომ ქვეყნიდან გაძევებულ იქნას არა ქართველი ხალხის, არამედ რუსული ჯარის მიერ და ამით მოიპოვოს წამებული, ძალით გაგდებული მთავრობის სტატუსი.

სხვა მხრივ, ომის განახლების მიზეზი არ არსებობს. ოსეცა და აფხაზეთმა თავიანთი საქმე გააკეთეს. როგორც აფხაზეთიდან ვიცი, იქ ნახევრად ხუმრობით ამბობენ, ორ კაცს უნდა დავეუდგათ ძველი – ვლადისლავ არბინძას და მიხეილ სააკაშვილს. მათ სწორედ სააკაშვილის საშუალებით მიადვილეს იმას, რასაც მხოლოდ ოცნებაში თუ წარმოდგენდნენ.

– ომის განახლების მიზეზად სახელდება ის, რომ რუსეთმა საქართველოში თავის საბოლოო მიზანს ვერ მიადწია...

– მიზანს აფხაზეთმა და ოსეცამ რომ მიადწიეს, ეს ფაქტია. რაც შეეხება იმას, მიადწია თუ არა რუსეთმა თავის მიზანს, რუსეთს არც ის ჰქონდა გამოზნული, რაც ავტონომია მოსწავდა, მათი სურვილი სააკაშვილის ჩამოგდება და დაპატიმრება რომ ყოფილიყო, არ განერქობოდნენ თბილისთან და ამაში ვერაფერი შეუშლიდათ ხელს.

– არბილში მედვედევისა და ობამას შეხვედრა იგეგმება. შეიძლება წინასწარი პროგნოზი, რა დათმობებზე შეიძლება წავიდეს ამერიკა რუსეთის წინაშე საქართველოსთან მიმართებაში?

– მე სულ ვამბობ, რომ დასავლეთი რუსეთს საქართველოს დაუთმობს მაშინ, როდესაც მას დასჭირდება, ისე, როგორც

გაკეთა ეს 1921 წელს. ჩვენ გამოგვიყენებენ და პირისპირ დავეტოვებენ მტრულად განწყობილ რუსეთთან. ამაში ჩვენ უკვე დავრწმუნდით ავტონომიაში და კვლავაც დავრწმუნდებით მომავალში.

რაც შეეხება ობამას და მედვედევის შეხვედრას, დღეს ამ ორ სახელმწიფოს შორის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ამოცანები დგას, ვიდრე საქართველო. მაგალითად, ეკონომიკური კრიზისი. ასევე აქტიურია ირანის პრობლემა, ახლო აღმოსავლეთი. და მაინც, უპირველესი თავის ტიპიელი ამერიკისათვის არის ავღანეთი. ამერიკისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრის დროს ამ საკითხებზე იქნება საუბარი და საქართველოს თემა შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც ერთ-ერთი არგუმენტი ამ დიდ ვაჭრობაში. საბოლოოდ ვაჭრობა იმით დასრულდება, რომ საქართველო იქნება მიტოვებული. მე ამაში დარწმუნებული ვარ. ახლა მოხდება ეს თუ მოგვიანებით, ამას მნიშვნელობა არა აქვს.

ახლა კიდევ ერთი დიდი საფრთხე დგას ჩვენი ქვეყნის წინაშე. უახლოეს მომავალში შეიძლება შექმნას ახალი ტერიტორიული პრობლემა. ეს არის თურქეთის თემა, კერძოდ, ყარსის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული თემა.

– რამით ახალი ინფორმაცია გაქვთ აღნიშნულთან დაკავშირებით?

– ადრე ვთქვი, რომ არის საშიშროება, თურქეთმა მოითხოვოს აჭარის რეალური ავტონომიის აღდგენა. ახლა სერიოზული საუბარი და მოლაპარაკებები მიდის იმის თაობაზე, რომ რუსეთმა უარი თქვას ყარსის ხელშეკრულების გარანტიის როლის შესრულებაზე. ასეთ შემთხვევაში აჭარა ძალიან სახიფათო მდგომარეობაში აღმოჩნდება. გასული წლის აგვისტოში თურქეთის პრემიერი ერდოღანი ვიზიტით გახვდათ მოსკოვში, საუბარი იყო ამ თემაზე და მაშინ ცოტა იმედგაცრუებული წავიდა, მაგრამ ერთი თვის წინათ ისევ იყო ჩამოსული და გაიმართა სერიოზული მოლაპარაკება. არ ვიცი, იყო თუ არა საუბრის დროს რამე პირობა რუსეთის მხრიდან, მაგრამ ფაქტია, რუსეთის საგარეო საქმეთა უწყებამ თურქეთს ოფიციალურად შეატყობინა, რომ არ არის გამორიცხული, რუსეთმა უარი თქვას ამ ხელშეკრულების გარანტიის როლის შესრულებაზე. ამას სავალალო შედეგ

გი შეიძლება მოჰყვეს ჩვენი ქვეყნისთვის.

როდესაც მე წლების წინ ვამბობდი, თუ სასწრაფოდ არ მივიდებოდი ზომებს, აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დაეკარგათ-მეთქი, მეუბნებოდნენ, ამერიკა ამას არ დაუშვებსო. როცა მე ვამბობდი, რომ არ შეიძლება, ჩვენი სამხედრო ძალა შევიდეს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, რადგან რუსეთი შევა და დაიცავს მათ-მეთქი, მეუბნებოდნენ, რომ ეს შეუძლებელია, რუსეთს არავინ აპატიებს სხვა სახელმწიფოში ჯარის შეყვანასო. როდესაც ეს მოხდა და მიემართე სააკაშვილს, სასწრაფოდ შეეწყვიტა ომი და გასულიყო მოლაპარაკებაზე რუსეთთან, მითხრეს, რა დროს მოლაპარაკებააო. როდესაც დავმარცხდი და სამაჩაბლოდან წამოვედი, ისევ მიემართე ხელისუფლებას, სასწრაფოდ უნდა შედგეს მოლაპარაკება, რომ რუსეთმა არ ცნოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა-მეთქი. საერთაშორისო თანამეგობრობა ამას არ დაუშვებს და რუსეთი ამას ვერ გაბედავსო. – იყო პასუხი. როდესაც ხსენებდით, ისევ მიემართე ხელისუფლებას, რომ საჭირო იყო მოლაპარაკება, რათა რუსეთს არ დაეწყო ამ ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების განლაგება. პასუხად ისევ მივიღე, ამერიკა ამას არ დაუშვებსო. დღეს გვეოთხებოდა, ვეფლავფერი ეს ხომ მოხდა? დღეს მე ასევე სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, ვეფლავფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ აჭარისა და აფხაზეთის, ასევე შიდა ქართლის ახერხებულ მოსახლეობით დასახლებული რეგიონების გარშემო არ დაეშვათ სიტუაციის გართულება.

კიდევ ერთ ინფორმაციას მოგაწოდებთ, მარნეულში იქმნება ძალიან რთული სიტუაცია. ანკარაში ჩატარდა საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელთა შექვეყნებული საბლემის საერთაშორისო ფორუმი, სადაც პირდაპირ იყო საუბარი კონფედერაციის შექმნაზე, მოითხოვენ, რომ ეს არის მათი უფლება და ეს უფლება უნდა იყოს უზრუნველყოფილი. მოგახსენებთ, თუ რუსეთმა უარი თქვა ყარსის ხელშეკრულების გარანტიის როლის შესრულებაზე და თუ ჩვენ დავრჩით თურქეთის ხელში, თურქეთი არა მხოლოდ აჭარას მიხედავს, არამედ მხარს დაუჭერს საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების მოთხოვნებსაც.

არ ვიცი, კიდევ რა უნდა მოხდეს საქართველოში ისეთი, რათა დავრწმუნდეთ, რომ გზა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ შევარდნაძის დროიდან აირჩია, არის დამღუპველი.

– ბატონო ალექსანდრე, აპრილში ოპოზიციის ნაწილი მასობრივი საპროტესტო აქციებისთვის ემზადება, ხელისუფლება ამბობს, რომ ეს შეიძლება რუსეთის მიერ ინსპირირებული იყოს ან რუსეთმა გამოიყენოს. დასაშვებად მიგაჩნიათ ასეთი რამ?

– არ ვიცი, რისთვის არის საჭირო ხელისუფლების შეცვლა, თუ არ შეიცვლება პოლიტიკური კურსი, თუ ხელისუფლებაში არ მოვა დამოუკიდებლად მოახროვნე ეროვნული ძალა, რომელსაც შეუძლია ავღანეთის ურთიერთობები რუსეთთან. ეს არის ამერიკის მიერ მართული ოპოზიცია და თუ დღეს ისინი ცალ-ცალკე დგანან, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ, როგორც ჩანს, ამერიკიდან ჯერ კიდევ არ არის ერთმნიშვნელოვანი მითითება სააკაშვილის შეცვლის თაობაზე.

რუსეთი ამ საშინაო კინკლაობაში არ ჩაერევა. საერთოდ, ჩვენმა პოლიტიკოსებმა და ანალიტიკოსებმა უნდა დაანებონ თავი იმის მტკიცებას, რომ ვეფლავფერის უკან რუსეთი დგას. უკვე იქამდე მივიდა პოლიტიკური საზოგადოების ნაწილი, რომ სააკაშვილს კრემლის აგენტად აცხადებენ და ამბობენ, რომ იგი პუტინის მითითებით მოქმედებს.

– ამ კვლევას დაეხმოს საქართველოს მთელი რიგი სტრატეგიული ეკონომიკური ობიექტების რუსეთისთვის გადაცემა.

– საქმე იმაშია, რომ საქართველოს ეკონომიკურ ობიექტებში ფულის გადახდელი არაფერია არის, გარდა რუსი ბიზნესმენებისა, რომელთაც მართლაც აქვთ ეკონომიკური ინტერესები საქართველოში. ამ ხელისუფლებისთვის კი მთავარია ფული, თუმცა, მე იმაშიც არ ვარ დარწმუნებული, რომ ყოველივე ამის უკან რუსი ბიზნესმენები კი არა, თავად ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები არ დგანან. ასე რომ, ვეფლავს ვურჩევ, თავი დაანებოს რუსეთის აგენტებზე და ახალ აგრესიაზე საუბარს და მიხედოს იმ პრობლემებს, რომელიც საქართველოს წინაშე რეალურად დგას!

ესაუბრა თბა ასათიანი

## ახალი ღო ვაპა უპირობავ, კედლაქიკილთა აზროვნება, უხვალდყოფისკენ თაპანყვიპილო ფახანყოპა და ჯოგურო თპითქაყოფილბაპა...

**(გაგრძელება წინა ნომრიდან)**  
აქედან გამომდინარე, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საკითხების განუწყობილად დღეს ჩვენთან მოსაქმისანე ნამდვილი ხელისუფლების რიტორიკას საფუძვლად უდევს სწორედ აფხაზეთის შესახებ ცარიზმის მიერ ფალსიფიცირებული მიზნობრივი ეთნოლოგია.

ასე მაგალითად: 2014 წლის 26 ნოემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ანექსიასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ **“რუსეთსა და აფხაზეთს შორის გაფორმდა ხელშეკრულება”**.

ასეთი ფორმულირება **“რუსეთ-აფხაზეთი...”** ამ საკითხების ნიუანსებში გაურკვეველ მსოფლიოს არ ეუბნება, რომ

1. ე. წ. აფხაზეთის რესპუბლიკა გახლავთ ჩრდილო-დასავლეთ საქართველო, იგი არ არის ქართულ სახელმწიფოში ხელოვნურად შემოშვებული არაქართული ქვეყანა;

2. ეს ხელშეკრულება გაფორმდა 1992-93 და მომდევნო წლებში ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში აგრესიული სეპარატისმის მიერ განხორციელებული გენოციდის, ეთნიკური წმენდისა და ხალხის დამსჯელი სხვადასხვა დონისიბების შედეგად, უფრო მეტიც, ასეთი მორიგი დივერსია განხორციელდა მშობლიური საცხოვრისიდან სიკვდილის მუქარით გამოძევებული 360 ათასი აქაური ქართველის, აფსუას, ბერძნის, რუსის და სხვა ეროვნების დაუკითხავად და მათ ზურგს უკან.

ამ შემთხვევაში ჩასაფრებული კი არა (ეს სულმოკლეა და ქვეყნის ორგულთა თვისებაა), ანაბანჯვით, თანატყვილით, ჭირისუფლისა და გულშემატკივრის კეთილმოსურნეობით მიწა ვეთანანანგრო ქვეყნის პრემიერ-მინისტრს და ავეხსნა, რომ: აფხაზეთის საკითხზე კვლავ და კვლავ სეპარატისტთა ტერმინოლოგიით გამოყვინდა საუბარი მას მანამდეც, ბრიუსელში, ნატოს გენერალურ მდივანთან ეინ სტოლტენბერგთან შეხვედრისას (17.11.2014 წ.).

კიდევ უფრო მცდარი, წინაუხედავი და დანაშაულებრივი იყო მთავრობის ყოფილი მეთაურის განცხადება (16.11.2014 წ.), ტელ-

ეგდაცემა **“კურიერში”**, როდესაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) სეპარატისტთა მიერ საგანგებოდ კონსტრუირებული და მოთადარიგებული ეთნოკრატისმა თუ აგრესორ-სეპარატისტების ძირ-ამოთხრელობას ქართველი ერისა და აფსუას ხალხის (მათთან ერთად აფხაზეთის დანაწინი მოსახლეობის) სახალხო ნებათა წინააღმდეგ უწოლა **“აფხაზეთის 25-წლიანი ბრძოლა თვითგამორკვევისათვის”**. ამ მხარეში მოსახლეობის, პირველ რიგში კი ქართველთა, ასევე მოძმე და სახლურა აფსუათა პოლიტიკური მიწწრაფება მკაფიოდ გამოიხატა 1991 წლის 31 მარტს, როდესაც სახალხო რეფერენდუმზე **“საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ”** კენჭისყრაში მონაწილეობა 97,73 პროცენტმა, ანუ ვეფლა ამომრეველის (მათ შორის აგრესორ-სეპარატისტების) 60,4 პროცენტმა ხმა მისცა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენას. აქედან გამომდინარე, როდესაც საუბარია აფხაზეთის თვითგამორკვევისათვის ბრძოლაზე, მხოლოდ და მხოლოდ ამ პოლიტიკურად, სამართლებრივად და ზნობრივად გამართულ ლეგიტიმურ მოვლენას უნდა ერქვას იგი.

ამ საკითხებში ასეთი, რბილად რომ ვთქვათ, წინაუხედაობა (არ მინდა ზუსტი შესატყვისი – **“უგნურება”** გაფაფინში) თუ ჩვენს ხელისუფლებას საუკეთესო ნაბიჯად მიანია, ახლა წარმოვიდგინოთ, რა შეიძლება, იყოს უარესი: თურმე, აფხაზეთის ძირძველი მოსახლეობის გენოციდი, ეთნიკური წმენდა, მოსახლეობის მარცვა, სახელმწიფოს ერთიანობის სეპარატისტულ გეგმათა შესაბამისად ხელყოფა, მეურნეობის მოშლა, საკარ-მოდამოთა განადგურება (მასობრივი გადაწვა), წინაპართა სასაფლაოების შეგინება და ადგვა, გაუპატურებები, წამებები, ცოცხალი, უმწყო აღმანიანებისთვის, ზოგიერთ შემთხვევაში დაჭრილობისთვის საბურავების ჩამოცმა და ცეცხლის წაიდება და ა. შ., რომლებსაც აგრესორ-სეპარატისტები, მათი ეთნოკრატია უსამშობლო ბოვეიკები სწავლიდნენ 1992-93 და მომდევნო წლებში, ისე გამოივლიდა, რომ ქართული ხელისუფლების აზრით, **“აფხაზეთი თვითგამორკვევისთვის 25 წლიანი ბრძოლა ყოფილა”** (!).

მე არ ვიცი, ვინ აძლევს სააფხაზეთო საკითხებში ქვეყნის ხელისუფლებას შესაბამის რჩევებს, მაგრამ ეს **“გაკვეთილები”** სრულ უმეცრებას რომ ეფუძნება, საკმაოდ არაა: აფხაზეთის შესახებ საქართველოს ხელისუფლების მიერ როგორც მანამდე, ასევე დღესაც შემოძლილი პოლიტიკური ცნებები არათუ არ წარმოადგენენ საოკუპაციო რეჟიმის საპირწინეს, პირიქით, ისინი პირწმინდად იმეორებენ დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციულ ტერმინებსა თუ სტერეოტიპებს. 18.10.2014 წ. ტელეკომპანია **“რუსთავი-2”**-ის გადაცემა **“კურიერში”**: აფხაზეთი არა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდ, არამედ ნაგულისხმევი ქვეტექსტის მიხედვით, მეზობელ ქვეყნად განიხილა ირაკლი სესიაშვილმა – საქართველოს პარლამენტის თავდაცვის ომიტეტის თავმჯდომარე. 29.11.2014 წ. ასეთივე, ანუ დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციული ტერმინოლოგიით მიმოიხილა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) მიმდინარე მოვლენები საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ვერონიკაგაიციის საკითხებში დავით ბაქრაძემაც...

დაიხ, ასეა, როდესაც შენ თვითონ კვლავაც გულმოდგინედ ამკვიდრებ საერთაშორისო პოლიტიკურ მიმოქცევაში ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) შესახებ ეთნოლოგიათა შედეგებს, გაჭირდება ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციისკენ ნაბიჯის ქმედუნარიანად გადადგმა. დაიხ, საზოგადოება რომელიც **“არაქართველად”** ასახეზოგადებს **“აფხაზს”** არა მხოლოდ მხატვრულ შემოქმედებაში, არამედ საჯარო განმარტებებში, უფრო მეტიც, როდესაც ქვეყანაში სახელმწიფოს მთავრობის მეთაური მსოფლიოს გასაგონად წინაუხედავი ხმის ჩახლენით გაათხივეკუთხებს **“აფხაზეთი ოცდახუთწლიანი ბრძოლა თვითგამორკვევისთვის”**, მაშინ ნებაშთავს აძლევ დამპყრობს, მოიხივოს სისხლში დასვრილი ხელები და უტიფრად აყაროს იმავე მსოფლიოს თვალუბში ნაცარი.

ამრიგად, საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაუხედავი საუბარი **“აფხაზეთი თვითგამორკვევაზე”** გახდა ის კვარცხლბეკი, რომელზეც სეპარატისმმა ააძგვლა დროსა

და სივრცეში არ არსებული **“ქართველი დიდმეპრობლის”** ქანდაკება.


რას იზამ, ვერა და ვერ დავიგაკვეთილეთ, რომ მხოლოდ თავსმხეველი სივრცე ახიფათებს ქართველი ერის გასაველდ გზას, თორემ თავანკარა სიმართლე, რა ბავიდანაც არ უნდა განხივანდეს ის, ეროვნული აღმართების ზურგის ქარი გახლავთ იგი!..

ახლა რაც შეეხება 1919 წელს **“ქართველთა თავდასხმას აფხაზეთზე”**: რა თქმა უნდა, მენშევიკების პოლიტიკა ქართული სახელმწიფოებრიობის უზრუნველსაყოფად ყოველთვის როდი იყო წინაახედული, მაგრამ აფხაზეთის მოვლენებს ამ დროისათვის ნუ წარმოვიდგენთ ისე, თითქოს ეს გახლდათ ქართველთა და **„ახაზეთი”**-თა საომარი დაპირისპირება. არ იყო ასე, ამიტომ, სინამდვილიდან გამომდინარე, კი უნდა შეფასდეს მენშევიკებისა და ბოლშევიკების საომარ ავანტიურად ერთმანეთს შორის. დაიხ, მენშევიკური მთავრობის დროშის ქვეშ იბრძოდნენ ქართველებიც, აფსუებიც (მხატვრული სახე – პაკი აბა), ბერძნებიც, არმენებიც, რუსებიც, ადგილობრივი ესტონელები, გერმანელები და ა. შ. სხვათაშორის, აფხაზეთში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ ინტერესებს თავანწირვით იცვდნენ და თანმიმდევრულად ანხორციელებდნენ სახალხო ნებას ბერძენი. ფაშალიდი, რუსი დ. ზახაროვი, არმენი ხ. ავდალბეკიანი და სხვები.

ამგვარად, მონოეთნიკურ შინაარსს არ ატარებდა ბოლშევიკური მხარეც, რომლის შემადგენლობაში არა **„ახაზეთი”**-თა, არამედ ქართველი ბოლშევიკები ჭარბობდნენ საგარნობლად.

ასეთია ამ საბედისწერო მოვლენის შეუღამაზებელი შინაარსი. ვიმეორებ, იმ დროის აფხაზეთ სულისკვთებას ასახეზოგადებდა არზაფან ეჩხვარი, ჭეშმარიტად მოაფხაზეთ მულიშვილი, ანუ დიდი ქართველი. იგი საბჭოთა აფხაზეთში კი არ დაიმარხა, როგორც გითხარით, ლევილში (საფრანგეთში) განისვენებს, ქართული სახელმწიფოებრიობის მრადიულყოფის წამგაუცვლელია.

სმრბი საჯაია, (გაგრძელება შემდეგ ნომერში)



# პრენესანი საქართველოში – შოთა რუსთაველი

## რუსთაველის იდეოლოგია

რუსთაველის იდეოლოგიაში მეტად საყურადღებოა დეტერმინიზმი. წუთისოფელი, რუსთაველის გავებით, მიმდინარეობს შინაგანი აუცილებლობით. თითოეული მოვლენა, ფაქტი, განსაზღვრულია სხვა მოვლენებით, სხვა ფაქტებით. თითოეული მოვლენის ბედი დამოკიდებულია სხვა მოვლენათა ურთიერთობაზე. ადამიანის ბედიც ყოფის აუცილებლობაში მიმდინარეობს საერთო წესით. ბუნება წყაროა ყოველგვარი უბედურობის და ბედნიერების. ადამიანის ცხოვრება ბრძოლა და მორჩილება-მოთმენაა. ამიტომ **“გონიერი ხამს არასოდეს არ აჩქარდეს, რაცა სჯობდეს, მოავგაროს, საწუთროსა დაუწყნარდეს”** (537). რუსთაველის სიბრძნე გვაგონებს თ. დონსტოვის სიტყვებს, წარმოთქმულს პუშკინის საფლავზე: **“Смирись, гордый человек!”** მართლა, რა არის ადამიანის მთელი ცხოვრება? ახალგაზრდობისა და ადამიანი ღელავს და ეძიებს, ხოლო ცხოვრების დასასრული თავისი სიდიხითა და სიფრთხილით დაწინარებაა საწუთროს წინაშე.

ინდივიდუალიზმის დრმა სიბრძნის გამოხატულებაა ქალის შესახებ რუსთაველის სიტყვებშიც:

**“სჯობს სიშორე დიაცისა, მისგან ვითა დაითმობს:**

**გილი ზღვებს და შეგიკეთებს, მოგიხდობს და მოგენდობს,**

**მართ ანაზღათ გიდალატებს, გაპყვებს, რაცა დაესობს,**

**მათ დიაცსა სამალავი არასთანა არ ეთხოვბის”** (1077).

ავთანდილისა და ფატმანის ურთიერთობა მთელი რომანია. ასევე რომანია ნესტანის გათხოვების შესახებ თათბირი, ხვარაზმის სიკვდილი. ავთანდილი და ტარიელი, ორივენი, კაცს კლავენ. ავთანდილი კლავენ ფატმანის საქარულს, ტარიელი – ნესტანის საქმროს. საერთოდ, რუსთაველი არ არის ტენდენციური მორალის მიმდევარი. იგი თავისი ცხოვრების ფილოსოფიით უფრო შექსპირის ტიპის მწერალია, ვიდრე ორთოდოქსი-მორალისტი. აბსოლუტური სიწმინდე რუსთაველს არა სწამს. საყვარელი ჰყავს როგორც ავთანდილს, ისე ტარიელს. რუსთაველი რეალისტი, მან იცის, რომ ქვეყანა მორალური კოდექსით არ ცხოვრობს, რომ ქვეყნად ბევრი რამ ხდება ისეთი, რაც ცხოვრების აუცილებლობის გავლენით უარყ-

ვსს ხნობრივ პრინციპებს. დააკვირდით და დარწმუნდებით, რომ მკვლევრობა ჩადენილი ავთანდილისა და ტარიელის მიერ, გამოწვეულია არსებობისათვის ბრძოლის აუცილებლობით. ტარიელმა მოკლა ნესტანის საქმრო, როგორც მეტოქე, ხოლო ავთანდილმა ფატმანის საყვარელი, მაგრამ არა როგორც მეტოქე, არა ფატმანის სიყვარულისათვის, არამედ იმიტომ, რომ ფატმანს სიკვდილით ემუქებოდნენ და თუ ფატმანს მოკლავდნენ, ავთანდილი თავის მიხანს ვერ მიაღწევდა.

რუსთაველის აზრით, ცხოვრება დაუნდობლია: **“იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია”** (1343). რუსთაველი სრულებით არ ფიქრობს, რომ ცხოვრება კმაყოფილება და ბედნიერებაა; პირიქით, **“კარგი რა მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია”** (1171) – ამბობს იგი. ხშირად რუსთაველი წუთისოფელს უყურებს, როგორც სიმწრისა და ტანჯვის არენას: **“რადღა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?”** (36) – უცხადებს როსტეპან მეფე თავის მინისტრებს. პოეტის გონებას ეჭვი ნისლავს: **“არ მიენდობა გულითა, თუ კაცი მეცნიერია”** (1207). რუსთაველი გულუბრყვილო მეოცნებე კი არ არის, არამედ ნამდვილი მეცნიერი და ბრძენი, რომელმაც კარგად იცის, რომ ცხოვრება ბედნიერებასთან ერთად ტანჯვაა, მაგრამ იგი მაინც არ არის პესიმისტი, განწყობილი და ცხოვრების დრმა და ბრძნული სიყვარულია გამოთქმული სიტყვებში:

**“სიკვდილამდე ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა?”**

**რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა!”** (1187)

აქ ცხოვრების დრმა სიყვარულთან ერთად ჭკუისა და გონების პრაქტიკული მნიშვნელობაც არის აღიარებული. აღსანიშნავია, რომ განწყებულნი, რეალობას მოწყვეტილი **“წმინდა”** გონება რუსთაველს არ სწამს, როგორც არ სწამს წმინდა ხელთნება. მართალია, რუსთაველის ეპოქა საერთოდ არ იცნობდა ესთეტიკურ-ინტელექტუალური იზოლაციის პრინციპს, მაგრამ პოეტი განსაკუთრებული თავისებურებით ხაზს უსვამს სინამდვილისა და იდეალური შესაძლებლობის ორიგინალურ კავშირს. რუსთაველი ადამიანის ფსიქოლოგიის საოცარ ცოდნას იჩენს. ორი მომენტი ავთანდილის ქცევითა, ერთი – ასმათთან, მეორე – ტარიელთან, მეტად საინტერესოა რუსთაველის მსოფლმხედ-

ველობის გამოსარკვევად. ავთანდილი არის რუსთაველის alter ego. რუსთაველი თავის სიბრძნეს და ფილოსოფიას განსაკუთრებით ავთანდილის თქმასა და ქცევაში გამოსახავს. როდესაც ავთანდილი მიუახლოვდა გამოქვაბულს, სადაც ცხოვრობდა ტარიელი, შეჩერდა და დიდი ხნის ცდის შემდეგ ფრთხილად შევიდა გამოქვაბულში. ქალმა, რომელიც გამოქვაბულში იყო, უცნობი კაცის დანახვაზე ყვირილი დაიწყო. ბევრი ეხვეწა ავთანდილი – დაწყნარდიო, მაგრამ ამაოდ. ავთანდილს ეშინოდა, ქალის ტირილს გაიგებს მოქმე და დაბრუნდებო. როდესაც ავთანდილი დარწმუნდა, რომ ხეყვნა არ მოქმედებს, **“ადგა, თმათა წამოზიდნა, ყელსა დანა დააბრჯინა”** (235). ასმათს სრულებით არ შეშინებია. მომკალი, თუ გინდა, **“ჩაღად მიჩნს ყოველი სოფელი, მისთვისე შემიწონია”** (239), – ეუბნება იგი ავთანდილს. ქალის დასამშვიდებლად ავთანდილმა ყოველგვარ ცდას მიმართა, მაგრამ ასმათი არ წყნარდებოდა. ვერც დამუქრებით და ვერც თხოვნით ავთანდილმა მიხანს ვერ მიაღწია. იგი ფიქრობს რა მოიგონოს:

**“სხვასა რასმე მოგონება სჯობს, საქმისა გამოჩრევა.**

**გაუშვა და ცალკე დაჯდა, ტირს, დაიწყო ცრემლთა ფრქვევა,**

**ქალსა უთრას: გაგარისხე, აწ, ესე თქვი, ვით დაგრჩე, ვა!**

**ქალი დაუჯდა კუშტგვარად, ქუშობს, ჯვრთ არ დამტკბარია;**

**ავთანდილი ქვე ზის ტირილად, არარას მოუბარია;**

**გარდისა ბაღსა მოგუბდა ცრემლისა საგუბარია.**

**კვლა იქით ქალი ატირდა, მისთვის გულნალამბარია”** (240-241).

ავთანდილი დარწმუნდა, რომ ქალი არც მის მუქარას, არც მის თხოვნას ყურადღებას არ აქცევს. დაჯდა და თვითონ დაიწყო ტირილი. ფიქრობს, რომ ცრემლი უფრო იმოქმედებს ქალზე. მართლაც, ერთი მხრივ, ტირის და წუხს ქალი, მეორე მხრივ – ავთანდილი. ქალი აკვირდება მტირალ ავთანდილს. ბოლოს აცნობიერებს, რომ მიჯნურია. თანდათანობით ქალში იდვიტებს შებრალების გრძობა.

**“რა ქალსა მიხვდა ყმისაგან მიჯნურობისა სმინება,**

**გულამოხვინჩვით დაიწყო ასკეცათ ცრემლთა დინება”** (245).

ქალისა და, საერთოდ, ადამიანის ფსიქოლოგიის დიდი ცოდნით ავთანდილი აღწევს მიხანს. მისი ყოველი ნაბიჯი, ყოველი გამოხედვა, ყოველი ქცევა სიბრძნისა და მოხერხების შეერობაა. პოემაში არის ადგილები, სადაც ავთანდილი გამოიყურება, როგორც გამკრიახი გონების ადამიანი და ნამდვილი მეოდილი. საინტერესოა ავთანდილის შეყრა ტარიელთან, როდესაც ტარიელი ნადირობის შემდეგ ქელს გაღმა ველზე ზის და ტირის: ირგვლივ **“ლომი მოკლული და ხრმალი სისხლმოცხებული, კვლა სხვაგნით – ვეფხვი უსულო, მკვდარი, ქვედა-ნარცხებული”** (866). ავთანდილი ფრთხილად უახლოვდება, მაგრამ ტარიელი ყურადღებას არ აქცევს, სასოწარკვეთილი, იმედგარეული ბოლოს პასუხობს: **“აწ დამესხენ, სიკვდილამდის, ვიტრო და თავსა ვიცე, მაგრამ გვედრებ დამარხვასა, მხეცთა საჭმლად არ მივიცე”** (870). ავთანდილი დარბევას აძლევს: უმიხნოა ტირილი და ცრემლები; საჭიროა ბრძოლა და არა წუხილი, ოხვრა და სევდა. **“ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქეთიკრსა”** (872). აქაც წვენ გვაქვს გაბრძოლების, სტოიციზმის ფილოსოფია. ავთანდილი გმობს ტარიელის ქცევას – მინდვრად ხეტილს, ადამიანის მოძულებას. მიჯნური ვინ არ ყოფილა, სიყვარულის ცეცხლი ვის არ განუცლია, ვის არ უგრძნია ტანჯვა? – **“არ იცი, ვარდი უეკლოდ არავის მოუკრებინა”** (874) – ეუბნება ავთანდილი ტარიელს. **“ვისრამიანში”** არის ერთი ადგილი, სადაც ასეთივე აზრია გამოთქმული: **“ვინც ვარდს დასთესავს და მოჰკრებს, ხელს ეკალიც დაესობს”**. რუსთაველი თავისუფლად სარგებლობს **“ვისრამიანის”** მხატვრული სახეებით და თქმებით, მაგრამ მისი შემოქმედება სრულებით არ ატროებს მიბაძვით ხასიათს. თქმებსა და მეტაფორებს რუსთაველი იღებს თავისი დროის ლიტერატურული წყაროებიდან, მაგრამ მისი პოემის ყოველი ტაქტი, ამავე დროს, მანქანებელია დიდი განცდის რიტმული რხევისა, დიდი აზროვნების გაშლილი პორიზონტისა, დიდი ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური დაკვირვებისა, დიდი ორიგინალობისა.

კონსტანტინე კაპანელი  
(გაგრძელება იქნება)

## “როგორც მიიხრეს, 400 ეპროდ ბამყილა” – ქართველთა რა დანაშაულებრივი ქალი მოქმედებს თურქეთში

**ბევრჯერ მსმენია, ქართველები მოკლულ ქართველებს მარხავენ ან ზღვაში აგდებენ”**

ქართული პრესა აქამდეც არაერთხელ გამოხმაურებია თურქეთში არალეგალურად მყოფი ქართველების პრობლემებს, თუმცა ის, რასაც ბატონი კაკო (გვარს მისივე სურვილით არ ვაპირებ) გვიყვება, ალბათ, მხოლოდ საზოგადოებრივ სივრცეში არ უნდა დარჩეს და შესაძლო დანაშაულებრივი სქემის დადგენით სამართალდამცავებიც დაინტერესდნენ. მი-თუმეტეს, რომ ბატონი კაკო კომპეტენტურ უწყებებთან თანამშრომლობისთვისაც მზადყოფნას გამოთქვამს:

– თურქეთში 2010 წლის 15 მარტს წაყვლი. როგორც ქართული ოჯახების უმრავლესობას, ფინანსური პრობლემები შე-მექმნა, ვალდებიც დამეყო და მცირეწლოვანი შვილების გამოკვებაც მიჭირდა... მიიხრეს, წყალტუბოში ნინო ასათიანს დაუკავშირდი, ის თურქეთში სამსახურს გაპოვინებესო. მეორე დღესვე წყალტუბოში წაყვდი და ასათიანს შევხვდი. ეს ქალბატონი დამ-პირდა, ტყეში იმუშავებ, ხის მასალებზე მუშაობა მოგიწევს, მართალია მძიმე სამუშაოა, მაგრამ კარგი პირობებია – საკვებიც გექნება და სითბოცოც იცხ-პორებო. დამის პირველ საათზე აქსარაიდან ტყეში წამიყვანეს, ადგილზე დილის ოთხ საათზე მივედი. კარავი გვანახეს, რომელ გათბობაზეა ლაპარაკი, შიგნით ძაღლი იწვა. სიტყვებით შეუძლებელია იქ არსე-ბული გარემოს აღწერა, ჩემ ბედს ვწყე-ვლიდი, სიბრაზისგან ცრემლებს ძლივს ვიკავებდი. ჩემთან ერთად მყოფ გორელ ბიჭს ვთხოვე, პკითხე ამ თურქ დამსაქმებელს, ასეთ პირობებს ხომ არ შეგპირებოდა-მეთქი? ამ კითხვამ თურქი გააღიზიანა და მოაყოლა – პირობები კი არა, ხელფასიც თუ გადავიხადე, მადლობა მითხარიო. იქვე ახლოს ნაჯახი ეგდო, სწრაფად დავაღვე ხელი და დავექურე, ახლა მე აქედან წავალ და თუ ხელს შემეშლით ამ ნაჯახით აგუწავთ-მეთქი. მოვტრიალდი და გამოვიქეცი. არ ვიცი

როგორ მოვახერხე, სტამბოლში დავბრუნდი. რამდენიმე დღე მშობრი და მწყურავლი ქუჩაში ვხეტიალობდი, სამსახურს ვეძებდი.

– ნინო ასათიანთან დაკავშირება არ გიცდიათ?

– ნინო ასათიანს მოგვიანებით დავუკავშირდი, რატომ გამიფიქრებოქო. რო-გორც მითხრეს, 400 ეპროდ ვამყიდა. ჩხუბი დამიწყო, რატომ გამოიქეცი, გემუშავაო. ასეთ ადამიანს რაზე უნდა ველაპარაკო?! როგორც იქნა სამსახურიც ვიპოვე, კარგი უფროსი მყავდა, ხელოსანი ვარ და სხ-ვადასხვა ობიექტზე რემონტს მიკეთავდა. როგორც ხდება ხოლმე, სტამბოლში ბევრი ქართველი გავიცანი, ვიდაცვლასაც დავუხალციფე და იქ არსებულ დანაშაულებრივ სქემებზეც ბევრი რამ მიქვიტევა. ყველა მათგანზე ინფორმაცია მაქვს და დაინტერესების შემთხვევაში სამართალდამცავებს დეტალებს მოუყვებ-ბი.

– შეგიძლიათ გვიამბოთ, რა დანაშაულე-ბრივი ქალი მოქმედებს სტამბოლში?

– სტამბოლში ქართველები საკუთარ თავს **“დამსაქმებლებს”** უწოდებენ, მაგრამ რეალურად ადამიანებით ვაჭრობენ. გორე-ლი ჟანა, 18-დან 25 წლამდე გოგონებს აჩრევს, თანაც ყველა კი არ მოსწონს, გოგ-ონა მოდელის პარამეტრებს უნდა აკმაყ-ოფილებდეს. შემდეგ ამ საცოდავ გოგონებს პასპორტებს ართმევენ და თურქებთან სექ-სუალურ ურთიერთობას აიძულებს. გორე-ლი ჟანასთან ერთი ქართველი გოგო საწუ-ვანად 200 ლირა ღირს. გოგონებიც საკუ-თარ ბედს ეგუებიან. თანაც ყველა მათგანს აშინებენ, გაქცევას თუ დააპირებთ, პოლი-ციელებთან გარიგებულები ვართ და უარეს დღეში ჩაგაგდებენო. მსგავსი საქმი-ანობითაა ცნობილი კიდევ ერთი ქართველი – კაკო. კაკო ქართველ გოგონებს მეტ **“თავისუფლებას”** აძლევს და თურქ კაცებს გოგონებს სახლშიც ატანს. აქსარაიში კაკო რომ იკითხოთ, მის ბინას ნებისმიერი ვამკლავი მიგასწავლით. ეს ბინა საქი-რავები აქვს, თვითონ ფეშენებელურ სახლ-ში ცხოვრობს. ხშირად ქართველი

გოგონები კაკოსთან ნაცემებიც ბრუნდ-ებიან, თურქი საყვარლები ხასტიკად ექცე-ვიან, მაგრამ კაკო მათ მაინც **“ამუშავენს”**.

– თქვენ იცნობთ კაკოს თუ ვინ მოგა-წოდათ მის საქმიანობაზე ინფორმაცია?

– სტამბოლში ყველა ქართველი იცის ვინ რას საქმიანობს. როგორც გითხარი, ხელოსანი ვარ, ერთხელაც ამ კაკოსთან მუშაობა მომიწია. პირველ შემხედრახე ვერ მიხვდები, რომ საკუთარი ცხოვრების მოსაწუხად ეს კაცი ადამიანებითაც კი ივაჭრობს. საკმაოდ დაუფიქროვდი და თვი-რად შემომთავაზა, ქართველ გოგონებთან **“გავლა”** არ გინდა, ხელი დაადე, რომელსაც გინდა მოგვიდიო?! საუბრის ჩანაწერებიც მქონდა, რომელიც 2011 წელს ერთ-ერთ ტელევიზიას მივაჭრე. მართალია, კაკო თურქეთში დაიჭირდა, მაგრამ თურქმა სამართალდამცავებმა საქართველოში მის დეპორტზე უარი განაცხადეს, რამდენიმე კვირაში კი საერთოდ გაათავისუფლეს. როგორც მოგვიანებით გავიგე, თურქ პოლი-ციელებს გაუჩივდა და საკმაოდ დიდი თანხაც გადაიხდა. კაკომ ჩემი ძებნა დაი-წყო და მალევე მიპოვა, საცემად ქურთები მომიგზავნა. დღის წყალბობით გადავრჩი. შემდეგ ჩემ თურქ უფროსს შევიფიქვე, – დამდევენ-მეთქი, – მასაც საკმაოდ გავლუ-ნიანი მეგობრები ჰყავდა და კაკოს შეუთ-ვალა, – ჩემ ქართველ მეგობარს არ გაეკა-როთ.

– მტკიცებულებები დღესაც გაქვთ?

– ქურთებთან შეხვედრის შემდეგ შევწმინდი. ტელევიზიის არქივში ეს ჩანაწ-ერები დღესაც უნდა ინახებოდეს. თურქეთ-ში პრობლემას მხოლოდ კაკო და გორელი ჟანა არ წარმოადგენენ. ცნობილია ვინმე სოსოს საქმიანობაც, რომელიც იმდენად ამორალური კაცია, რომ ცოლი საქართველოში გამოგზავნა და საყვარ-ლად მისი სიდედრი ჰყავს. მასთან ერთად, გოგონებით უამრავი ქართველი ვაჭრობს. ქართველი ბიჭებიც ტრეფინგის მსხვერ-პლნი ხშირად ხდებიან, თურქებთან სამუშაოდ აგზავნიან, რამდენიმე თვე ისე ამუშავენ, ხელფასს არ უხდიან. თუ

რომელიმე ქართველმა გაბედა და დამსაქმებელს პოლიციაში უჩივლა, მაშინ-ნათვე საქართველოში ადვოკატებენ. ქართველები ნარკოტიკებითაც ვაჭრობენ. პირადად ვიცნობდი ბიჭს, რომელსაც ნარკოტიკში რაღაც გაურიეს და მოკლეს იმის გამო, რომ ქართველი ნარკოტიკო-ლიზატორის ვალი ჰქონდა. ასე რამდენი ბი-ჭია უგზო-უკვლევად გამქრალი, ვინ მოსთვლის. ბევრჯერ მსმენია, ქართველები მოკლულ ქართველებს მარხავენ ან ზღვაში აგდებენო. მეტიც, ქართველი ე.წ. დამსაქმე-ბლები ქართველებს ატყუებენ, თურქებიდან გემით ევროპაში გადაგიყვანთო. პირობა ასეთია – გემზე მოხვედრამდე 600 დოლარი უნდა გადაიხადო, ადგილზე ჩასვლის შემდეგ – 700. ამ გემიდანაც არაერთი ქართველი გამქრალი. შუა ზღვაში ყრიან ქართველებს და დაინტერესების შემთხვევაში, სამართალდამცავებს ამ სქემის გამოხვრაც არ უნდა გაუჭირდეთ. გაიკითხეთ რამდენი ქართველი გაქრა ევროპაში გადასვლისას და ყველაფერს მარტივად მიხვდებით. ერთმა თურქმა მითხრა, ჩვენ რას გვერჩით, თქვენ თავს შეხედეთ, ქართველები ქართველებს რას უკეთებთო! ქართველისთვის მისივე სისხლისა და ხორცის სიცოცხლე არაფერს წარმოადგენს. 100 ლირად ნებისმიერ ხორ-ცის საჭრელ დაზგაზე წამოაცვამს. ეს რომ საკუთარი თვლით არ მენახა, სხვის მონაყოლს ვერასოდეს დავიჯერებდი. ახლა კი, ამ ყველაფერს იმის გამო ვიყვებით, რომ ვინაც თურქეთში წასვლის სურვილი აქვს, კარგად დაფიქრდნენ და ყველა ქართველს ნუ ენდობიან.

**P.S.** ჩვენი რესპონდენტი მზად არის სამართალდამცავებთან თანამშრომლობის და სტატიაში ნახსენები ადამიანების გვარე-ბიც დაუსახელოს, რაც შეეხება ნინო ასა-თიანს, ჩვენ ვცადეთ მისი მოძებნა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ, თუ მას ექნება გამოხ-მაურების სურვილი, მზად ვართ მასაც მოუვსინოთ.

რუსულან შვილია  
“კვირის პალიტრა”

306 ღაქოქა „მაცაცო“

ზაურ ნაყუბია

რამდენჯერმე წავიკითხე „საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო „ივერიონი“-ს გამოქვეყნებული, ბატონი ზაური ნაყუბიას ღრმა ანალიტიკური სტატია, - „306 ღაქოქა „მაცაცო“ და ღაკანონდება თუ არა სოლომ-ბომორის ცოდვა საქართველოში?“ ასევე რამდენჯერმე ვცადე კომენტარი გამეკეთებინა, მაგრამ გადავიფიქრე, რადგან იმდენად მძიმეა იქ გაცხადებული საშიშროება, ჩვენს ქვეყანას და მის მომავალს რომ ემუქრება, ნაჩქარევი აზრის გამოთქმა მიზანშეწონილად მივიჩნევი!

გადავწყვიტე, იგი ცოტა ხნით გადავლო და ჩემი ფეისბუქის ერთგულ და ქვეყნის მოყვარულ მეითხველს შევთავაზო ბატონი ზაურის სულისშემძვრელი სტატია-გოდება, რომ საქართველოს მოსახლეობამ (მისმა ქართულმა ნაწილმა მაინც) გონების თვალთვლით წაიკითხოს იგი და დროულად ჩაერთოს პრევენციული ზომების მიღებაში, იმ წამსდროის წინააღმდეგ, რასაც ახლო ხანებში გვიგეგმავენ!

ღაქოქა მობალია

P.S. ბატონო როლანდ, იქნებ, თქვენც გამოგადგეთ იგი „ილორო“-ს ერთგული და ქართულ-ეროვნული მეითხველისთვის განსაზღვრულად მისაწოდებლად?

საქართველოს პარლამენტის მიერ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებისთანავე ვწერდი, რომ ამ გადაწყვეტილებას უახლოეს ხანებში ერთსქესიანთა ქორწინების, ხოლო შემდგომ კი, ერთსქესიანთა მიერ შვილის აყვანის უფლების დაკანონების მოთხოვნა მოყვებოდა.

სამწუხაროდ, ჩემი ვერსია გამართლდა - 26 იანვარს გიორგი ტატიშვილმა (იგივე „მაცაცომ“, იგივე გიორგი ჩხარტიშვილმა) საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანა სამოქალაქო კოდექსის 1129 მუხლის (რომელიც ოჯახის დეფინიციას განსაზღვრავს, როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობას) შეჩერების თაობაზე.

როგორც გიორგი ტატიშვილი განმარტავს, სარჩელის მიზანია ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზაცია, რაც მოსახერხებელი იქნება სამოქალაქო კოდექსის ზემოთხსენებული მუხლის საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლთან შესაბამისობაში მოყვანით.

29 იანვარს „პრაიმ-ტაიმში“ გამართულ ბრიფინგზე მოსარჩელე ირწმუნებოდა - „ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვითხოვთ ერთსქესიანთა ქორწინებას, მაგრამ შინაარსობრივი დატვირთვიდან გამომდინარე, ეს მხოლოდ და მხოლოდ ამ მიმართულებით წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.“

ტატიშვილის ლოგიკით, აღნიშნული სარჩელით ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაესმება სპეკულაციებს საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებასთან დაკავშირებით, რადგან, თუ საკონსტიტუციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს მის სარჩელს და არაკონსტიტუციურად არ ცნობს სამოქალაქო კოდექსის შესაბამის მუხლს, რომელიც ოჯახს ქალისა და მამაკაცის ერთობად აღიარებს, ამიერიდან, არცერთ უფლებადამცველ ორგანიზაციას და არც კერძო პირს არ ექნება უფლება იგივე სარჩელით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

კონსტიტუციურად რბინისეპური ლობიკაა, მამბრამ...

ვენდოთ თუ არა მიზარსტეხიტი გატენილ საკონსტიტუციო სასამართლოს?

ამ თემაზე მუშაობის პროცესში რამდენიმე კვალიფიციურ კონსტიტუციონალისტს ვესაუბრე. მაინტერესებდა, რა საშიშროება ემუქრება ქვეყანას, თუ საკონსტიტუციო სასამართლომ გიორგი ტატიშვილის სარჩელი დააკმაყოფილა, ან რამდენად ლოგიკური იყო თავად მოსარჩელის განცხადება, რომ ამ ინიციატივით „წერტილი დაესმება სპეკულაციებს“ საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებასთან დაკავშირებით.

ტატიშვილი სწორია - ორივე შემთხვევაში ლგბტ-ს თემა კონსტიტუცი-

ურად ამოწურული იქნება, რადგან, თუ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ამ თემით „სპეკულაცია“ მართლა შეწყდება. თუმცა არსებობს მეორე საშიშროება.

რამდენადაც ვიცით, მოქმედი საკონსტიტუციო სასამართლო მიზარსტეხიტიანთა გატენილი და დიდი ალბათობაა იმისა, რომ გაბედონ და ერის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღონ. ისინი, თითქმის სრული შემადგენლობით - დაწყებული ქალბატონი კობაღვიშვილით და დამთავრებული საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარით, გიორგი პაპუაშვილით დღესაც სააკაშვილის ნების უსიტყვო შემსრულებლებად ითვლებიან. მათ ძველი „მატრონისადმი“ უსიტყვო ერთგულება „რუსთავი 2“-თან და გიგი უგულავას სარჩელთან დაკავშირებით ოპერატიულად მიღებული გადაწყვეტილებებითაც დაადასტურეს!

მიუხედავად იმისა, რომ ერთსქესიანთა ქორწინების კონსტიტუციურად დაკანონება საკმაოდ სარისკო საკითხია, არ გამოვიცხავ, მოსამართლეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (მერაბ ტურავა იქ ამინდს ვერ შექმნის, რაც არ უნდა მოინდომოს) სარჩელს მხარი დაუჭიროს და სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლი ანტიკონსტიტუციურად სცნონ.

ბუნებრივია, ეს არ სჭირდება საქართველოს, მაგრამ სჭირდება სააკაშვილს და მის მხარდამხრებს, რომელთაც სხვა არაფერი დარჩენიათ „ღეტონატორის“ დასაქოქად და ასაფეთქებლად.

ღიახ, ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება ყველაზე გარანტირებული მიზეზი იქნება საზოგადოების ყალფხე დასაყენებლად და საქართველოში მასობრივი არეულობის მოსაწყობად.

მე არაფერს ვამტკიცებ, მაგრამ, ვეჭვობ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ამ ავანტიურაზე წავა!

დღევანდელი ხელისუფლების ნებისთ თუ უნებლიე შეცდომებს ვინ დათვლის, მაგრამ ერთ-ერთი სერიოზული შეცდომა სწორედ უხეჩაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების და ზოგადად სასამართლო სისტემის (არაფერს ვამბობ ძალიან სტრუქტურებზე) „ნაციონალური“ კადრების ხელში დატოვება იყო.

გახსოვთ, ალბათ, როგორი მონდომებით წერდნენ შეგარდნაძის დროინდელი საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები განცხადებებს თანამდებობიდან საკუთარი ნებით განთავისუფლების შესახებ. ყველამ იცოდა, რომ ეს პირდაპირი მუქარის ქვეშ ხდებოდა, მაგრამ მაშინ არავის გაუპროტესტებია. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მიდგომა დამოკრატის ჩარჩოებში ვერ ჩაჯდება, „ქართული ოცნებაც“ ასე უნდა მოქცეულიყო - მითუმეტეს, საქმე გეჰქონდა სააკაშვილის სასამართლოსთან, რომელიც პოროკურატურის დაკვეთების უსიტყვო შემსრულებლად იყო გადაქცეული და მხოლოდ სტატისტის ფუნქციით შემოიფარგლებოდა.

„ოცნებამ“ ეს არ გააკეთა - სასამართლო სისტემა არ გაწმინდა „ნაციონალური ბაცილებისგან“ და სახელმწიფოს ინტერესები დემოკრატიზაციას თამაშს გადააყოლა!

„ცეცხლი“ ბახსნილია“

გიორგი ტატიშვილმა (იგივე ჩხარტიშვილმა, იგივე მაცაცომ) საქართველოს „ცეცხლი“ უკვე გაუხსნა. რაც არ უნდა დავგარწმუნოთ, რომ ახლადგაქრისტიანებულს (იგი ახლახან - 19 იანვარს, ნათლისღების დღესასწაულზე მონათლა) სურვილი ავს ერთხელ და სამუდამოდ „შეწყდეს სპეკულაცია“ ლგბტ-ს თემაზე საქართველოში და მან ეს ნაბიჯი სწორედ მართლმადიდებლობის სასარგებლოდ გააკეთა, მოუღენათა განვითარების ლოგიკა საპირისპიროს ამტკიცებს - რა გარანტია აქვს ლგბტ-ს უფლებადამცველ ადვოკატს (როგორც იგი საკუთარ თავს უწოდებს), რომ საკონსტიტუციო სასამართლო მის სარჩელს არ დააკმაყოფილებს და ქვეყანას მკაცრი განსაცდელის წინაშე არ დააყენებს?! რა თქმა უნდა, არანაირი გარანტია არა აქვს და ეს თვითონაც მშვენივრად იცის!

პირდაპირ ვიტყვი: მაცაცო მხოლოდ პაიკია (შემსრულებელია) მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტრების ხელში და მის უკან სერიოზული (საშიში) ძალები დგანან. ეს ის ძალებია, რომლებიც უხვად ფინანსდებიან საერთაშორისო ორგანიზა-

ციებისგან და რომლებსაც, თავის მხრივ, უცხოეთის სპეცსამსახურები უმაგრებენ ზურგს.

საქართველო ასეთი ორგანიზაციების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის, მხედველობაშია ე.წ. ადამიანის უფლებათა დაცვაზე ორიენტირებული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც აშკარად გვეკვლინებიან ლგბტ-ს უფლებების დამცველებად („ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, „სამართლიანი არჩევნები“).

სხვათაშორის, ლგბტ-ს ფარულ მხარდამხრად მოიაზრებიან ზოგიერთი პოლიტიკური სუბიექტებიც, რომლებსაც დასავლური ღირსებულებების (დასავლური ორიენტაციის მატარებელი) მანტია აქვთ მოსხმული (კოლმეურნეობის თავმჯდომარისა არ იყოს, პარტიების „სახელს და გვარს“ არ დავასახელებ), სინამდვილეში კი... ქართული ტრადიციების და ზოგადად, მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტრები არიან!

არ ვამტკიცებ, მაგრამ, ამ შემთხვევაშიც ფულმა ჯოჯოხეთი გაანათა და ქართველი ერი, ქართული სახელმწიფო მძიმე განსაცდელის წინაშე დააყენა...

რა უშაშია ეკლესია?!

მოქალაქი და არ მჯერა გიორგი ტატიშვილის, რომელსაც საკმაოდ მძიმე ცოდვების მონანიება და ერთ ხელით ეკლესიაში სანთლის დანთება შეუძლია, ხოლო მეორე ხელით სარჩელს მიარბენინებს საკონსტიტუციო სასამართლოში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების მოთხოვნით!

ტატიშვილის საქცილით აღშფოთებული საზოგადოება (ეს პირად საუბრებში და სოციალურ ქსელში ნამდვილად იგრძობა) ხელს საპატრიარქოსკენ იშვერს, რომელმაც ირწმუნა ყოფილი ტრანსგენდერის სულიერი მეტამორფოზა და მისი ეკლესიის წიადში შემოყვანა გადაწყვიტა. ამის დასტური იყო 19 იანვარს, ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაულზე ნათლისღების რიტუალის ჩატარება და მისი გაქრისტიანება. ყველაფერი წესის და რიგის მიხედვით ჩატარდა - ნათლიებიც საგანგებოდ შეირჩა...

რა თქმა უნდა, ეკლესია სხვანაირად ვერც მოქცეოდა. ამ არგუმენტის გახამრებლად თუნდაც მარიაშვილიანების მაგალითიც კმარა, რომელიც მძიმე ცოდვებისგან განწმენდილი უდიდეს სულიერ სიმადლემდე ავიდა და ასევე გამორჩეულ წმინდანად მოეწივნა მართლმადიდებელ სამეფოს.

თავისი ბუნებით ჰუმანურია და იგი მოწოდებულია გზას აცდენილი და მძიმე ცოდვაში ჩავარდნილი წუმკედან ამოიყვანოს! აქედან გამომდინარე, ის უარს ვერ ეტყოდა გიორგი ტატიშვილსაც, რომელმაც ცოდვები თითქოს მოინანია და მხადყოფნა გამოთქვა დაეწყო „ახალი ცხოვრება“. ერთი სიტყვით, საპატრიარქო მას ენდო, სხვა საქმეა როგორ გამოიყენა (ან მომავალში გამოიყენებს) გიორგი ტატიშვილმა ეს ნდობა.

არ ვიზიარებ იმ აზრსაც, რომ საპატრიარქოს დაუყოვნებლივ უნდა გაეკეთებინა საპროტესტო განცხადება და მრევლისთვის აეხსნა, თუ რა მძიმე სიტუაციაში შეიძლება აღმოჩნდეს საქართველო ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების შემთხვევაში.

სოლომ-ბომორის ცოდვასთან დაკავშირებით, ქართული ეკლესიის, ზოგადად, საქართველოს საპატრიარქოს პოზიცია ყველასთვის ცნობილია. რა განცხადება შეიძლება გააკეთოს მან ამ კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით? რაც არ უნდა მოხდეს, ეკლესია საკუთარ სამწყსოს ძალადობისკენ ვერ მოუწოდებს - ის ვერ გვეტყვის, მიუხედავად საკონსტიტუციო სასამართლოს და ძალით და მუქარით ააღებინეთ ხელი ამგვარ ბინძურ განზრახვაზე.

ეკლესიის მისია ამ შემთხვევაში მსურვალე ლოცვით და შეგონებებით შემოიფარგლება. სხვა საქმეა, რა უნდა გააკეთოს მრევლმა, იგივე ქართულმა საზოგადოებამ, რომ ანტიქრისტებს მოციქულებს ამ ბოროტ განზრახვაზე ხელი ააღებინოს.

თუ ეს მოხდა, ანუ ტატიშვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, გახვდებით არ იქნება თუ ვიტყვი, რომ მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით, ქართული სახელმწიფოს არსებობა საერთოდ ეჭვის ქვეშ დადგება!

ილორო

სწორება პარლამენტისკენ, ანუ საჩქაროდ დააბრუნეთ ირაკლი ღაკანონები

სრულად ვიზიარებ ცნობილი იურისტის, საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი ყოფილი წევრის მოსაზრებას, რომ ეს არის დივერსია საქართველოს წინააღმდეგ. მეტიც, ეს არის ეკლესიის და საზოგადოების მკაცრი გამოწვევა, რომელიც შეიძლება ერისთვის ტრაგიკული შედეგებით დასრულდეს!

არსებობს თუ არა გამოსავალი და როგორ შეიძლება დააღწიოს თავი ქვეყანამ სოლომ-ბომორის ცოდვის დაკანონებას?

ხევით ვთქვი, რომ „გამომზარსტეხული“ საკონსტიტუციო სასამართლოს პირობებში არ არსებობს მცირედი გარანტია იმისა, რომ სააკაშვილი და მის უკან მდგარი ბნელი ძალები შურს არ იძიებენ ქართველ ერზე და ამ ჯოჯოხეთის დაკანონებას არ შეეცდებიან.

მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ აბოზოქრებული ბრბო შევარდეს საკონსტიტუციო სასამართლოს შენობაში და კუდიორის გზას გაუყენოს ის მოსამართლეები, რომელთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული საქართველოში სოლომ-ბომორის ცოდვის დაკანონება.

მიუხედავად იმისა, რომ პაპუაშვილმა დაჩქარებული წესით მოახერხა „რუსთავი 2“-ის და გიგი უგულავას სარჩელის განხილვა, არა მგონია, საზოგადოებისგან მოსალოდნელი რისხვა არ გაითვალისწინოს და ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც ასე მოიქცეს (თუმცა, არაფერია გამორიცხული). პირიქით, შეიძლება საზოგადოების რეაქციას დაელოდოს და პროცესები დროში გაწელოს!

რაც შეეხება გამოსავალს, გამოსავალი არსებობს და ყველა გზა პარლამენტისკენ მიდის - პარლამენტმა საჩქაროდ უნდა იმსჯელოს ამ საკითხზე და კონსტიტუციის მე-2 თავში შეიტანოს შემდეგი ხასიათის ცვლილება: „ქორწინება - ეს არის ქალის და მამაკაცის ნებაყოფლობითი გაერთიანება“. ამის შემდეგ, თუ მაცაცოს ტერმინოლოგიით ვიტყვი, მართლაც წერტილი დაესმება ყოველგვარ სპეკულაციებს ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე.

რამდენადაც მახსოვს, გადადგომამდე რამდენიმე თვით ადრე, კონსტიტუციაში ანალოგიური ფორმულირების შეტანის ინიციატივით ექსპრემიერი ირაკლი ღაკანონი გამოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა ვაჟაკობად ჩათვალა ღაკანონის ეს ინიციატივა, სულწაყმედებდა და გრძობზე გაიყვანა არსასამთავრობოებმა იგი ე.წ. დასავლური ლიბერალური დირექტივების დაუძინებელი მტრად გამოაცხადეს. ინიციატივა ექსპრემიერს კოალიციაში შემავალი ზოგიერთი პარტიის წარმომადგენლებმაც არ მოუწონეს და პირდაპირ განცხადეს, რომ ისინი მხარს უჭერენ ლგბტ-ს უფლებების დაცვას, მათ შორის, ერთსქესიანთა ქორწინებას და შვილის აყვანის დაკანონებასაც კი.

ღაკანონის ინიციატივის პარლამენტში შეტანა ვერ მოახსრო (არ გამოვიცხავ, მისი მიზეზები გადადგომის მიზეზი ეს ინიციატივაც ყოფილიყო).

მაქვს ინფორმაცია, რომ მსგავსი კანონპროექტი მომზადებული აქვს რამდენიმე პარლამენტარსაც „ქართული ოცნებიდან“. მათ შორის ერთ-ერთი სოსო ჯაჭვლიანი, რომელიც გულწრფელად განიცდის საკუთარ მონაწილეობას ანტიდისკრიმინაციული კანონის კენჭისყრაში და ცდილობს თავისი შეცდომა ამ ინიციატივით გამოსწოროს.

ასეა თუ ისე, ქართველი ერი ერთსულ და ერთხორც უნდა დაირაზმოს, პარლამენტს მიაშუროს და მოსთხოვოს თავის „რჩეულებს“ დაჩქარებული წესით კონსტიტუციაში სათანადო ცვლილებების შეტანა. ოღონდ, ხალხის რეაქცია უნდა იყოს მიზანმიმართული და ორგანიზებული, რომ ქართველ კანონმდებლებს უკან დასახევი გზა არ დარჩეთ (აქ პოზიციის დაფიქსირებაზეა საუბარი და არა ძალადობისკენ მოწოდებაზე!).

ეს საჩქაროა იმდენად, რამდენადაც, რამდენიმე თვე დარჩა მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც ერთნაირად სჭირდებათ ხალხის მხარდაჭერა. მეორეც, მოხდება მათი სრული ლუსტრირება, რაც აიძულებს ანგარიში გაუწიონ მოსახლეობის კატეგორიულ მოთხოვნას!

(გაგრძელება მე-7 გვერდზე)



# მოგზაურობა კავკასიაში

## სვამოვლუკ რენი

ქუთაისი-სვანეთი-მოწამეთა-გორი-უფლისციხე-თბილისი-კოვლო-თეთრიწყარო-მანგლისი-არაგვისპირეთი-ელაღიკაკაზი (გაგრძელება წინა ნომრიდან) მოწამეთა

ამასობაში მონასტერი გამოცოცხლდა. ეზოში ორი თავიდან ფეხებამდე შავად მორთული ბერი გვიცდიდა, გრძელი, ღამაზად დაფენილი ხუჭუჭა თითა და წვერით (რაიც ქართველი თუ რუსი ბერების უპირველესი სამკაულია). ისინი შეგვიძღვნენ ტაძარში. იქ ერთი ბერი უკვე გულმოდგინედ იქნედა საცეცხლურს, საიდანაც თეთრი კვამლის ქულები იფრქვეოდა. მათობელმა სურნელმა რაღაც მისტიკურ განწყობაზე დამაყენა. კრძალვით და რიგით მიფერებოდი ტლანქი მხატვრობით დაფარულ გუმბათს, დაკეთისა და კონსტანტინეს ვეება ფრესკებს, ისინი გამოხატული იყვნენ საბრძოლველად აღჭურვილ მშვენიერ ჭაბუკებად. მინდოდა, თვალნათლივ დაერწმუნებულიყავი, რომ ეს ნახატები ნამდვილად ჰგავს მათ, ვინც აქვე, გვერდგვერდაა დასვენებული ღობისათაგან ოქროს ტახტებზე. ამოდ ვეშუადრეთ ახვალათ მძიმე სახურავები, მხოლოდ შუადღემდე იღებო, – გაგვაგებინა ერთმა მათგანმა დამტკრებული რუსულით.

გადავიხადეთ ეკლესიის კარის გაღების საფასური და ცხენებთან დაგვრუნდით. სენაკიდან ისევ ისმოდა ღოცვად დავარდნილი ბერის ყრუ ერთფეროვანი ხმა.

უკან მობრუნებისას ტყეში თანამგზავრმა შემდეგი ლეგენდა მიაშობ: – მრავალი წლის წინათ მოწამეთაში ცხოვრობდა ღვთისმოსავობით განთქმული იმერელი ბერი, დიდიდან საღამომდე იჯდა თავის სენაკში და ფსალმუნს ჩასწერებოდა, გვერდზე არ იხედებოდა, ფერდაკარგულ სახეზე დაწვები ნაცვივროდა, გამუდმებული მარხვით ხორცი დაეშრიტა, გამუდმებით დუმდა, იშვიათად თუ ამოიღებდა ხმას, არასოდეს გაიღიმებდა. მრავალი წელი გაატარა ასე, მაგრამ როცა ერთხელ ფსალმუნის კითხვით დაქანცულმა თვალემა აღმართა, თავისი საკნის დია სარკმელში დაინახა ბროწეულის აყვავებული რტო, რომელიც თითქოს შიგ შემოჭრას ღამობდა, ამ საოცარი წითელი ფერების მშვენიერებით განცვიფრებული უნებურად წამოდგა, მივიდა ფანჯარასთან და მოატეხა აელვარებული რტო. მაგრამ როცა ფსალმუნს მიუბრუნდა, წიგნში ასოები გაუჩინარდნენ და სიტყვის წაკითხვაც კი ვერ შეძლო. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ სენაკში მიაკითხეს, რადგან გაოცებულმა მძებრმა შენიშნეს, რომ კეთილმსახური ბერი წიგნს არ ესწრებოდა და რა იხილეს? ბერი იჯდა, გადაეშალა ფსალმუნი, წინ იყურებოდა საოცრად აღტაცებული თვალებით და ხელაპყრობილი. ბერები შეესმაურნენ, ხელიც შეახეს. ის არ განძრუვდა, მისი თვალემა სიცარიელეს მისწერებოდნენ, თითქოს იქ რასმე ჰხედავენო. ხელემა იწვდიდა და მისი ბავანი ტკობით, ხანაც სპარალობლად გაიძახოდა – „ტასიო“, შემფოთებული ბერები გარს შემოეხვივნენ. მერე ერთი მათგანი უნებურად წაეჭანა გადაშლილ ფსალმუნზე დადებულ ბროწეულის რტოს, როგორც კი მორჩილმა ტოტი აიღო და სარკმელში გადაისროლა, ბერი გაწვილი ხელემა ჩამოუცვივდა და გონს მოუყო. ბერები მიხვდნენ რაც მოხდა; რომ მაცდური ეშმაკი შეძვრა სენაკში ბროწეულის რტოს საშუალებით, რათა ჯოჯოხეთური თავბრუსხვევით განეგდოთ იგი ღმერთისაგან. მათ დასწვეს არა მარტო ის რტო, არამედ ფესვიანად ამოვლიჯეს მთელი ბუჩქი.

ბერი აღრინდელზე მკაცრად ცხოვრობდა. ერთ-ერთ მას გაუტყდა; ჯერ კიდევ მაშინ მწირი იყო, ცოდვილი სიყვარულით აენტო ახალგაზრდა იმერელი ასულის ტასიოს მიმართ. ტასიოც თანაუგრძნობდა მას, მერე

ღმერთის შეწვევით შეიგნო უდიდესი დანაშაული, ამოვივლიჯა გულიდან ეს სიყვარული და მარხვითა და ღოცვით აპირებდა ჩაეხშო ყოველგვარი მოგონება, რაც შეძლო კიდევ დროთა განმავლობაში.

ქალიშვილი კი უკვალოდ გამქრალიყო, უკანასკნელად მეთევზეებს ენახათ წყალწითელას ნაპირზე, ეტყობა თავი დაეხრჩო. ამ უბერებელი ასულის სახე გამოისმო ეშმაკმა ბერის თვალთა წინაშე, როცა მან ბროწეულს რტო შეატეხა. მრავალი წლის შემდეგ ბერმა კვლავ იხილა მშვენიერით გასხვიოსნებული ტასიოს სახე, გაცილებით ღამაზი, ქალს ჩრდილივით მსუბუქი ღქაქი ეხურა დილის ნისლივით (ქართველ იმერელ ქალთა ზედა ტანსაცმელი). სევდიანმა შავმა თვალემა გააღვივებს მასში დიდი ხნის წინათ ჩამქრალი ვნების ცეცხლი.

გავიდა წლები. ბერმა თავი ცოცხლად დაიმარხა სენაკში. მისი შუბლი ნაოჭებმა დაფარა, გაჭაღარავდა. გულმხურვალე ღოცვების წინაშე გაქრა ტასიოს სახე. ერთხელაც გამოაღო სარკმელი და გულხელდაკრფილმა შეჭაღაღა ზეცას. უცებ მხარზე მშვენიერი ჩიტი დაასკუბდა. თოვლივით ქათქათა იყო, მხოლოდ ფრთების ბოლოები ჰქონდა წითლად აღანძული. აიყვანა და ხელისგულზე დაისვა, რომ მისი სიღამაზით დამტკბარიყო. ჩიტი ისეთი ტკბილი ხმით მოჰყვა გაღობას, რომ ბერს გადაავიწყდა ღოცვაც და ღმერთიც. აღტაცებით მიუგლო ყური ამ ხმას – ძველთაგან ნაცნობს. ეს ტასიოს სიმღერა იყო, როცა სარკმელში გაიხედა, იხილა თვითონ ტასიო, იგი უმღეროდა მას, იდგა სენაკის წინ და ქათქათა თეთრ ხელს უქნევდა. ბერმა მიაგლო ფსალმუნები და სენაკიდან გამოვარდა, სიხმარეულივით მიაბიჯებდა საყვარელი ანრდლისაკენ, რომელსაც საღვაც მიჰყავდა. საბედნიეროდ, ბერებმა შეამჩნიეს და მის მხარზე უნეულო ჩიტიც დაინახეს. ამ ამბავში ახალი ჯოჯოხეთური საფრთხე შეიცნეს, ჯვრით შეეხნენ ჩიტს, იმ წუთს ჩიტიცა და მონვენებაც გაქრა.

მონასტრიდან, სადაც ბერს სატანა სდევდა, გადასახლდა გაღმა მღვიმეში, ერთი ბერი ნებაყოფლობით გაჰყვა მსახურად. დღედაღამ ჩაოქილი ღოცვობდა. ქვის იატაკს მისი ნამუხლარები დაეტყო. თოვლივით თეთრი თმები მხრებზე სცემდა. ყოველდღე მდინარეზე ჩამოშვებული თოკით მათ საზრდოს უგზავნიდნენ მონასტრიდან. ერთხელაც წყალწითელა ადიდა, მისი მეწამული ტალღები მალდა იწვედა, აქაფებული მდინარე უკვე მღვიმეს აღწევდა. ორივე მუუდაბნოს დადუჟა გარდაუვალი იყო. მოხუცმა ბერმა სთხოვა მორჩილს, გადაეწია სუროს ტოტები, რათა ერთხელ კიდევ დამტკბარიყო წმინდა მოწამეთის ღვთიური შუქით. სათქმელი არც კი დაესრულებინა, რომ გარედან თეთრმა პატარა ნაზმა თითებმა გასწიეს ხვიარა ტოტები და მღვიმის ჭრილში გამოჩნდა ტასიოს ხატება; ნავით მოდიოდა, ხელთ ბროწეულის ტოტი ეყრა და გულის სწორს უხმობდა. ბერი დაჟინებით შესცქეროდა მას, თვალემადან ცრემლები დაჰაღუპით ჩამოსდიოდა. ნელა წამოდგა, გასასვლელთან მივიდა, გაოგნებულმა მორჩილმა ვერც კი მოასწრო მიშველება, ბერმა ხელი ჩასჭიდა ტასიოს და ნვისსაკენ გადააბიჯა, იმავე წუთში სუროს ტოტები შეერთდა, წყალწითელა აღრინდელ დონეს დაუბრუნდა, ბერი კი იმ დღიდან აღარავის უნახავს. ასე წარწყმიდა მისი სული ეშმაკმა, სატანამ, რომელიც განსვენებული სატრფოს სახით ევლინებოდა.

უნდა გამოვიტყვი, რომ აქ მოთხრობილი ლეგენდა, რომელიც თითქოს თანამგზავრმა მიაშობ, სინამდვილეში ჩემივე შეთხზულია – მოწამეთას მონასტრის ხილვით შთავონებული...

**კლდეში გამოკვეთილი ქალაქი**  
არასოდეს შემშურებია დიომიდეს მეტ-

სახელი – არწივთა მომთვიინერებელი. გამოვიტყვი, ცხენის ზურგზე ამხედრებას ბევრად მირჩენია უბრალო ყალმუხური ფორნით მგზავრობა. ჩემს სიცოცხლეში ვერ მოვიპოვე მხედრულ დიდებას. კაკასი-აშიც არაერთი სასაცილო ამბავი გადაამხდა თავს ურა კვიცისა თუ პაპარად შეკაზმული ცხენის წყალობით, მაგრამ მათი მოყოლით მკითხველს თავს არ შევაწყენ.

ჩემი სირცხვილის გამხელის შემდეგ, საჭირო არ უნდა იყოს იმის საგანგებოდ გახახვა, რას ავირჩევდი ჩინებულ ძველ ქართულ ქალაქ გორიდან უფლისციხეში გასამგზავრებლად, სალუჯიანი სომხის მიერ შემოთავაზებულ ტრანსპორტის ორ სახეობას შორის: „ცხვარივით თინიერ“ – როგორც თვითონვე შენიშნა წმინდა სომხური ქათინაურით, – დარახტულ ცხენს თუ ღამაზ, მოხერხებულ „ფაეტონს“.

იმედი მორე დღესვე გამიცრუვდა, თანაც ორმაგად; ჩემი სასტუმროს წინ დილაადრიან ჩამომდგარი ნაქები „ფაეტონი“ არაფრით განსხვავდებოდა ჩვენებური ებრაელების საზიდრისაგან. ამის გარდა, უფლისციხემდე თითქმის სულ ქვეითად სიარული მომიწია!

საქმე ის გახლავთ, რომ გზა მიუყვება მტკვრის გადახრუკულ შიშველ სანაპიროს, იქაურობა დაღარულია ღრმა და ციცაბო კლდეებით, წამლაუწუმ მივადგებოდი ხოლმე უფსკრულს და მეც მეტელის მაგალითი-სამებრ, „ფაეტონიდან“ გადმოვიდოდი, მეტელე ფრთხილად მიერეკებოდა ცხენებს ხან თავქვეზე, ხანაც აღმა, მე კი ფეხდაფეხ მიუჩანალებდი. თუ სწორი გზა შემხვდებოდა, ისევ ფაეტონზე ვჯდებოდი, სანამ ახალი უფსკრულის პირას არ აღმოვჩნდებოდი.

ამ ყოფით მივადწიეთ შიშველ, დაფარულ ფრიალს, რომელიც გამუდმებით მოჩანდა მთელი ჩვენი მგზავრობის მანძილზე. მოგზაურის თვალემა ადვილად შენიშნავს, რომ ეს კლდე ჩვეულებრივი ქარაფი არაა, რადგან ნაირად დასერილ-დაფარულია, თითქოს დროკამის მსახვრად ხელს შეუმუსრავსო.

მე, ასე თუ ისე საქმეში ჩახედული, თვალმოუშორებლივ მიფერებოდი ამ საოცარ კლდეს, ვიცილი, ის თავის წილში ფარავს ტროგლოდიტების (გამოქვაბულების პირველყოფილი ადამიანების სახეობა – ძველბერძნული სიტყვა) ლეგენდარულ ქალაქს – გამოუკვლეველი, უხსოვარი დროის იღუმალ ნაშთს.

გორიდან თბილისში მგზავრობისას მე შევნიშნე მტკვრის გაღმა ციცაბოებზე მიტოვებული ქალაქის ქვაბულები, ჩამავალი მზის არილით განათებული.

მივადქვით კლდის ძირას გაშენებულ სოფელს. სოფელი თხუნელების სოროს ჰგავს. ტროგლოდიტებთან შეხვედრისათვის შესამზადებლად უკეთეს სანახაობას ვერ ინატრებდა კაცი. თუ აქაურები ტროგლოდიტების ჩამომავლებია, მაშინ საუკუნეთა განმავლობაში ოდნავ, სულ ოდნავ აუცილებლიათ თავიანთი საცხოვრისის სახურავი იმ მიწისათვის, სადაც წინაპრები სადგომებს თხრიდნენ. ამ ღარიბული ქართული სახლების უმეტესობა ფერდზეა, სანახევროდ მიწაში გამოჭრილი, ჩანს მხოლოდ წინა მხარე, სიკებისაგან ნაშენი, შეუბათქაშებელი, ფანჯრების ნაცვლად სანათურებია დატანებული. დატკეპნილი ბანი მიწისაგან მწელი გასარჩევია. საჩეხი ვერდნობა ორ-სამ გაურანდავსა და შეუღებავ ბომს. ასე გამოიყურება სახლების უმეტესობა. მხოლოდ თითო-ორთა სახლი ასცილებია მიწას, მოუჩანს ოთხივე სუფთა კედელი და სავსებით გამორჩეული იერი აქვს, თუმცა მათ შუბლსაც სიღატაკის დალი ახის, ბანზე ყრია ხის პრიმიტიული იარაღი. მათ შორის ჩამდგარა ვეებერთელა თიხის ჭურჭელი – ქვევრი, ქვევრისათვის ფსკერი მოუცვლიათ და საკვამურად გამოუყენებიათ.

**თარგმანი ალ. პაპულიასი (გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

## პოეზიის გულისე

### ბატონ რომან ბოცირიძეს

რა ხდება, ხალხო? ღარზე პანიკური ვაი-შეგელებლით თვალემაში ნაცარს რატომ გვაყრის კუპონის გამკუპონებელი? მურმოკრული დიალოგიდან

რომ ხარ ფესკალურ ძრომაში კუპონის გამომკვერავი, გოცირიძენო რომანში ეჭვს ვერ შევიტანთ ვერაინი! ღარიბი დააგლახავე, მდიდრებს ჩუქნიდი აქციებს, თუმცა ისიც ვთქვამთ ახლავე, „მილიონრებად“ გვაქციე! – და გაშრა სისხლი უპოვრის გულისა დადაგულისა, მილიონობით კუპონის ფასად კილოგრამ პურისა. პოდა, დაერწმუნდი უკლებლად, ვის როდის, როგორ „უშველე“?! მოდი, ღაყობას უკელ და ღარს ჩვენ ვუშველით უშენოდ, თან ღიბოს ამოუფუნებთ!

### სძლიე სიხარბესა შენსა! ჯამარაული, ამირდიე ჯაბან აურას!

მამაშვილური შეგონება, რომელიც ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მოწამეთაში შევიქცევი, 13 იანვარს „საქართველოს რესპუბლიკაში“ წიგნიერთათვის ცნობილი ქალბატონის, მარინე (ტუია) ჭყონიას მიერ გამოქვეყნებულმა ღია წერილმა

ძლიერ მეტოქეს სძლიე ბევრთა გასაოცებლად; ნუღარ შეტოპავ, ნუ შეარცხვენ „ქართულ ოცნებას“! სხვას თუ გასწირავ; დაიმძიმებ შენს სინდისს ამით, რადგან მფარველზე ახლოს არის განკითხვის ქამი. ბურთის მადეგარს გამგებლის სკამი რომ განდეს, უნდა უფრთხილდე! იმედი, რომ ხვდები ამდენს. თუმცა შორია და ძნელია გზა სტრასბურგამდე. რკინის ქალამნებს ჩაიცვამენ; ამისი ვწამდე. კისერს მოიტებს, თუ სიხარბემ ავიყოლია, რადგან ამჯერად მუხა შეგხვდა, ანუ ჭყონია\*. ნუ ათქმევინებ; მადა აქვსო ნადეგარისა, ხელმოცარულის, ორი კურდღლის მადეგარისა! რას ვისურვებდი? მინდა გოჩა ჯამარაულიმა სძლიო სიხარბეს, რაც ამკვიდრებს ჯაბან აურას!

### ალექსანდრე შენბელია \*ჭყონი მგერული წარმოშობის სიტყვა და სალიტერატურო ქართულით „მუხის“ შესატყვისია.

### მიქ რე ვარა

მიქ რე ვარა მიღ გურიშა შხვაში უბაღო; ჭუა მოგილექინუ დო რსხებუთ მორთოუ? ჯვირი გიშინუ-გინოიგუ, მიღუ მარლო, ხუს გიმანგენს ალაირე, იკილოთუ?! თიცალ მირე შხვაშ საჭიროს ისაქ-მუანს დო უბადო მუში დუდიშა მიკი ოთუ? მუში მონეთ, შხვაში სარგოთ, მითა თქუანს, ვარა დუღშა ყურუმ ქუა მიქ ოთუ? თე ქიანაშ ცოლა კანონი თეცალიე; ჯვირი დო ფური ოსვენუ დო ვარჩქილენი, ელაბოროთ შხვაში საქმეს მენცარი-ე, უსვენარი შხვაში სხუნუ მარჩიელი. ბურამ ჯიქია, ჩხოროწყუ, ლესიჭინე

გერმანული ავტორები სამეგრელოს შესახებ

(იოჰან ჰაინრიხ ცელდერის ენციკლოპედიის ცნობების მიხედვით)

ცნობილი გერმანელი გამომცემლისა და წიგნებით მოვაჭრის – იოჰან ჰაინრიხ ცელდერის (1706-1751 წწ.) სახელს უკავშირდება ლაიფციგისა და ჰალეში პირველი სრულყოფილი გერმანულენოვანი ენციკლოპედიის 64 ტომად გამოცემა. მისი სახელწოდებაა "დიდი უნივერსალური ლექსიკონი მეცნიერების და ხელოვნების ყველა დარგისათვის". მასში საქართველოს თემატიკისადმი მიძღვნილი 35 სტატიაა შესული. საქართველოს შესახებ ენციკლოპედიაში დაცული ინფორმაცია ქართველი მეცნიერებისა და საზოგადოების ფართო წრეებისათვის ხელმისაწვდომი გახადეს, გერმანული ენიდან თარგმნეს და სათანადო საკვლევი აპარატურითურთ გამოაქვეყნეს თამაზ გოგოლაძემ და გონა საითიძემ (გოგოლაძე თ., საითიძე გ., იოჰან ჰაინრიხ ცელდერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 535). მთარგმნელთა შეფასებით, "იოჰან ჰაინრიხ ცელდერის უნივერსალური ლექსიკონი მსოფლიოს ერთ-ერთი პირველი ენციკლოპედია და, ამავე დროს, ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი საგამომცემლო პროექტია, რომელიც მთლიანობაში 68.000 გვერდს და 290.000 სტატიას შეიცავს" (იქვე, გვ. 536-537).

იოჰან ჰაინრიხ ცელდერი 1706 წლის 7 იანვარს დაიბადა პოლონეთის ქალაქ ვროცლავში (მისი გერმანული სახელწოდებაა Breslau). მამამისი იოჰანი მეწაღე იყო. საგამომცემლო საქმე ვროცლაველ წიგნებით მოვაჭრესთან – კანს ბრაზფოგელთან ბავშვობაში შეუწავლია. 1726 წლიდან ქალაქ ფრაიბურგში ცხოვრობდა, სადაც ცოლად შეირთო ადგილობრივი გამომცემლის, დავით რიხტერის და დროთა განმავლობაში (1695-1755 წწ.). ამავე ქალაქში ცოლისა და ცოლისძმის დახმარებით დააარსა საკუთარი გამომცემლობა და გამოსცა რამდენიმე წიგნი. 1727 წელს მეუღლესთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა ლაიფციგში, რაც მაშინდელი ვერძის ერთ-ერთ უმთავრეს საგამომცემლო ცენტრს წარმოადგენდა. აქაც ცელდერს საკუთარი გამომცემლობა და წიგნების მაღაზია ჰქონდა. საგამომცემლო საქმეში მის პირველ სეროზულ საქმედ შეიძლება ჩაითვალოს 1728 წელს მარტინ დლუიერის თხზულებათა თერმეტრომეული გამოცემა.

1730 წლის 26 მარტს ახალი საგამომცემლო პროექტის, პირველი გერმანული სასაბურთო ლექსიკონის („დიდი სრული უნივერსალური ლექსიკონი მეცნიერების და ხელოვნების ყველა დარგისათვის“) დაარსების შესახებ ცელდერის განცხადებამ მისივე ლაიფციგელი კონკურენტების პროტესტი გამოიწვია, რაც ქალაქ ჰალეში ცელდერის საცხოვრებლად გადასვლის მიზეზი გახდა. 1731 წლის 6 აპრილს ადგილობრივი უნივერსიტეტის კანცლერის – იოჰან პეტერ ფონ ლუდვიგის დახმარებით "გერმანული ერის საღვთო რომის იმპერიის" იმპერატორის, შემდგომში უნგრეთისა და ბოჰემიის მეფისა და ავსტრიის ერცჰერცოგის – კარლ VI პაბსბურგისაგან (1685-1740 წწ.) უნივერსალური ლექსიკონის დაბეჭდვის ნებართვა მიიღო (იქვე, გვ. 537-538).

ცელდერი საგამომცემლო პროექტის დანიშნულებას გადმოგვცემს ენციკლოპედიის საკმაოდ ვრცელ სათაურში. გამომცემელი აღნიშნავს, რომ ენციკლოპედიაში შესულია ყველა სახის ინფორმაცია, რაც „აქამდე ადამიანის გონებას შეუქმნია და შეუსწორებია“. ენციკლოპედიაში შესულია დედამიწის გეოგრაფიულ-პოლიტიკური აღწერა, ასტრონომიული და ისტორიულ-გეოგრაფიული ცნობები, ასევე სტატები წეს-ჩვეულებების, ზღვაოსნობის, ნადირობის, თევზაობის, მადნის მოპოვების, მედიცინის, მიწათმოქმედების, მეცხოველეობის შესახებ. ენციკლოპედიით მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა გვექვს კელდერის ისტორიის, საეკლესიო პირთა, წმინდა მოწამეთა, სექტანტთა და მწვალებელთა შესახებ. მასში წარმოდგენილია ინფორმაციები გამოჩენილი სწავლულების, უნივერსიტეტების, აკადემიების, საზოგადოებებისა და მათი აღმოჩენების, ფარგულე, მიწოდების, ნუმიზმატიკის, ფილოსოფიის, მათემატიკის, მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის შესახებ და ა. შ. (გოგოლაძე თ., საითიძე გ., იოჰან ჰაინრიხ

ცელდერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 538, და იქვე მითითებული ლიტერა).

ცელდერი 45 წლის ასაკში, 1751 წელს, ლაიფციგში გარდაიცვალა (იქვე, გვ. 528). უნივერსალურ ლექსიკონში საქართველოს თემატიკაზე საკითხების დამუშავება შესწავლა და სტატიების სახით შეტანა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთი ევროპა გარკვეულ დაინტერესებას იჩენდა ჩვენი ქვეყნის მიმართ. ევროპულ მეცნიერებს გარკვეული წარმოდგენა ჰქონდათ საქართველოზე. "ადინშული თვალსაზრისით, მართლაც, საინტერესო სურათს ვიღებთ: ირკვევა, რომ ევროპელი მეცნიერებისთვის ცნობილი იყო ანტიკური ხანის ბერძენი და რომელი ავტორების... აგრეთვე რამდენიმე ბიზანტიელი ავტორის... თხზულებებში დაცული ცნობები საქართველოს შესახებ" (იქვე, გვ. 539).

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ცელდერის ენციკლოპედიაში სამეგრელოს საისტორიო გეოგრაფიის შესახებ შესულმა ცნობებმა. სამეგრელოს სამთავროსადმი მიძღვნილი სტატიის დიდი მოცულობა, არანაკლები მნიშვნელობის მქონე სხვა სტატიებთან ("საქართველო", "ქართლი", "იმერეთი...") შედარებით, ცელდერის ქართულ ენაზე მთარგმნელთა მართებული აზრით, "დამოკიდებული იყო არა იმდენად დასაბუთებულ საკითხის მნიშვნელობაზე, არამედ იმაზე, თუ რა რაოდენობის ფაქტობრივ მასალას ფლობდნენ ავტორები ამა თუ იმ სტატიის დაწერისას" (იქვე, გვ. 551).

სამეგრელო (Mingrelien, Mengrelien, Mengrelië, Mingrelia), ცელდერის საენციკლოპედიო სტატიის მიხედვით, მხარეთა საქართველოში, რასაც ამაჰამდ ოდიში ჰქვია, ძველად კი კოლხეთს უწოდებდნენ. აღმოსავლეთით გურჯისტანი საზღვრავს, დასავლეთით – შავი ზღვა, ჩრდილოეთით – აფხაზეთი, სამხრეთით – ოსმალეთი. სამეგრელო მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთით, კავკასიის მთიანეთის მახლობლად. იგი სამ პროვინციას – იმერეთს, გურიასა და სადადიანოს, ანუ საკუთრივ სამეგრელოს აერთიანებს. პირველი სამეგრელოს აღმოსავლეთით მდებარეობს, მეორე – სამხრეთით, მესამე კი – ჩრდილოეთით.

გურჯისტანში, რაც ოდიშის (სამეგრელოს) აღმოსავლეთით მდებარე მოსაზღვრე მხარედ არის მითითებული, როგორც ჩანს, სტატიის უცნობი ავტორი იმერეთის სამეფოს გულისხმობს. თვით იმერეთისადმი (Imerette, Imeretia) მიძღვნილ სტატიაში კი აღნიშნულია, რომ ამ სამეფოს გეოგრაფიკი სამეგრელოს ნაწილად თვლიან. ოსმალები ამ მხარეს ფაშატუსს უწოდებენ. იმერეთის პატარა სათავადოს გარს აკრავს კავკასიონის მთები, კოლხეთი, ანუ ე. წ. სამეგრელო, შავი ზღვა, გურიის სათავადო და საქართველო, ანუ გურჯისტანი (გოგოლაძე თ., საითიძე გ., იოჰან ჰაინრიხ ცელდერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ, 545).

სტატიაში ოდიშის სამთავროს ჩრდილოეთის საზღვრად აფხაზეთის მიჩნევა არასწორია: აფხაზეთის სამთავრო ოდიშის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა, ხოლო ჩრდილოეთით ოდიშს სვანეთი ესაზღვრებოდა. თვით აფხაზეთისადმი მიძღვნილ მცირე სტატიაში აღნიშნულია, რომ მხარე ამ სახელწოდებით (Abascia, Avogasia, Abassa, Abasgia) სამეგრელოს, ჩერქეზეთსა და შავ ზღვას შორის მდებარეობს და ქვეყანას მხოლოდ რამდენიმე დასახლებული პუნქტი გააჩნია (გოგოლაძე თ., საითიძე გ., იოჰან ჰაინრიხ ცელდერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ, 542). უფრო დაწვრილებითი ცნობა, თუ სად გადიოდა ოდიშ-აფხაზეთს შორის გამყოფი ხაზი, ენციკლოპედიაში სხვაგან არის მოცემული.

ასევე მცდარია სამეგრელოს ადგილმდებარეობის მითითება ჩრდილო-აღმოსავლეთით, კავკასიის მთიანეთის მახლობლად. თუკი ავტორს ორიენტირად ერთ-ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი – იმერეთი აქვს აღებული, მაშინ სამეგრელო იმერეთის დასავლეთით მდებარეობს და მათ შორის საზღვარი XVIII საუკუნეში ძირითადად ცხენისწყალზე გადიოდა. თუკი ორიენტირი გურიის სამთავრო, ანუ ენციკლოპედიის მიხედვით ოსმალეთია, სამეგრელოს მდებარეობის მი-

თითება ჩრდილო-აღმოსავლეთით არც ამ შემთხვევაში იქნება მართებული, ვინაიდან ცენტრალური სამეგრელოს სამხრეთიდან ესაზღვრება.

გურიის შესახებ ენციკლოპედიაში მითხრობს მცირე მოცულობის სტატიის ავტორისათვის ცნობილია, რომ გურიის პროვინცია (Guriel, Guria), რომლის მთავარიც ოსმალეთის სულთნის ვასალია, ესაზღვრება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს და მდ. ფაზისიდან (რიონი) გონოს ციხემდე გადაჭიმული (გოგოლაძე, საითიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 543). მაშასადამე, ოსმალეთის დაქვემდებარებაში მყოფი გურია მდინარე ფაზისით იმიჯნებოდა მის ჩრდილოეთით მდებარე ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროსაგან.

სტატიის ავტორის ცნობა, რომ სამეგრელო სამი პროვინციისგან შედგება, როგორც მთარგმნელთა კომენტარში საშარბლონადია მითითებული, შეცდომაა – იმერეთი და გურია სამეგრელოს, ანუ სადადიანოს პროვინციებს კი არ წარმოადგენდა, არამედ დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები იყო. იმერეთი სამეფოს, ხოლო გურია სამთავროს წარმოადგენდა (გოგოლაძე, საითიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 566).

სტატიაში ცალკე ქვეთავად არის წარმოდგენილი მხარის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება: სამეგრელოში, რაც თითქმის მთლიანად ტყითაა დაფარული და ჰავაც ზომიერია, ხშირად წვიმს. დაბინძურებული ჰაერი მოსახლეობისთვის მიძვე ასატანია და საფუხვლობით ხშირად შავი ჭირის გავრცელების მიზეზი ხდება. მცხოვრებლები 60 წელზე მეტხანს იშვიათად ცოცხლობენ. სამეგრელოში ჩასული უცხოელები ერთი წლის განმავლობაში მიღად ყვითლები და სუსტდებიან. სტატიის ავტორი ჩამოთვლის მდინარეებს, რომლებიც კავკასიის მთიანეთში იღებენ სათავეს და შავ ზღვას ერთვის. ესენია: ფაზისი ანუ რიონი, ენგური (ლათ. astolfusi), კელმევი (ლათ. qobusi), ჭანისწყალი (ლათ. kianeusi), ტეხური (ლათ. sigame), ცხენისწყალი (ძველად hipusi ან abAsia), ყვირიალა, ხობისწყალი, ოქუმი, ეხალისი და მოქისწყალი (გოგოლაძე, საითიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 552).

ძველი კოლხეთის პიდრონიშთა შესახებ ცნობები ამოღებულია ძველ ბერძენ და ლათინულ ავტორთა ნაშრომებიდან. ზოგიერთი მდინარის ლოკალიზაციის შესახებ დღემდე აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობაა. ფაზისისა და რიონის იგივეობა ეჭვს არ იწვევს (Fasso, Rione). აკად. ს. ჯანაშია შენიშნავდა, რომ "თვით ფაზის-რიონის შესატყვისობა იმდენად ცნობილია, რომ აქ საჭირო აღარ არის ამაზე სიტყვის გაგრძელება. ცნობილია ისიც, რომ ფაზისი, ძველთა გაგებით, დღევანდელ რიონს მთლიანად არ მფარავს. ქუთაისს ზემოთ ფაზისად ძველი მწერლები უკვე ყვირილას სვამდნენ" (იხ. ჯანაშია ს., შავი ზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია. შრომები, VI, თბ., 1988, 268. დავით და კონსტანტინეს მარტიროლოგი განმარტავს: "მდინარესა მას ფასონსა, რომელ არს ენითა ქართულითა რიონი". იქვე, 269-270).

სტატიაში დასახელებული Cadurs თანამედროვე მდ. კოდორია. XIII-XV საუკუნეებში მოღვაწე ევროპელი კარტოგრაფები – გრაციოზო ბენინკაზა, ფრედუე დანკონე და სხვანი საზღვაო რუკებზე აღნიშნავენ კონცხს – ჩოტო/ჩოტოლო და მდინარეს – ჩოტო/ჩოტოლო/ჩოტოლო. დიეგო სომეხის მიერ 1559 წელს შედგენილ შავი ზღვის რუკაზეც მდინარის სახელწოდებად მითითებულია ჩოტო (მსჯელობისათვის იხ. ბერაძე თ., თოფურია კ., სანაძე მ., სორავა ბ., საქართველოს ისტორიული ატლასი. I. აფხაზეთი. თბ., 2013, 45-47, 97).

XVII ს-ის იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი 1654 წელს შედგენილ სამეგრელოს რუკაზე აღნიშნავს მდინარეს ჩოდდორს-ის, ჩორაზ-ისა (Coddors fe olim Corax) და ჩორაცე-ს ფორმით (ბერაძე თ., თოფურია კ., სანაძე მ., სორავა ბ., საქართველოს ისტორიული ატლასი, 53, 98).

ლამბერტის თქმით, "ყველაზე უკანასკნელი მდინარე არის კოდორი, რომელიც უნდა იყოს (ძველთა) კორაქსი, რადგან კოდორის საზღვრებია (ძველთა სიტყვით) ერთის მხრივ ფაზისი და მეორეს მხრივ – კორაქსი" (ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა. თბ., 2011, 201). უან შარდენის მიერ 1672 წლის რუკაზეც

მდინარის სახელწოდებად აღნიშნულია "Coddor f. ant Corax" (ბერაძე თ., თოფურია კ., სანაძე მ., სორავა ბ., საქართველოს ისტორიული ატლასი, 57).

ნიკოლას ვიტსენი (1641-1717 წწ.) შავი ზღვის რუკაზე აღნიშნავს ამ მდინარეს, რასაც მიწერილი აქვს Koddors aut Corax. ნარტიულ წყაროთა მონაცემები კი ასეთია: ბერძენი გეოგრაფოსი კლავდიუს პტოლემეის (ახ. წ. II ს.) კოლხეთის ქალაქების განლაგებას გეოგრაფიული კოორდინატებით გადმოგვცემს და შენიშნავს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მოედინება დიდი მდინარე კორაქი. კოდორი აფხაზეთიდან მომდინარე კორაქს ავტორთა მიერ ერთი და იმავე მდინარის პარალელურ ვარიანტებადაა მიჩნეული. ძვ. წ. V საუკუნის ავტორის – ჰეკატე მილეთელის მიერ პირველად დასახელებული კორაქსების ტომი, კორაქსების კვლევი და კორაქსების ქვეყანა ამ მდინარის აუზში მდებარეობდა (მსჯელობისათვის ვრცლად იხ. ვანცუკლაძე გ., კვლავ პიდრონიშ კოდორის ეტიმოლოგიისათვის. კრ. "ქართველური ონომასტიკა", VII. თბ., 2015, 66-71).

ცელდერის ენციკლოპედიაში დასახელებული ტერშენი (Tercken), ლათ. თაზირისი (Lat. Thassiris), მკვლევართა აზრით, მდ. მოქისწყალი უნდა იყოს. ასე უწოდებდა მდინარეს თანამედროვე ოჩამჩირის რაიონში; ერთის შავ ზღვას. ტარსურაზე მსჯელობისას ს. ჯანაშია შენიშნავს, რომ "სინგამს მოსდევს მდინარე ტარსურა, რომელსაც ანონიმის დროს თითქოს მოქე თუ მოხეს ეახსენებდნენ. მანძილი მათ შორის უდრის 120 სტ.=23, 5 ვერსს. ტარსური დღევანდელი ოქუმის მდინარედ უნდა ვიგულისხმოდ" (იხ. ჯანაშია ს., შავი ზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია, 278).

ფლავიუს არიანესთან (ახ. წ. II ს.) შავ ზღვაში ჩამავალი კოლხეთის მდინარეები ქალაქ ფაზისიდან სებასტოპოლისამდე (დოსკურამდე) შემდეგი თანმიმდევრობითაა დასახელებული: ფაზისი, ქარიენტი, ქობოსი, სინგამე, ტარსურა, ჰიპოსი და ასტელეფი. ლ. ელნიცკის, ნ. ლომოურის, ნ. კუჭაძის და სხვათა მიერ დასაბუთებულია, რომ არიანესეული ფაზისი – რიონს, ქარიენტი – ხობს, ქობოსი – ენგურს, სინგამე – ოქუმ-კორასწყალს, ტარსურა – მოქეს, ჰიპოსი – კოდორს შეესატყვისება. ამ დასაბუთებაში მკვლევარი მამანტი პაჭკორია სადაოდ მიიჩნევდა მხოლოდ ქარიენტისა და ქობოსის ლოკალიზაციას. მას გაუგებრად ეჩვენება ის ფაქტი, თუ რატომ უნდა მიეღო ერთ მდინარეს, ამ შემთხვევაში – მდინარე ენგურს, მახლობელი მდინარის – ხობის, ანუ ხობოსის/ქობოსის სახელი (პაჭკორია მ., კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიიდან. წიგნი – ფურცლები კოლხეთის წარსულიდან. თბ., 1974, 23).

მ. პაჭკორია იმოწმებს სიმონ ჯანაშიას მსჯელობას მდ. ქარიენტისა და ქობოს/ხობოს ლოკალიზაციისთან დაკავშირებით. ქობ-ე თუ ხობ-ე, ს. ჯანაშიას აზრით, დღევანდელი ხობია. XV ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებულ საბუთში მოხსენიებული კემხელი იგივე ხობია, რასაც პეისონელის შემდეგ ცნობაც ადასტურებს: "le Kobid zkhoi que les Turc appellant par corruption Kemkhal". პეისონელისავე რუკაზე აღნიშნულია "Kobidzkhal, En Turs Kemkhal". უან შარდენიც თავის რუკაზე მითითებს "Kelmhel[!] ant. Cobus" (ჯანაშია ს., შავი ზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია, 274-275). "თუ ზემოთ დადგენილ ლოკალიზაციას მივიღებთ და საფუძველი არა გვაქვს იგი არ მივიღებთ, მაშინ იძულებული ვიქნებით დავასკვნათ, რომ ქარიენტი არის "ცივი", სხვა მდინარე ამ რაიონში არ არის. ცივს ამაჰამდ საკუთარი შესართავი არა აქვს, იგი ხობს უერთდება თითქმის უკანასკნელის შესართავთან, მაგრამ შესაძლოა წინა დამოუკიდებელად შეჭრითადა ზღვას. მისი დღევანდელი მდინარეობა ადრე უნდა იყო, რომ ქარიენტი თითქმის მიდის ზღვის ბაგესთან და მოულოდნელად უხვევს ჩრდილოეთით ხობისკენ, ისე რომ კუთხეს ჰქმნის 90". ამ მოსაზრებას მხარს უჭერს მოცემული სანაპიროს გეოლოგიური ისტორიაც. ქარიენტი სანაოსნო ყოფილა.

იბორ კიკელია, ისტორიის დოქტორი (გაგრძელება იქნება)



მეგობრული გზავნილი აფხაზეთს

გაზეთი „ბალ“-ში რედაქტორ(ც) პატენი ნუბზარ ნურიშ სქუა სალაყაიას)

ირ ფელიში წოხლე ჯან მთელიობას) დო სიკეთეს) გინატრთ). მა დილო მოხილ) თინა, ნამდა თქვან გაზეთიშ არაპა ნომერ(ც) აწოწუნცუ საერთა-შორისო დეკლარაციაშე ეშინაჭარა ზიტყვეფი: „არაპა ხალხის უღუ უფლება, იჩიას) დო ჭარას) მუში ნინაშანი“. თეს) თქვა პრაქტიკულ ხოლო ასრულენთ), თით), ნამდა გაზეთის) აფხაზურ-რუსული ნინეფ წყამა ართო მარ-გალურ ნინაშა ხოლო გემაშქვანთინი. თეთ) უგნძორენთ) ხანც) ჩქინი მარგალურ ნინას) დო ვართ ხოლო ოცადთ) თიში ყვილუას) ართ განი ნტერეფ ცადო.

თენა თაშით ოკო რდას). მარგალეფი დო აფხაზეფი მითაჟამიშე ართო ცხოვრენდეს) დო ზ)სხ)რი დო ხორცით) რენა ართიან წყამა დაკავშერებული. თეშ გურ შენი არაპაშ უმოსი წკონდას) რაგადანც) აფხაზეფიშ დო მარ-გალეფიშ გვარეფი.

ჩქი ხომუ ვა შმაღინენა ართიანიშე ჩქი-ჩქინი ზ)სხ)რი დო ხორცი. ჩქი, ვეშვილუე ართიანი ბჯოლდანი, ართიანიში სიკეთე გამოკოდანთინი, მუ რაგადი ოკო, ართიანიში ინტერესეფიში უგულახუო. ფიფქერენქი, თენა ირო თაში რდ) დო თაშით ოკო რდას) აწწინეშეთი.

გალეიანი დო დინახლენი ნტერეფი ნამუ ხალხის) ვაყუნდუ დო ჩქითი პუნდეს)კონი გასაკგორი ვარე. უჩ)ლათ) ხოლო მითინი ვაყოფე ქიანას), დორთონიშე გარდა. ჩ)ლათა კონეფქი ართიანც) ვაპატიას)ნი, ქიანას) კონიში თასი ვადოსქედ). ფიფქერენქი, ჭიჭე ხალხეფქი, ართიანი ოკო ვაგებჯოღუაო) ვარა გლობალ-იზაციაში პირობეფც) თეში უცბას) დო უკ-ვალეთ) ქაშაბდინთ) ქიანას), მუჭოთი დალუეფი დო ჭიჭე წყარეფი აშადინენა ზღვას)ნი. მუ რა-გადი ოკო, ენა თქვა ჯგ)რო გიჩქენა.

მა მოხილ) თინა, ნამდა აფხაზეფიშ დიდი ნაწილც) მარგალური უჩქი დო არჩქილენი, მარა მოწუხუ, მა აფხაზური ნინა ვამიჩქინი. მუშენი ოკო ვამარაგადეღას) აფხაზური: მო-ხოჯი პატ)ნი, დოხოჯი-მაქი. ბრელი ხანი რე თეშენი ფიფქერენქინი დო ქეშუდ)რთი მარ-გალურიში ჭიჭე ლექსიკონიში ჭარუას). მოკო, თეშე მარგალურ -აფხაზური დო შხვა ლექსიკონეფქი შედ)რთას)ნი. იმენდი მიღუ, თქვა თე საქ)მეს) ხუცუ ქილაძე კენენთ)ნი. ქისხუნუნანთ)და, პატ)ნი ნუგზარი ნურიში სქუა, მორთით), ართო შეგადინანთ) მარგალურ -აფხ-აზური ლექსიკონი. ჩქიმი აზრით, თენა იყუაფუ ართიანიში დაფასება, პატ)ნი ცემა დო სიკეთეში გემოხანტუა. ველქი) თქვანი პასუხის) პატ)ნი ნუგზარი.

მალას) აკოძირაფა დო ართიანიში სიკეთეში მეგებაშუაშა.

დორონთქი გამ გონუნან)! ჰამენი!“ მამანტი გმსაროინიში სქუა ძაძამია, პროფესორი, აკადემიკოსი, წალენჯიხა, ეწყერი

გაზეთი „ბალის“ რედაქტორს ბატონ ნუბზარ სალაყაიას!

უბირველესად გისურვებთ ჯანმრთელობას და სიკეთეს!

ძალიან მახარებს ის ამბავი, რომ თქვენს გაზეთს დევიზად აქვს წამძღვარებული საერთაშორისო დეკლარაციაში დაბეჭდილი სიტყვები: „ყველა ხალხს აქვს საკუთარ ენაზე წერისა და აზრის გამოთქმის უფლება“. თქვენ ამას საქმიოთაც ადასტურებთ, რადგან თქვენი გაზეთის გამოდის როგორც რუსულ და აფხაზურ, ასევე მეგრულ ენაზე, რითაც პატრონობთ მას.

ეს ასეც უნდა იყოს, რადგან აფხაზები და მეგრელები მუდამ ერთად ვცხოვრობდით და სისხლითა და ხორციით ერთნი ვართ. ამას ამტკიცებენ აფხაზური და მეგრული გვარ-სახელები. ერთმანეთს კი ამ ისტორიულ სიკეთეს ვერ შემოვადარებთ! არ შეიძლება, რომ ჩვენ ერთმანეთი გეძულდეს, ერთმანეთისადმი სიკეთე არ გეინდოდეს, რა თქმა უნდა, ერთმანეთის ინტერესების შეუღალახავად. ეს ყოველთვის ასე იყო და ასე უნდა დარჩეს სამარადისოდ. გარეშე მტერი ყოველთვის ეცდება ჩვენი მეგობრობის ხელყოფას და ჩვენი შეცდომების გამოყენებას, შეუმცდარი კი არავინაა ამ ქვეყნად, ღმერთის გარდა. ერთმანეთს რომ შეცდომა არ ვაპატიოთ, ცოცხალი არავინ დაგვირჩევა. პატარა ერებმა ერთმანეთი არ უნდა შევიძულოთ, თორემ გლობალიზაციის პირობებში საერთოდ გაექრებით, ისე, როგორც პატარა მდინარე უერთდება ზღვას. რა თქმა უნდა, ეს თქვენც კარგად იცით.

მე მახარებს ის ამბავი, რომ აფხაზების დიდმა ნაწილმა მეგრული ენა იცის, მაგრამ მაწუხებს ის, რომ მე არ ვიცი აფხაზური ენა. რატომ არ უნდა ვუთხრა სტუმარს აფხაზურ ენაზე: „მობრძანდი, დაბრძანდი“ და სხვა. ამაზე დიდი ხანი ვიფიქრე და შეკუდექი მცირე მეგრული ლექსიკონის შედგენას. მინდა, რომ მის ბაზაზე აფხაზურ-მეგრულად და სხვა ენებზე ლექსიკონები გამოვიცე. ვიმედოვნებ, რომ ჩემს ამ ინიციატივას მხარს დაუჭერთ. ჩემი აზრით, ეს იქნება ერთმანეთის დაფასება, პატივისცემა და სიკეთის გამოხატვა. თქვენგან პასუხს ველოდები, ბატონო ნუგზარ!

მალე გვეხილოს ერთმანეთი და სიკეთე მიგველოცოს!

უფალმა დაგლოცოთ! მამანტი ძაძამია, პროფესორი, აკადემიკოსი, წალენჯიხა, ეწყერი

სექტები, რომლებიც ქრისტიანობამ შარყო

1. კათარიზმი კათარიზმი დასავლეთ ევროპაში მეთერთმეტე საუკუნისას წარმოიშვა და ფართოდ გავრცელდა ერთი საუკუნის განმავლობაში. კათარიზმის მიმდევრებს წამდათ, რომ ძველი აღთქმის ღმერთმა შექმნა სულიერი სამყარო, ხოლო სატანამ მატერიალური სამყარო. ამის გამო ისინი უარს ამბობდნენ მატერიალურ ქმნილებებზე, საკუთარ სხეულებზეც კი.

კათარიზმის მიმდევრებს სწამდათ, რომ ადამიანის სული სინამდვილეში უსქესო ანგელოზი იყო, რომელიც სატანას ყავდა დაწვევლილი მარადიული რეინკარნაციით. სექტა საოცრად პროგრესული იყო გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით. ქალს და კაცს ერთნაირი უფლებები ჰქონდათ და ერთნაირად ეპყრობოდნენ. ასეა თუ ისე, საბოლოოდ კათარიზმი მიზოგინურ სექტად ჩამოყალიბდა შემდეგ კი საერთოდ გაქრა.

2. არიანიზმი მეოთხე საუკუნის ქრისტიანი მღვდლის, არიუსის შექმნილი სექტა მინისტრიული ქრისტიანობის თითქმის იდენტური იყო, მხოლოდ ერთი განსხვავებით: იესო მათთვის ღმერთზე ნაკლები არსება იყო. არიანიზმს მხარს რამდენიმე რომაელი იმპერატორი უჭერდა. მიუხედავად მრავალი მხარდამჭერის და მიმდევარისა, არიუსი გააძევეს და მხოლოდ სიკვდილის წინ მისცეს დაბრუნების უფლება. არიანიზმის ოფიციალური დასასრული მაშინ დადგა, როდესაც იმპერატორმა თეოდოსიუს დიდმა კათოლიციზმი ოფიციალურ რელიგიად გამოაცხადა იმპერიაში.

3. ბოგომილიზმი ბულგარეთში მეათე საუკუნეში შექმნილი სექტა მისი სულის ჩამდგმელის, მღვდელი ბოგომილის სახელს ატარებდა. დუალიზტური სექტის სწავლება იწვევდა, რომ ღმერთს ორი შვილი ჰყავდა - სატანიელი და მიქაელი. უფროსი სატანიელი ღმერთს აუმხედრდა და დედამიწაზე დაეშვა, სადაც ადამიანი და ყველაფერი მატერიალური შექმნა. მიქაელმა, რომელიც შემდეგ იესოდ გადაიქცა, ადამიანის სული შექმნა.

ბოგომილები სიღარიბეში ცხოვრობდნენ და ეკლესიებში სიმდიდრის გამოვლენას გამოვლენდნენ. ისინი ეკლესიებს ნდობას არ უცხადებდნენ და სახლში ღოცვას ანიჭებდნენ უპირატესობას. უარყოფდნენ სექსს, ღვინოს და ხორცს, როგორც სატანიელის ქმნილებებს. ასევე უარყოფდნენ ნათლობას, სამღვდლოებას და რელიგიურ ინვენტარს, მაგალითად ჯვრებს. სექტა მეთხუთმეტე საუკუნემდე არსებობდა.

4. ალოპტიონიზმი მიუხედავად იმისა, რომ ალოპტიონიზმის კვალი მეორე საუკუნეშიც ჩანს, ის იქამდე არ გამხდარა ფართოდ პოპულარული, სანამ მერვე საუკუნეში ესპანელმა ეპისკოპოსმა ელიპანდუსმა არ დაიწყო მისი გავრცელება, როგორც ქრისტიანობის ალტერნატიული აღმსარებლობისა. ალოპტიონისტებს წამდათ, რომ იესო ღვთაებრივი ჩარევის გარეშე მოველინა ქვეყანას. მათი მრწამსის მიხედვით, იესო მისი უცოდველი ცხოვრების გამო იქნა დაჯილდოებული სულიწმინდით ღმერთის მიერ, რითაც ღირსეული ღვთის „შვილი“ გახდა. მოძრაობა მალევე მონათლეს უწმინდურად, სანამ ელიპანდუსმა ძალები არ გააერთიანა ეპისკოპოს ფელიქსთან და ერთად არ დაიწვეს ალოპტიონიზმის თეოლოგიურ დისკუსიებში ჩართვა. ელიპანდუსი ძლიერმორწმუნე იყო, მაგრამ ფელიქსმა ეკლესიისგან წენეს ვერ გაუძლო და სექტას ჩამოშორდა, რამაც მისი საბოლოოდ დაშლა გამოიწვია.

5. ნოვატიანიზმი ნოვატიანიზმის მიმდევრები კათოლიკურ ეკლესიას გამოეყვნენ, რადგან არ წამდათ, რომ ურწმუნოების ეკლესიაში უკან მიღება ნებადართული იყო. რომაელმა მღვდელმა ნოვატიანმა მაშინდელი რომის პაპის კორნელიუსის გაურკვეველი ქდაგებების გამო თავი ანტი რომის პაპად გამოაცხადა. მიუხედავად კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგობისა, მას მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა და სექტაც არსებობდა მის გარდაცვალებამდე. მიმდევრებმა სცადეს შესანდობ ცოდვებში მძიმე ცოდვებიც შეეტანათ, განსაკუთრებით ღალატი. როგორც მრავალი სექტა, ისინიც ერეტიკოსებად გამოაცხადეს და ნოვატიანიზმის მიმდევრებიც მალე აღმოფხვრნენ.

ვინ დატოვა „მაცაცო“ და დაკანონდება თუ არა სოლომ-ბომორის ცოდვა საქართველოში?!

(გაგრძელება მე-4 გვერდიდან) დროა სოციალური ქსელებიდან პარლამენტის შენობის წინ გადავინაცვლოთ და დავითვალთ, რამდენი ვართ, ვინც არ უჭერს მხარს სოლომ-ბომორის ცოდვის დაკანონებას საქართველოში!!!

ქვეყანა ასეთი განსაცდელის წინაშე ჯერ არ დამდგარა. მოვეშვათ ზღაპრებს, რომ საქართველო წმინდა მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და ის ამას არ დაუშვებს - პირიქით, ჩვენი უმოქმედობით უფრო გავაღვიძიანებთ დედა ღვთისმშობელს და ღვთის რისხვაც არ დაახანებს!..

როგორც იტყვიან: „ქუდზე კაცი“ და „მანდილზე ქალი“ ქუჩაში უნდა გამოვიდეს და საკუთარი პოზიცია უნდა დააფიქსიროს. თუ ეს ასე არ მოხდა, გამოდის, რომ ქართველი ერი გადარჩენის ღირსი არ ყოფილა!

ბოლოთქმა: აქსიომაა, რომ

ბიან. დრო კი ჩვენს წინააღმდეგ მუშაობს!

საბოლოოდ გაბატონდება თუ არა სექსუალური უმცირესობა დანარჩენ უმრავლესობაზე და საკუთარი ფეხით მივექანებით თუ არა უფსკრულისკენ, ამას უახლოესი მომავალი ვეჩვენებს. რაც შეეხება მაცაცოს, აღნიშნული სარჩელის პროცირება ლგბტ-ს ნებისმიერ მხარდამჭერს შეეძლო - არ იქნებოდა მაცაცო, იქნებოდა სხვა მაცაცო. აქედან გამომდინარე, საზოგადოების რისხვა არა მაცაცოსკენ უნდა იყოს მიმართული, არამედ, საკონსტიტუციო სასამართლოსკენ და პარლამენტისკენ, რადგან პირველმა, ღმერთი არ გაუწყრეს და სარჩელი არ დააკმაყოფილოს, ხოლო მეორემ დაქარბული წესით შეიტანოს ცვლილება კონსტიტუციაში და ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაუსვას ლგბტ-ს თემით ვაჭრობას საქართველოში!

ზოლო დღეებმა აწვენა, რომ თანამედროვე ინტელიგენციის ე.წ. ცნობადი სახეები შესაძლებლად მიიჩნევენ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას და მათი მხრიდან შეიღების აუვანასაც კი და ამას დემოკრატიის და ადამიანის უფლებათა დაცვის მანტიაში ფუთავენ. რაც შეეხება საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს, სოციალურ ქსელებში არიან შემპერალნი და იქიდან იმუქრე-

ბნელი მატერია აღამიანებს უშილაპი „ვიმპი“ ეჯახება

ბნელი მატერია გამუდმებით მოქმედებს ადამიანებზე. მისი პიპოტეტური ნაწილაკები ადამიანთა სხეულებს გაცილებით უფრო ხშირად ეჯახებიან, ვიდრე ადრე მიანდათ - დაახლოებით, წუთში ერთხელ.

წარმოდგენელი აღმოჩენა გააკეთეს მიჩიგანის უნივერსიტეტის ფიზიკოს-თეორეტიკოსებმა. ამისთვის მათ გამოიკვლიეს ვერცეული „ვიმპი“ (WIMP). ესე იგი, „სუსტად ურთიერთქმედი მასიური ნაწილაკები“ - ბნელი მატერიის პიპოტეტური ნაწილაკები, რომლებიც უნდა გამოჩენილიყვნენ სამყაროს დაბადებისას. მკვლევრებმა იცოდნენ, რომ „ვიმპი“ დიდი ალბათობით „შეხვედობდნენ“ ჯანგაბდისა და წყალბადის ატომებს. ვინაიდან ადამიანის ორგანიზმი ძირითადად წყლისგან შედგება, ხოლო წყლის მოლეკულა ორ ატომ წყალბადს და ერთ ატომ ჯანგაბდს შეიცავს, ადამიანებს დიდი შანსი აქვთ, შეხვდნენ პიპოტეტურ „ვიმპებს“. ამ ნაწილაკების ზოგიერთი ტიპი 70-კილოგრამიანი წონის ადამიანის სხეულს წელიწადში 10-ჯერ მაინც ეჭვევა, ხოლო სხეები - ახი ათასჯერ წელიწადში.

სწავლულებმა შეადარეს სხვადასხვა ტიპის „ვიმპების“ მასა, გავრცელება და დაითვალეს, თუ როგორია ამ ნაწილაკების დაჯახების ალბათობა სხეულის ატომთა ბირთვებთან. ასეთმა დასკვნებმა არ უნდა შეაშინოს ადამიანები, რადგან ბნელი მატერიის პიპოტეტური ნაწილაკები პრაქტიკულად, არ ურთიერთქმედებს ნორმალურ მატერიასთან. დაჯახებები, რომლებიც ადამიანთა სხეულში ხდება ჯანმრთელობისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. სხვა საქმა ბნელი მატერიის ნაწილაკების ერთმანეთთან დაჯახება. თუკი ორი „ვიმპი“ ერთმანეთს დაეჯახება, ისინი ანიგილირებენ - მთელი მათი მასა ერთ ენერჯიად გარდაიქმნება. ანიგილაციის პროცესში გამოიყოფა ენერჯიის მნიშვნელოვანი რაოდენობა - 200-ჯერ უფრო მეტი, ვიდრე პროტონის მასაა. თუ ორი „ვიმპის“ ანიგილაცია ადამიანის სხეულში მოხდება, შეიძლება მუტაცია გამოიწვიოს. თუმცა, ასეთი შემთხვევის ალბათობა ძალზე მცირეა.

ზაურ ნაჭყვია

რუსეთი დემოკრატიულ დასავლეთში არავის შეაშალოს!

„კაცი ის არის, ვინც მამულს ეტრფის და ეთავყვანება, ვისაც ვერ დასძლევს მტრის ოქრო ვერც მისი მკაცრი ბრძანება!“ რაფიელ პრინციპალი

ერთ-ერთ თავგრილობაზე პოეზიაზე საუბრობისას, დამსწრეთ ს. ესენინის ლექსის წაკითხვა შევთავაზე. – ეგ ხომ იმ ჯიშისაა, რომელიც ლამის გორამდე მოვიდა? მაგათი დედაც!... – მესმის სულით ქართველის და გულით მნიშვნელოვანი სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლის გაღიზიანებული პროტესტი.

წარმოუდგენელია, რომ მსოფლიოში ფაშისმიის აღზევების გამო, რომელთან ბრძოლასაც მილიონობით ადამიანი ემსხვერპლა, შევიძლოთ გერმანელი პოეტი პ. პაინე, რომლის ერთი ბჭკარდით კი – „მსურს გოგო გული ჩემი გულივით უმშვენიერეს გრძობებში სავსე“ – კაცთმოყვარეობის უბადლო ნიმუშია; ან ბუმბერაზი გოეთე, რომელიც თავისი „ფაუსტი“ ბაირონის „მანფრედთან“ ერთად იდეურად და სულიერად ეხმარება ჩვენი სათაყვანებელი ნ. ბარათაშვილის „სული ბორცოს“, ისე, რომ ეს პოეტები არც ერთმანეთს იცნობდნენ, არც ერთმანეთის წაწამებებს. მოაზროვნე, სულიერებით მდიდარ ადამიანებს შორის არსებობს სულიერი ნათესაობა და ერთობა.

გერმანელმა ერმა მსოფლიოს გეოპოლიტიკაში თავისი ადგილი კვლავ დაიმკვიდრა, რადგან შეძლო ფაშისტური რეჟიმის შეფასება და დასჯა. ქართველმა ერმა ეს ვერ მოახერხა, რაც პრეცედენტად იქცა უკრაინისთვის და იგი უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდა ფაშისმიის აღზევების მხრივ, რასაც სწორედ დასავლეთმა შეუწყო ხელი. მრავალჯერ გვითქვამს, რომ, თუ არა რუსეთი და რუსი ერი, ჩვენ დღეს სპარსულად ან თურქულად მოლაპარაკებ ბიოლოგიური მასა ვიქნებოდით ან საერთოდ არ ვიქნებოდით. დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში 1921 წელს, როცა მთავრობა გაქცეული იყო, თურქეთი რომ შემოიჭრა და ბათუმი, ფოთი და ოზურგეთი დაიკავა, ვინ გაანთავისუფლა? ლენინს თურქეთთან ომი არ უნდოდა და რომ არა სტალინის მოხერხება და ნიჭი რანი ვიქნებოდით დღეს?

რუსეთში ძველი ჩემი ოპონენტი მეტყვის: ამერიკას და ევროკავშირს ჩვენი ტერიტორიები არ მიუთვისებიაო (!). რად უნდა ტერიტორია, როცა 25 წლის მანძილზე იდეოლოგიურად ისე დაგვანგრია, რომ 5 მილიონნახევარი მოსახლეობიდან 3 მილიონი დავრჩით. ამერიკა შავ ზღვაზე ბაზის განთავსებას ღამობს, ევროპა – ეკონომიკურ ექსპანსიას ახდენს იმ ქვეყნებისას, რომელთაც მიიღეს ამერიკა და ევროკავშირი, ხელისუფლება მოისყიდეს, ჩვენც მივიღეთ ეს ქვეყნები და შედეგიც სახეხა.

ჩემთვის ლიდერი მდომარე ზემანი აღნიშნავს, რომ როცა ამერიკა სხვა ტრადიციების მქონე ქვეყნებს თავის მმართველობის სისტემას თავს ახვევს და ეს ქვეყანა მას არ მიიღებს, ამერიკა მისი მტერი ხდება, ხოლო, თუ მიიღებს, ის ხელისუფლება გახდება თავისი ქვეყნის მტერი.

რუსეთი უდიდესი და უძლიერესი იმპერიაა სხვა იმპერიების მსგავსი მტაცებლური ბუნებით, მაგრამ თავად ქართველი როგორ ექცევა თავის ქვეყანას? თუ რუსეთმა მიითვისა ჩვენი ტერიტორია თავად ქვეყნის ხელისუფლების არაქართული, მანებლური პოლიტიკის შედეგია, მაგრამ, შენ, „ქართული ოცნებავ“ საზოგადოების შეცდომაში შესაყვანად რომ გეკია მხოლოდ „ქართული“, რატომ უყიდი ქართველ გლეხს და ფერმერს მიწას უცხოელზე? ასეთი ხელისუფლება ხალხის პატივისცემა არ იმსახურებს!

დაპირისპირებული მხარის ღირსებებისა და ღირებულებების დანახვის და დაფასების უნარი თავად არის ადამიანური ღირსება. ისტორიიდან ცნობილია, როგორ

დააფასა ველურმა დამპყრობელმა ცოტნე დადიანის თავგანწირვა, ხოლო მე-20 საუკუნის 70-იან წლებში უშიშროების კომიტეტის გენერალ-მაიორი და სამხედრო მეცნიერი თენგიზ ეპიტაშვილი, რომელიც ავღანეთში აქტიურად იბრძოდა, მოწმე გახდა როგორ მიაგებდნენ პატივს ავღანელები ღირსეულ მტერთა საფლავებს, რომელთა შორის გახლდათ გიორგი XI, ქართლის მეფე, რომელიც სპარსეთის ინტერესებს იძულებით ახორციელებდა ავღანეთში და ისე აღესრულა, სამშობლოს მიწის ხილვა ვერ შეძლო. ავღანელებმა ქართველ გენერალს საფლავზე მისვლის და დიდი წინაპრის წინაშე მუხლის მოყრის საშუალება მისცეს.

თუ თურქეთი ჩვენი მეგობარია, რომელმაც უფრო დიდი ტერიტორია წაგვართვა, რატომ გვავიწყდება რუსეთის იმპერიაში საქართველოს ყოფნის დადებითი შედეგები, რამაც საქართველო დღემდე მოიყვანა? ძალიან მოკლედ მხოლოდ სტალინის ეპოქის შედეგები, რათა დიდი ქართველის და პატარა ადამიანების მოღვაწეობას შესაბამისი შეფასება მიეცეთ:

– პატარა ერის შვილი და დიდი ქართველი – ი. სტალინი მოსახლეობას გადასახადებს არ უზრდიდა, პირიქით, ყოველი წლის მარტიდან პროდუქტზე ფასდაკლებები ხდებოდა და ხალხს ცხოვრებასა და შრომას უხალისებდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყოველივე სამამულო ომის, დიდი ნგრევისა და კატაკლიზმების შემდეგ ხდებოდა, რაც სტალინის განსაკუთრებული გონიერებისა და მოსახლეობისადმი დიდი თანაგრძობის მანიერებელია.

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება მოსვლიდან 3 წლის თავზე ლამის ეჩადად იქცა: დენის ტარიფს ზრდის, რაც პროდუქტზე ფასების ზრდასაც გამოიწვევს. ხელისუფლების შენახვა მძიმე ტვირთად აწევს მოსახლეობას მათი საზღვარგარეთული ვიზიტებითურთ.

– დიდ ქართველს ქართველებისთვის ეროვნება და მამის სახელი არ წაუერთვია. დამოუკიდებელ საქართველოში ეს მონური ფსიქოლოგიის მქონე პატარა ადამიანებმა მოახერხეს ევროპა-ამერიკის საამებლად.

– დიდი ქართველის და ქვეყნის მოამაგის მმართველობის პერიოდში სსრკ-ს მთელ ტერიტორიაზე ნარკოტიკის მოხმარება აკრძალული იყო. წარმოუდგენელი და ღირსების შემლახველი იქნებოდა სტალინის აზრი ევროპისთვის კეთისა.

ბ. ივანიშვილის განმარტებით, მაგალითი ევროპის დემოკრატიული ქვეყნებისგან უნდა ავიღოთ. ეს კი ქვეყნის მომავლის დასასრულის დასაწყისია.

– დიდ ქართველს არატრადიციული სექსუალური ურთიერთობა კანონის ჩარჩოებში არ მოუქცევია და ანტიდისკრიმინაციული კანონი არ მიუღია ქართველი ერის ღირსების შესაღებად. მართალია, რუსეთის რევოლუციის შემდეგ გააუქმეს პემოსექსუალების საწინააღმდეგო ყველა კანონი, როგორც ბურჟუაზიული გადმონაშთი, მაგრამ 1934წ. მარტში კალინინმა სტალინის ბრძანებით ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომლითაც კომოსექსუალობა სოც. დამნაშავეობის რიგში დააბრუნა და ლენინის მიერ მინიჭებული თავისუფლება წაართვა.

ივანიშვილის ხელისუფლებამ მართლმადიდებლობას, მორალსა და ზნეობას ზურგი აქცია და ამერიკის ღირებულებებს დაემორჩილა.

– დიდ ქართველს, სისადავითა და უბრალოებით განუმეორებელ სტალინს და პოლიტიკურს წევრებს ხელფასი 10.000 მანეთი ჰქონდათ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს – 20.000 მანეთი, ხოლო პრეზიდენტის წევრებს – 10.000 მანეთი. ფრიადოსანი სტუდენტი 500 მანეთს იღებდა, სტალინური სტიპენდიანტები – 1000 მანეთს.

ივანიშვილის ხელისუფლებამ მოსახ-

ლეობა შიმშილისთვის გაწირა და მინისტრს მინიმუმზე 33-ჯერ მეტი ხელფასი დაუნიშნა.

დღეს მსოფლიო სტალინის მადლიერია, მისი ბიუსტი ამერიკაშიც კი დადგეს და სასაცილოა, როცა პატარა ადამიანები მისი გენის და დეაწლის დამცირებას ღამობენ! ეს თემაც ხელისუფლებისთვის პოლიტიკური დივიდენდების მიღების წყაროდ იქცა.

დღეს სტალინის იდეოლოგიური და იურიდიული სამართალმემკვიდრე რუსეთის პრეზიდენტი ვლ. პუტინი, რომელიც თავად დასავლეთის მოაზროვნე საზოგადოებაში დიდი პატივისცემით სარგებლობს. მან დიად განაცხადა: „საუკუნეების განმავლობაში რუსეთი მთელს კავკასიაში პოზიტიურ როლს თამაშობდა. ასე იყო წარსულში და ასე იქნება მომავალშიც, ეჭვი არავის შეუპაროს!“ – ეს არის გზავნილი დასავლეთისა და კავკასიის ქვეყნებისთვის, მაგრამ ჩვენმა ხელისუფლებამ როგორც ჩანს, რუსეთი სათანადოდ ვერ შეაფასა და კვლავ შეუერთდა ევროკავშირის მიერ განხორციელებულ ანტირუსულ სანქციებს ჩვენივე ქვეყნის ინტერესების საზიანოდ. შედეგად მივიღეთ ემბარგო ქართულ პროდუქტზე! რუსეთი დემოტრაპიულ დასავლეთში არავის შეეშალოს! საინტერესოა, რაში სჭირდება ხელისუფლებას ერთ უხერხულ ადგილზე სადგისით წვრილოვანი მასაჟის ჩატარება, მაზოხისტია?!

ჩვენი ხელისუფლება ქვეყნის გაერთიანებაზე ფიქრის ნაცვლად რუსეთს უპირისპირდება ქვეყანაში ამერიკის ინტერესების ლობირებით. მათი აზრით რუსეთი დამარცხდება და ამერიკა გაიმარჯვებს, მაგრამ არ აკეთებს ანალიზს იმისას, რომ ამერიკა-ევროკავშირმა ვერ მოახდინა ზემოქმედება რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხაბლოს დამოუკიდებლობის აღიარებაზე. დარობაშვილი შეეცადა მათ მოხიბლვას ევროკავშირის ვიხალიბერალიზაციით, მაგრამ მათ არც ევროკავშირი უნდათ, არც ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება. ისინი რუსეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულებით უფრო დაცულები არიან.

ლიტვის ხელისუფლების წარმომადგენელმა სიამაყით აღნიშნა, რომ დახმარების მსურველი ხალხი შემცირდა ქვეყანაში, რაც ფაქტიურად მოსახლეობის 1.700.000-მდე შემცირებამ გამოიწვია. ჩვენი ხელისუფლებაც ამიტომ ესწრაფვის ვიხალიბერალიზაციას: ქვეყანა დაიცვლება ქართველებისაგან, არ არის ხალხი, არ არის პრობლემა.

ამერიკელთა დამპყრობლური მიზნები არ იცვლება, ამიტომ ჩვენ უნდა შევეცვალოთ ჩვენი პოლიტიკა საგარეო საკითხში. საჭიროა შეიქმნას ერთიანი ეროვნული სტრატეგია და პარტიებს შორის შედგეს კონსენსუსი. ვინმეს სჯერა, რომ ვინც დღეს ევროკავშირსა და ნატოს ეტრფის, ეს იდეოლოგიურად ხდება? საკმარისია რუსეთმა დაავინანსოს რომელიმე პარტია თუ ორგანიზაცია, თავპირისმტრევეთ გადამარგდებიან დაპირისპირებულ ბანაკში! სამწუხაროდ, რუსეთი ამას არ აკეთებს, რადგან მას არ სჭირდება საქართველო, რუსეთი ჩვენ გვჭირდება ჩვენი მომავალი მშვიდობიანი თანაარსებობისათვის.

ივანიშვილის ინტელექტუალური პოტენციალი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ფულის შოვნის მექანიზმთან, მის მიერ დანიშნული კადრებითაც იკვეთება. მას ხელისუფლებაში მოკალათებულ ჩინოფიკებთან ერთად კარგად აქვს გაანაზიზებული ქართველი ერის პრეზიდენტი-სული დიაგნოზი – დაავადებული მცირე დებილობის ფორმით. ისიც იცინა, რომ ევროპული ქვეყნების მოქალაქეთა მსგავსად ტარიფის თუ პროდუქტზე ფასების გაზრდის გამო აქციებს თუ გამართავენ, ამას სპონტანური სახე ექნება და მონური მორჩილებით შეეგუებიან არსებულს. ქართველი საზოგადოება ვერ გაიზარდა და ვერ ჩამოყალიბდა სამოქალაქო საზოგა-

დობად. – რა დონემდე უნდა გაუბედურდეს ქვეყანა, რომ ხელისუფლება მიხვდეს ქვეყნის დამლუპველ გზას რომ ადგას? – იკითხავს მავანი. ამერიკელთა ნაბახუსევით ნაკებმა ხელისუფლებამ ყველაფერი კარგად იცის, მაგრამ პოლიტიკურ დივიდენდებს არ დათმობს. ივანიშვილმა პარლმენტი და მთავრობის ნაწილი დაიწუნა და ბრძანა: „მე არ მაქვს ბერკეტი გარდა იმისა, რომ არჩევნებზე მხარი არ დავეჭირო და საჯაროდ წავიდე მის წინააღმდეგ“. როგორც ჩანს ქართველების პრეზიდენტისეული დიაგნოზიდან გამომდინარე კვლავ მათი ნდობის მოპოვებას შეეცდება და ახალი სახეების შექმნით სურს ხელისუფლება კვლავ მართოს.

გადავუხადოთ ბ. ივანიშვილს მადლობა ასეთი პრეზიდენტი რომ აირჩია. მადლობა იმისათვისაც, რომ მისი არჩეული ხელისუფლება არ გვეკლავს და არ გვ-გვს. ამისთვის ხომ უნდა ვაცხოვროთ ფუფუნებაში? ჩვენ კი ბალახსაც მოვძოვთ!

რომ არა წინა ხელისუფლების მანებლური პოლიტიკა, „ოცნებისტები“ არანაირი ნიშნით დადებითად არ წარმოინდებოდნენ. სწორედ ამ ფონზე მთიერ ივანიშვილმა გმირის მანტია. ეროვნული საქმე ქვეყანაში არ გაკეთებულა და არც გაკეთდება. მიზეზი მარტივია: ამით პოლიტიკურ ქულებს ვერ ჩაიწერენ, რადგან დასავლეთის დირექტივების თანახმად ქვეყნის კულტურა და ისტორია ყურადღებას არ საჭიროებს. სწორედ ამიტომ ამოიღეს სასწავლო კურსიდან ი. გოგებაშვილის „დედა-ენა“ და ყოველგვარ ეროვნულს იგნორირებას უკეთებენ: ეროვნული გამოცდების პროგრამაში შეხლდულია „ფეფხისტყალსანი“; სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილის, ივანე ჯავახიშვილის მიერ დაწერილი საქართველოს ისტორია არ უნდა ვასწავლოთ ბავშვებს სკოლაში. ეროვნული საქმის კეთების შემთხვევაში ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები პოლიტიკურ დივიდენდებს, გრანტებსა თუ სხვა დაფინანსებას აღარ მიიღებენ. ამით ჰქვიათ „ქართული ოცნება“! ლიბერალური ეკონომიკა და პოლიტიკა, რომელსაც ივანიშვილი ჩვენს ქვეყანაში ატარებს, მხოლოდ ერთეულების გამდიდრებას ემსახურება. ზოგადად ლიბერალიზმი კი ეროვნული ტრადიციების მქონე ქვეყნისთვის დამლუპველია. დოსტოევსკი მე-19 საუკუნის 80-იან წლებში წერდა: „თუ ვინმე დალუპავს ქვეყანას, ისინი ანარქისტები ან კომუნისტები კი არ იქნებიან, არამედ დაწყვეტილი ლიბერალები“.

ეს ხელისუფლება იდეოლოგიურად მზად არ აღმოჩნდა ჭეშმარიტად დიდი, პატრიოტული საქმეებისთვის და პირად კეთილდღეობას გადააყოლა ქვეყნის მომავალი ისე, რომ 3 წლის მანძილზე მცდელობაც არ ყოფილა რუსეთთან მოლაპარაკებისა, რაც ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. აქედან დასკვნა: მათ ქვეყნის მომავალი არ აინტერესებთ!

ვაცნობიერებ რა ევროპული „ღირებულებების“ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაპოვარს, დემოტრაპიით მონიჭებულ გამოხატვის თავისუფლებას, საქართველოს კეთილმოდეირებულ ხელისუფლებას ჩვენი სულმნათი აკაკის ლექსის ერთი ბჭკარით მივმართავ:

„თქვენსავით ვერ წაიკუზა იარანად – ხარაბუზა“

როგორც წინა, ეს ხელისუფლებაც შენი არჩევანი იყო, ქართველო!

P.S. უარს ვამბობ არჩევნებში მონაწილეობაზე, ვიდრე:

– პირადობის მოწმობაში არ აღდგება ეროვნების აღმნიშვნელი გრაფა;

– პარლამენტი არ მიიღებს კანონს დეპუტატის გამოწვევის შესახებ;

– არ დარეკულირდება სახელფასო სისტემა, რათა მინისტრის ხელფასი გაუთანაბრდეს მინიმუმზე არაუმეტეს ხუთმაგ ოდენობას!

იზა თამაზაშვილი



# ილორო რას ვჭამთ?

პურის ისტორიული მნიშვნელობა და სამართლებრივი რეალიზაცია

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველო პურისა და ღვინის სამშობლოა. ქართველები ოდითგანვე პურ-ღვინით ხვდებოდნენ ახალშობილს და პურღვინითვე კრძალავდნენ მიცვალებულს. ეს ორი პროდუქტი საკრამენტალოა. სათანადო პრეისტორიულ წარსულში უნდა ვეძებოთ.

ქართველი ხალხი ხორბალს იცნობდა ჯერ კიდევ ენეოლითის ხანაში და უკვე მოპყვლით ხორბლის რამდენიმე სახეობა (,,ოვქლი“, ,,ასლი“, ,,დიკა“, ,,მახა“, ,,ხანდური“, ,,დოლი“, ,,ხულოგო“). ხორბლის ამგვარი დიფერენცირებული სახეობრივი სახელწოდება არცერთი ქვეყნის ხალხს არ გააჩნია, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ხორბლის კულტურულ სახეობათა ფორმირებაში ქართველმა ერმა აქტიური მონაწილეობა მიიღო. აკადემიკოს ნ. ვაგილოვის აზრით, ხორბლის ფორმათა წარმოქმნაში საქართველოს განსაკუთრებული ადგილი უკავია.

ქართველთა პრეისტორიულ ნათესავს – ებრაულ ეთნოსს პურ-ღვინის მადლი არასდროს დაუკარგავს. ძველ აღთქმაში მუდმივად ასრულებს პურისა და ღვინის საკრამენტულ რიტუალს, ახალ აღთქმაში ქრისტე წყალს ღვინოდ გარდასახავს, მისი ხორცი პურია, ხოლო სისხლი ღვინო.

საქართველოს სინამდვილეში, პურეულის მონაწილეობის თავისებურებებს ისტორიულად განსაზღვრავდა ეკოლოგიური და სამეურნეო პირობები. სხვა ხალხებისგან განსხვავებით, პურის მოჭარბებული მოხმარება ქართველთა ხასიათშია – პურზე მოთხოვნილების ეს განსაკუთრებული თავისებურება დასაბამს შორეულ წარსულში იღებს.

ქართველთა პურის მოხმარების თავისებურებაში ვლინდება ეროვნულ თვითშეგნებაში გამოხატული სასიცოცხლო უზრუნველყოფის კულტურის მემკვიდრეობითი დირეზულება. პურწარმოების ეროვნულ გამოცდილებაში წარმოდგენილია ეკოლოგიური, სამკურნალო, გერონტოლოგიური, ეკონომიკური და კულტურულ-სამეურნეო მხარეები, რელიგიური და სოციალური ასპექტები.

წინა აზიაში ხორბლის პური უმთავრესი, ყოველდღიური პროდუქტია. ისტორიულად ირანში გარდა ხორბლისა, პურს აცხობენ აგრეთვე ქრისტეან, იშვიათად ჭკვიანსგან. გამოხატვის წარმოადგენს ავღანეთის, ბადახშანისა და ნურისტანის მთიანეთი. ჩრდილოეთ ირანის მოსახლეობის ნაწილში პური არ ითვლება ძირითად საკვებად.

არქეოლოგიური მასალა, რომელიც შვიდათასწლეულით თარიღდება, ადასტურებს, რომ შუამდინარეთში პურცხობა მალე საფეხურზე იდგა. შუამედი ამაყობდა პურით – ცივილიზებული შრომის ნაყოფით. გილგამეშმა, ურუქის მეფემ, გადაწყვიტა ადამიანურ კულტურას ახიაროს ეს ქიღღა და გაუმასპინძლა შუამედი შრომის ნაყოფით, პურითა და ღვინით. ეს ქიღღა, რომელიც მუდამ ნადირთა რქეს შეეძკვოდა არ იცოდა პურს როგორ ჭამენ და როგორ სპავენ ღვინოს და გაცივებული უყურებდა მირთმეულ ძღვენს.

უძველესი ბერძენები პელაგებიდან ხორბალს ეხიარა, ხოლო პურცხობის ხელოვნება კვიპტელებისგან შეითვისა. ძველი ბერძენები პურს აცხობდნენ სპეციალურ ქოთნებში **“ქლიბანოსში”**. აქედანაა წარმოშობილი ძველბერძენული სიტყვა **“ქლიბოს”**, რომელიც მოგვამ მიიღეს ძველმა გერმანელებმა (**“ხლად”**), მა სხვა ხალხმა (ესტონელებმა – **“ლეიბ”**), მათ შორის რუსებმა **“ხლებ”**. პურცხობის საქმეს რომაელები ბერძენებისგან ეხიარნენ, შემდეგ მისი გადაადგილება მოხდა ჩრდილოეთით. ამრიგად, პურს – ცივილიზებული შრომის ნაყოფს, ევროპელები ეხიარნენ პროტოქართველებისგან. გასულ საუკუნეებში ევროპაში ხორბლის პურს გაცივებით ნაკლებად მოიხმარდნენ, ვიდრე ჭკვიანსა.

პურის მოხმარების თავისებურებებს ქვეყნის ეკოლოგიური და სამეურნეო პირობები განსაზღვრავს. ამ მხრივ პურეულის მოხმარება მრავალფეროვანი იყო საქართველოში. მოხმარების თავისებურებებს განაპირობებს გეოგრაფიული გარემო. ხორბალი ხარობს შედარებით თბილ მხარეში, ჭკვიანი – შედარებით ცივში. ასევე, ნიადაგობრივი თავისებურებები განაპირობებს ფეხებისა და ღვინის მოყვანას. ამის გამო აღმოსავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობაში დომინირებდა ხორბლის პურის მოხმარება; დასავლეთ საქართველოს ბარში – ღვინო და მჭადი; აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ქრისა და ჭკვიანს ნახავი პური; დასავლეთ საქართველოს მთაში – მჭადი და ქერის პური. საქართვე-

# ანუ, პური მტერი და პური მარბეული!

ლოს სხვადასხვა კუთხეში აცხობდნენ: ხორბლის და ფეტვის ნახავი ფქვილისგან **“მჭადპურას”**, ქერისა და ხორბლის ნახავით – **“ქერჭრელას”**, ქერისა და ჭკვიანსგან – **“ქერსეულას”**, ქერისა და დიკისგან **“ქერდიკას”**. ხორბალში ზოგჯერ სოლონჯსაც ურევდნენ, რაც მეტ სურნელებს აძლევს პურს. აღმოსავლეთ საქართველოში ერთი სული მოსახლე ჭამდა ყოველდღიურად 14 კილოგრამ პურს. პურზე მოთხოვნილების ეს თავისებურება დასაბამს იღებს პრეისტორიულ წარსულში, იგი შორეული წინაპრის შუამედი-ქალდეური გენეტიკის კოდშია ჩანაწერილი და ჩვენს ქვეყნობიერებაში ჩაბეჭდილი.

## შეცვლის თუ არა პურს პარტოზილი?

სადღესოდ პურის შემცველად მიღებულია კარტოფილი. მისი სამშობლოა პერუ, იგი ევროპაში იძულებით გაავრცელეს მეფექსმეტე საუკუნის მეორე ნახევარში და შემდეგ გავრცელდა ყველგან, აზიასა და აფრიკაში. კარტოფლის მეცნიერება აფასებს მაღალკალორიულობის გამო, როგორც მასობრივი კვების საშუალებას. ამბობენ, რომ იგი **“მეორე პურია”**. სინამდვილეში საკითხი არ წყდება კარტოფილის სახარებებზე.

ძალგურძენისებრთა ოჯახის წარმომადგენლები მომწამლავე მცენარეებია. მათ მიეკუთვნება: ლენცოფა, ბელადონა, ლემა, თამბაქო და კარტოფილი. შხამიან მცენარეებში ღრმადია ჩადებული ცხოველურ-მშენიერი არსი, რაც გამოც ნორმალურად არ წარმოადგენს ცილის წარმოქმნის პროცესს და შედეგად მცენარე გამოიმუშავებს ალკალიიდებს. კარტოფილის მიწისქვედა ნაწილში წარმოიქმნება ტუბერები – მცენარის სახეშეცვლილი ღერო, მას **“პლანეტის ბნელი გონების ნაყოფს”** უწოდებენ. კარტოფილის ტუბერის ინსოლიაციის (მზით დასხივება) შემთხვევაში წარმოადგენს ალკალიდის წარმოქმნის პროცესს, ამ დროს ტუბერი მწვანდება და მასში გროვდება მომწამლედი ალკალიდი სოლანიინი, რაც ადამიანის სიცოცხლისათვის მეტად საშიშია. ასევე, კარტოფილის ყვავილებს და მიწისხედა ნაყოფს წარმოადგენს საშიშ მცენარეულ შხამს.

კარტოფილის უმთავრესი ნახშირწყალი – სახამებელი ლოკალიზებულია ტუბერებში, მისი მიკროსკოპული სურათი მეტად განსხვავებულია პურეული მარცვლეულის სახამებლისაგან. ამ ნახშირწყალის გადახარშვა ისე ადვილად არ ხდება, როგორც ხორბლის შემთხვევაში. ხორბლის პურის ჭამისას გადაიშლება ხდება კუჭსა და ნაწლავებში; კარტოფილის გადაიშლება პროცესის დასრულებაში მონაწილეობას იღებს თვით ტვინიც, განსაკუთრებით დაკავებულია შუა ტვინი. ეს არანორმალური გარემოება უჩვეულოა ჩვენთვის. კარტოფილით ცალმხრივი კვების შედეგად სამშენიველ-სულოვიერი არასწორად ინერგება ადამიანის ფიზიკურ სხეულში, რის შედეგად შთამომავლობა იბადება ცხოველებისეულად ნაკლებად მდებარე. თუ ეს სასიცოცხლო ხარვეზი განმეორდება რამდენიმე თაობაში, დადგება და დრო, როდესაც ადამიანი უძლეური გახდება ებრძოლოს მხარდ დეგენერაციას.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში შეინიშნება კარტოფილის მოჭარბებულად მოხმარება. ქართველი ახალგაზრდობა ეტანება სწრაფი კვების ობიექტებში კარტოფილის არატრადიციულ ნაწარმს. ეს გარემოება საგანგაშოა.

## ტრადიციული ქართული პურის წარმოება საფრთხეშია!

კლასიფიკაციის მიხედვით, სამი ბოტანიკური ოჯახიდან უმთავრესს წარმოადგენს პურეული მარცვლეული: ხორბალი, ჭკვიანი, ქერი, შვრია, ფეტვი და სიმინდი. ქართული გაგებით, პური მხოლოდ ხორბლის ფქვილის და საფურათან ერთად მოხედილი ცომისგან გამოიღებება პროდუქტია. სხვა პურეული მარცვლის ნამცხვარს, მაგალითად, ფეტვისა და სიმინდის პროდუქტს, მჭადს უწოდებენ, ხოლო ხორბლისა და ქერის ნახავს – **“ქერჭრელას”**, ხორბლისა და სიმინდის ან ფეტვის ნახავისგან მიღებული ნამცხვარს – **“მჭადპურას”** და **“ქერსეულას”** – ქერისა და შვრიის ფქვილის ნამცხვარს. ამრიგად, მჭადი, ღვინო (სიმინდის ან ფეტვის ფქვილის მოხარშული პროდუქტი), **“ქერჭრელა”**, **“ქერსეულა”**, **“ქერდიკა”** პურის ფუნქციას ასრულებდა ქართველთა კვების რაციონში. ეს კი ასახულია ხალხურ ლექსში:

**“მე ჯავახეთს რა მიშავდა, მთვარე იყო მხესავთა, კალმახი და ქერის პური წინ მყვარა ბესავთა”.**

ჭკვიანს, ქერის და შვრიის ხორბალთან ნახავი ფქვილისგან გამოიქცევა პური უდავოდ დიეტური და სამეურნალო პროდუქტია. წარსულში, **“ქერჭრელას”**, **“ქერსეულას”**, **“ქერდიკას”** მთიელების მიერ პურად მოხმარების აუცილებლობა გამოწვეული იყო ქერის, ჭკვიანსა და შვრიის კულტურების გეოგრაფიული გაფენილობით და ხორბლის ნაკლებობით. ამიტომ, ქართველ მთიელთა იერსახე, ხალისიანი და ოპტიმისტური განწყობა გვარწმუნებს, რომ მათი კვების რაციონი ამ მხრივ სანიშნოა. ამგვარი პროდუქტით ხანგრძლივ მოხმარებას, ცხადია, დიდი გავლენა უნდა მოეხდინა ამ ხალხის მენტალიტეტზე.

პურეული მარცვლეული კულტურების ცილები უმთავრესად მიეკუთვნება პროლაიმინებს და გლუტამინებს. ამინომჟავების შემცველობის მიხედვით პურეული მარცვლეული ხასიათდება ამინომჟავების – ლიზინის, ტრიფტოფანის, ტრეონინისა და მეთიონინის ნაკლებობით. ამით ხსნიან პურის ცილების არასრულფასოვნებას. პურეული მარცვლეული შეიცავს არასახამებელ პოლისაქარიდებს (ცელულოზა, პემოცელულოზა, პექტინი), რომელთაც არასწორად ბალასტურ ნივთიერებას უწოდებენ იმის გამოა, რომ მათ ადამიანის ორგანიზმი ვერ თვისებს. არადა ისინი დიდ გავლენას ახდენენ საჭმლის მონელებაზე და ათვისებაზე.

ეს ნივთიერებები ორგანიზმიდან გამოყოფენ მძიმე მეტალებსა და რადიაციულ ნივთიერებებს. ფიზიოლოგიურად აქტიურ ამ ნივთიერებებს თითქმის არ შეიცავს უმაღლესი ხარისხის ხორბლის ფქვილი. უჯრედის (ცელულოზა) მდიდარია ხორბლის ცხვილი (19%), ჭკვიანს ცხვილი (18%) და ქერის ფქვილი (15%).

ამრიგად, მაღალი ფიზიოლოგიური ღირებულებით ხასიათდება ხორბლის მეორე და პირველი ხარისხის ფქვილისგან გამოიქცევა პური (ე.წ. **“შავი”** და **“რუხი”** პური), ჭკვიანს და ჭკვა-ხორბლის ნახავი ფქვილისგან გამოიქცევა პური. ხორბლის ფქვილი შეიცავს მომეტებული რაოდენობით უჯრედის, ცილებს (გლიადინი და გლუტელინი) – წებოვარას, ჯგუფის ვიტამინებს, ფოსფორსა და მაგნიუმს, გამოირჩევა მაღალი შეთვისებითა და კალორიულობით. ხორბლის ცილები ცომის მოხელების ორჯერ მეტ წყალს შეითვისებს და წარმოქმნის წებოვარას. წებოვარას მეშვეობით ცომი ხდება კარგი აირდამჭერი, ფორფხი და რბილობის ნახი ელასტიურობის მქონე.

ჭკვიანს ფქვილი გამოირჩევა პოლისაქარიდ-გლუკანისა და ლორწოს შემცველობით. ხორბლისა და ჭკვიანს ფქვილი არსებითად განსხვავდებიან ცილოვან-პროტეინაზული და ნახშირწყალ-ამილაზური კომპლექსებით.

სადღესოდ ქერი და შვრია პურცხობაში არ გამოიყენება. არადა, კვებაში დიეტურ და სამეურნალო თვისებებს განაპირობებს ქერში სილიციუმის და შვრიაში მაგნიუმის შემცველობა. სწორედ ამის გამო **“ქერჭრელა”** და **“ქერსეული”** დიეტური და სამეურნალო პროდუქტია.

პურცხობაში ქერისა და შვრიის გამოყენების შესახებ ჩვენ უნიკალური მასალა მოგვეპოვება. ქართველები ჭკვიანს ნაწარმს პურს არ უწოდებდნენ, პური მხოლოდ ხორბლის ფქვილის ცომის აფუხებით მიღებულ ნამცხვარს უწოდებოდა, უფურავი ცომის ნამცხვარი ხშირად.

საქართველოში ღვინისა და პურის, როგორც საკრალური პროდუქტების გაუწმინდებლობა (ფალსიფიკაცია, ტრადიციული ტექნოლოგიების ხელყოფა – გაუკუღმართება) წარმოუდგენელი იყო. ეს ტენდენცია საქართველოში შენარჩუნებული იყო მეოცე საუკუნის პირველ ნახევრამდე, მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან წლებიდან იწყება ჯერ ღვინის, შემდეგ კი პურის ტრადიციული ფალსიფიკაცია. ეს ის პერიოდია, როცა დასავლური რაციონალიზმი და პრაქტიციზმი იმარჯვებს აღმოსავლურ სიმბოლურს. სადღესოდ, არატრადიციული ტექნოლოგიების დანერგვამ საშიშროება შეუქმნა ქართველთა მოღვაწის არსებობას. არაერთხელ გვითქვამს, ყველა დაავადება გამოწვეულია საკვებით და ზოგადად კვებით.

სახალხო ჯანმრთელობის წინაპირობად უნდა ვაცხოთოთ ადამიანის უმთავრესი საკვები, ყოველდღიური მოხმარების პროდუქტის – პურის გაკეთების მონიშვნა (გაუმჯობესება-განახლება). პურცხობა უნდა ეფუძნებოდეს უძველეს ცოდნას და გამოცდილებას.

ცოდნა და გამოცდილება გუარანახობს, რომ პურცხობაში ფქვილი გამოყენებული უნდა იყოს დაფქვიდან მოკლე ხანში, რადგან მარცვლის დაფქვისთანავე იწყება ფქვილის

დაბერების პროცესი (სიცოცხლის მიწვევა)...

ფქვილის წარმოებაში გამოყენებულია კლასიკური მრავალსაფეხურიანი დაფქვის მეთოდი. ამ მეთოდით ვღებულობ სუთი ხარისხის ფქვილს: პიკი (დუნსტი), უმაღლესი ხარისხი, პირველი ხარისხი, მეორე ხარისხი და ცხვილი. თანამედროვე ტექნოლოგიით – რთული დაფქვით, იჭკვება ენდოსპერმი, ხოლო მარცვლის გარსი, ალვიონის შრე და ჩანასახი გამოცალკევდება, რითაც მიღებული ხარისხობრივი ფქვილი ვიტალობს მოკლეულია, იგი **“მკვდარია”**. ხარისხობრივი ფქვილის ვიტალობს გაზრდის მიზნით, რაც ქვეყნებში (განსაკუთრებით აშშ) ფქვილს უმატებენ რკინას და ვიტამინებს. ხშირად ცომში რბილი პურის მისაღებად უმატებდნენ ძლიერ ჰიდრირებულ ცხიმს. ამდგვარი პური წაავსებს პენოპოლისტიროლს. დასავლეთში ფიტობენ, რომ რაც უფრო მეტ დანამატებს შეიტანენ პურში, მით უფრო გაკეთილშობილდება ნაწარმი. სინამდვილეში, წერტილად დაფქვით (დაბალი დაფქვა), ერთჯერადი დაფქვით ვღებულობთ მაღალი ვიტალობის პროდუქტს. პური არ საჭიროებს ხელოვნურ გაკეთილშობილებას, იგი ბუნებრივი პროდუქტია. პურის, ისევე როგორც ღვინის, ხელყოფა მკრეხელობაა.

იგი ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც მიესადაგება საკვებ არეს და გარემომცვე პირობებს. ხახვასით უნდა ვთქვათ, რომ ნახშირწყლების რემეჯავდ გარდაქმნა ხუხვად შესაბამება ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლას (შაქრის გარდაქმნა რემეჯავდ). ამით ტრადიციული პურცხობა, ჯანმრთელობის თვალსაზრისით, დიდი უპირატესობით გამოირჩევა, მაგრამ ინდუსტრიულ (ქარხნულ) მეთოდთან შედარებით მეტ დროს მოითხოვს.

დღეს გამოყენებული **“სწრაფი საფურავი”**, **“ხელოვნური საფურავი”**, სპეციალურად გამოყვანილი ძლიერი ლაქტობაქტერიები, საფურავის სოკოები და აქტიური ფერმენტები წარმოადგენს ნივთიერებათა ცვლას, რომელიც რადიკალურად განსხვავებულია ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლისგან. ამასთანავე, კუჭნაწლავში ფქვილოვანი ნაწარმის **“არასწორი მიმართულების”** დაშლის შედეგად წარმოიშობება საგანგაშო სამედიცინო პრობლემა: სოკოვანი დაავადებები, პიროსპოზი, ორგანიზმისთვის განსაკუთრებით საშიშია **“გაველურებული”** საფურავის სოკო, რომელიც წარმოშობს რახის ზეთებს, დაბალვალენციან ცხიმოვან მჟავებს და მრავალ სხვა ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც დამახასიათებელი არ არის ადამიანის ნივთიერებათა ცვლისათვის.

საერთაშორისო სტანდარტის განმარტებით, ხარისხი არის ობიექტის მახასიათებელთა ერთობლიობა, უნარი, დააკმაყოფილოს დადგენილი ან საკვარული მოთხოვნილებანი. ეს განმარტება ჩვენ შემთხვევაში გაუგებარია. გაუგებარია იმიტომ, რომ შენდობულა აქ ლაპარაკია მოდიფიცირებულ მოთხოვნილებებზე, რომელიც ტექნოკრატია **“აღზარდა”** ადამიანებში.

ამასთანავე, ადამიანებმა უარყვეს პურცხობის უნიკალური ტრადიცია და აღიარეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უნივერსალურობა. **“ნაკლები ეკონომიკური დანახარჯებით მეტი პროდუქტის წარმოება”** ტექნოკრატების უტოპიური ილუზია, ან გამიზნული ვერაგობაა. ინდუსტრიულ პურცხობაში მომჭირნეობა ვერ გაუტოლდება სხვადასხვა საშიშ დაავადებათა სამეურნალო ხარჯებს!

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, დღევანდელ ქართველ მეწარმეთა ერთი ნაწილი, მოსახლეობას სიბნელეში ამყოფებენ. ძველი ტექნოკრატები და ახალი ლიბერტიანელები უნისონში არიან, არაფრად დაგვიდვენ ადამიანთა ჯანმრთელობას, თონდ მიიღონ, რაც შეიძლება მეტი მოგება!

გვახსოვდეს: საკვები პროდუქტის ხარისხი განისაზღვრება მრავალი ასპექტით, მისი გაგება დამოკიდებული უნდა იყოს ქვეყნის ისტორიასა და კულტურაზე, ჩვენებსა და კვების ხასიათზე.

ქართველთა კვების კულტურა უნიკალურია. ეს ყველაფერი, რაზეც ჩვენ ვისაუბრებთ, დიდი ექსპრესიით აქვს ნათქვამი ცნობილ ქართველ პოეტს მურმან ლებანიძეს:

**“ქარხნის ცომ-პურა მომშულდა, ვარ დედა-პურის ნატრული, მოლურჯო პური მომსურდა პური მომსურდა ქართული”.**

პოეტი მოლურჯო პურში მახლობლიან პურს გულისხმობს.

**პაატა კოლუაშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის აკადემიკოსი**

სიცოცხლეში უკვდავად და ლეგენდად ქცეული

(მამანტი ძაძამიას დაბადების 75-ე წლის საიუბილეო ღონისძიების მოხსენებიდან)

პატივცემულო საზოგადოება!

მაქვს პატივი, წარმოგიდგინო მოხსენება ჩვენი სასიქაღლო იუბილარის, წალენჯიხის რაიონის მეკიდრის, პროფესორისა და აკადემიკოსის ბატონ მამანტი ძაძამიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. თუმცა, ამაზე უფრო სრულად მეტყველებენ მისი მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ნაშრომები და ამ ნაშრომების რეცენზია-შეფასებებები, რაც სისტემატიურად ქვეყნდება მიუღი რიგ ჟურნალ-გაზეთებში.

საყოველთაოდ ცნობილია, განვითარების რა დონეზეა მიაღწია კაცობრიობამ მეცნიერების მრავალ დარგში, განსაკუთრებით, ბოლო საუკუნეებში. დღეს უკვე არავის უკვირს, რომ მეტრებისა და კილოგრამების სიზუსტით არის გაზომილი დედამიწის, მთვარის, სხვა ციური სხეულების გარეშე მოწოდება, დიაგნოზი, მოცულობები, მასები, დაშორებანი ერთმანეთისაგან და ასე შემდეგ. ასევე არავის უკვირს ტელევიზორის, კომპიუტერის, მობილური ტელეფონის და სხვათა არსებობა.

მაგრამ, ადამიანმა, მრავალსაუკუნოვანი დაინტერესებისა და შესწავლის ცდის მიუხედავად, ვერა და ვერ შეხდომი ენის წარმოშობის საფუძვლის წარმოჩენა, და, მსოფლიო ენათმეცნიერებამ ამ საკითხის შესწავლა საერთოდ შეუძლებლად გამოაცხადა. ეს აზრი აქ თითქმის ორასი წლის განმავლობაში ბატონობდა. ეს იმდენი, რომ ენის წარმოშობის შესახებ წამოყენებული ვერც ერთი თეორია, - ისინი კი ძველი წელთაღრიცხვის მექანიკურ საუკუნოდანაც არსებობდნენ, - ვერაფერს ვერ დაამტკიცა. ეს თეორიები სათითაოდ უარყოფილ იქნენ საპირისპირო თეორიების მიერ.

ასეთ პირობებში, მამა და შვილმა თანავეტორებმა, მამანტი და ცირა ძაძამიებმა, ჯერ კიდევ 1997 წელს გამოცემული ნაშრომით, „ენის წარმოშობის საიდუმლოება“, წარმოაჩინეს ენის წარმოშობის ჭეშმარიტი საფუძვლები. მათ, გამოკვლევის ობიექტის - მეგრული ენის ყოველმხრივ შესწავლის საფუძველზე, დაადგინეს, რომ საგნებისა და სხვა მონაცემების სახედობის, სამეცნიერო ბეგრებისა და სიტყვების წარმოშობის, მოღიანად ენის წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს ხმაბაძვილობა, უფრო ზუსტად, ბუნებაში მოცემული ბეგრებისადმი ანუ ბუნების საგნების მიერ გაღებული ბეგრებისადმი ხმის მიბაძვა.

ახალი, დამატებითი არგუმენტებით სრულად წარმოაჩინეს ენის წარმოშობისა და განვითარების საფუძვლები, მათ, თავიანთი მორთავი ნაშრომებით.

3600-მდე ნაშრომი, მათ შორის, 16 მონოგრაფია მიუძღვნეს მამანტი და ცირა ძაძამიებმა ენის წარმოშობა-განვითარების საკითხების შესწავლას.

კერძოდ, 2097 წელს გამოცემა მათი ერთტომეული სახელწოდებით: „ენის წარმოშობის საიდუმლოება“, 2003 წელს, - ერთტომეული „სიტყვათწარმოება - ენის წარმოშობის საფუძველი“, ხოლო 2007 წელს, - შვიდტომეული, სახელწოდებით: „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმოება“. ამასთან, ავტორებს მომზადებული აქვთ გამოსაცემად: ერთტომეული: „ენის წარმოშობის საფუძველი“, 6 ენაზე გამოსაცემად: „მეგრული ენა (ლექსიკონი, ფონეტიკა, მორფოლოგია, სიტყვათწარმოება)“, სამტომეული: „საინტერესო მონაცემები საენათმეცნიერო და ზოგადსაზოგადოებრივ საკითხებზე ზოგადსაზოგადოებრივ პირობებში ზრდილი (ფაქტები, პირობები, დასკვნები)“ და ოცტომეული „მეგრული ენა - ენის წარმოშობისა და განვითარების ცოცხალი მატანი“.

აღნიშნული ოცტომეული შეიქმნა და კომპიუტერული ვერსიისა და ამონაბეჭდის სახით წარმოდგენილია მამანტი ძაძამიას მთელი ოჯახის ერთობლივი მუშაობით. ამჟამად ისინი ერთობლივად მუშაობენ მეგრულის ლექსიკონის მრავალტომეულ ოცტომეულს, მათივე ვარაუდით, 25.000-ტომეულის კომპიუტერული ლექსიკონის შედგენაზე, რისი პირველი ასტომეულიც, ბატონ მამანტის თქმით, უკვე ხელთა აქვთ. ეს, სხვათა შორის.

მამანტი და ცირა ძაძამიებმა თავიანთი ნაშრომებით, საკაცობრიო მნიშვნელობის საკითხის - ენის წარმოშობის საკითხის შესწავლასთან ერთად, წარმოაჩინეს, რომ გამოკვლევის ობიექტი, მეგრული ენა წარმოადგენს უმდიდრესი ლექსიკის მქონე ენას მსოფლიოს ენებს შორის. მათ მიერვე შემუშავებული განსაკუთრებული ხერხის გამოყენებით, მათ, შვიდტომეულში დააფიქსირეს 294 მილიონამდე სიტყვა, ხოლო ოცტომეულში წარმოადგინეს მეგრულის სრული ლექსიკა, რამაც შეადგინა 1 მილიონად 410 მილიონზე მეტი სიტყვა, პარალელური და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ. აქედან, მათი ვარაუდით, თანამედროვე მეგრულში ხმარებადია 500 მილიონი (თუ არა მეტი) სიტყვა. ეს ფანტასტიკურია მაგრამ, ასეთია რეალობა ამ ნაშრომების მიხედვით.

მათვე წარმოაჩინეს და დაასაბუთეს, რომ მეგრული ენა, იგივე კოლხური ენა უშუალოდ გაგრძელება პირველქმნილი იაფგურული ენისა და წარმოადგენს ადამიანთა ენას, ადამის ენას. ამას უკვე ლონდონის უნივერსიტეტის ენათმეცნიერებაც ადასტურებენ, როგორც ეს ერთ-ერთი მათგანის მიერ, ამას წინათ, პოსტკრიპტუმის სატელევიზიო გადაცემაში მოვისმინეთ. ამგვართა შესახებ აქ მეტი არ გავაგრძელებ.

ფრიად სასიხარულოა, რომ ავტორების უკვე გამოქვეყნებულმა ნაშრომებმა მაღალი რანგის ენათმეცნიერების, ფილოლოგების, ასევე სხვა დარგების სპეციალისტებისა და მკითხველი საზოგადოების დიდი მოწონება და აღიარება დაიმსახურეს. ამაზე მეტყველებენ შემდეგი ფაქტები:

200-მდე რეცენზია-შეფასება აქვთ მიღებული ავტორებს მათი ნაშრომებისათვის. ამასთან მიღებული აქვთ გამოხმაურებანი უცხოეთის მრავალი ქვეყნიდან, მათ შორის: ესპანეთიდან, საფრანგეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ინგლისიდან, თურქეთიდან, შვეიცარიიდან, ავსტრიიდან, გერმანიიდან, ნორვეგიიდან, რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკიდან, კანადიდან... 5 ქვეყნიდან ავტორებს სახლში სტუმრობდნენ დაინტერესებული ადამიანები, ხოლო 4 ქვეყანაში მიწვევაც აქვთ მიღებული.

სწორედაც ენათმეცნიერული ნაშრომებისათვის, მამანტი ძაძამია, რომელიც ძირითადად სპეციალობით აგრონომი და ეკონომისტი (სადიეტრეცია ნაშრომი გაანია ამ უკანასკნელში), ხოლო ენათმეცნიერებაში თვითნაწავალი მკვლევარია, არჩეულია 8 მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, მათ შორის, ერთ-ერთი მათგანის - საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს - პრეზიდენტად და 5 უნივერსიტეტის საპატიო პროფესორად.

ცირა ძაძამია, რომელიც ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორია, არჩეულია 5 მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, მათ შორის, ერთ-ერთი მათგანის ვიცე-პრეზიდენტად და 3 უნივერსიტეტის პროფესორად.

სხვადასხვა დროს მოეწყო მამანტი და ცირა ძაძამიების ზემოდასახელებული წიგნების პრეზენტაცია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის, ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტისა და ზუგდიდის სახელმწიფო კოლეჯის მიერ. წალენჯიხის რაიონული ბიბლიოთეკის მიერ კი სისტემატიურად ეწყობოდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები. ასევე სისტემატიურად აშუქებდა მონაცემებს მათი შემოქმედების შესახებ ტელევიზია „ჯიხა“, მრავალჯერ გამოქვეყნდა მამანტი და ცირა ძაძამიების სტატიები და სხვადასხვა ავტორების რეცენზიები მათი ნაშრომების შესახებ. ჟურნალებში: „აია“, „ცენტრიდელი“ (ფაზისის აკადემიის სამეცნიერო ჟურნალი), „ნენა“ (ლაზების ჟურნალი სტამბოლში), „ზუგდიდელი“, გაზეთებში: „დიოსკურია“ (აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის გაზეთი), „ილორი“, „ამაღლება“, „საგაღდასავალი“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „აგრიული“, „აგრიის მაცნე“, „კოლხური ვერსია“, „რაეო“, „საქართველო და მსოფლიო“, „განმანათლებელი“, „გაღი“...

2008 წლის 29 მაისს, მამანტი ძაძამიას დაბადების დღეს, ქალაქ თბილისში, „ფაზისის“ აკადემიამ, საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ, საქართველოს ეროვნულ და

სოციალურ ურთიერთობათა აკადემიამ, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიამ და გამოცემლობა „ინოვაცია“ ერთობლივად მოაწვეეს განხილვა შვიდტომეულისა: „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმოება“. გაერთიანებულ სამეცნიერო სხდომას ესწრებოდა 300-მდე პროფესორი და აკადემიკოსი. სიტყვით გამოვიდა 32 მათგანი და მთელმა დამსწრე საზოგადოებამ ოვაციების ვითარებაში ერთსულვნად მოიწონა ნაშრომი. ღონისძიების მონაწილეებს წინასწარ დარიგებული ჰქონდათ ბროშურა, რომელშიც მოცემული იყო ცალკეული გამოხმაურებანი შვიდტომეულზე, მათ შორის, რეცენზიები ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორებისა, პროფესორებისა და აკადემიკოსებისა, რომლებიც ღონისძიებაზე მოხსენებებთა და სიტყვებითაც გამოვიდნენ.

აი, ცალკეული მოკლე ამონარიდები მათი შეფასებებიდან და რეცენზიათა დასათავუებებიდან:

„საკაცობრიო მნიშვნელობის ნაშრომი“, „მსოფლიო მნიშვნელობის ნაშრომი“, „გადატრიალება ენათმეცნიერებაში“, „უნიკალური ნაშრომი“, „ტიტანური ნაშრომი“, „უბრუნო ნაშრომი“, „ფანტასტიკური და საკვირველი“, „სტიტანური ნაშრომი“, „წიგნი გიგანტის“, „უდიდესი ქართული საქმე“, „გენიალური ნაშრომი“, „წმინდა ქართული საქმე“, „წიგნი, რომლის მსგავსი ენათმეცნიერებაში არ დაწერილა“, „ნომერ პირველი საოცრება მსოფლიოში“, „სამაგიდო წიგნი“, „წიგნი, რომელზედაც დისერტაციები დაიწერება, რომელზედაც თაბები აღიზრდებიან“...

აღნიშნული და ანალოგიური შეფასებების ავტორები არიან, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები, აკადემიკოსები, ასევე მაღალი წოდების მქონე ისტორიკოსები, ფილოსოფოსები, პოეტები, მწერლები, ჟურნალისტები და სხვანი.

აი, ზოგიერთი მათგანი: ნაპოლეონ ლემონჯავა, ტიტო მისია, ოთარ მიქაშვილი, გიზო ჭელიძე, ჯემალ ჯინჯიხაძე, ციალა მესხია, ჯიბო ლომაშვილი, იაკობ ასუაშვილი, სოგრაბ სალუქვაძე, ალექსანდრე კრავეიშვილი, რევაზ მიშველაძე, კლიმენტი შელია, ნუგზარ ნაღარაია, ვაჟა ეგრისელი, ვლადიმერ რამიშვილი, ვლადიმერ ალფინიძე, შოთა გოგონია, ანზორ შონია, კუკური ფიფია, ვია კვაშილაძე, სიმონ ზაქარაია, ჯემალ ჯიქია, ზურაბ მინდელი, მამა ავთანდილ-გიორგობიანი, რინოს კვარაცხელია, ზურაბ ცხონდია, ჯემალ პაჭკორია, ზურაბ ნაჭყებია, ვალერი კვარაცხელია, გრამიტონ კვარაცხელია, გვანჯი მანია, იოსებ პატარაშვილი, სოსო ხონელიძე, ხეთისო უთუთაური და სხვა.

ბატონი ხეთისო უთუთაური გაზეთ „ილორის“ რედაქტორისა და ილორელებისადმი მიმართვის სახით დაწერილ წერილში, სხვათა შორის, წერს:

„თქვენნაირი მეცნიერები რომ არმეწებს ჰყავდეთ, ახლა მსოფლიო ექნებოდათ შეზანზარებული. მაგრამ მაღლობა ღმერთს, რომ თქვენ შეზანზარეთ ისინი და მთელ მსოფლიოს გადააწვდიეთ ხმა კოლხეთის უძველესი ცივილიზაციისა და ენობრივი სიმდიდრის შესახებ“;

„ადვილი წარმოსადგენია, რამდენად სრულყოფილი ისტორია ექნებოდა ქართველებს, რომ დიდ ივანეს ჰქონოდა ის ინფორმაციები, რაც უკანასკნელი გამოკვლევებით იქნა მოპოვებული მამანტი და ცირა ძაძამიების მიერ „მეგრული ენის ლექსიკაზე და სიტყვათწარმოებაზე“.

ბატონი იოსებ პატარაშვილი გაზეთ „ილორში“ წერს: „...ეროვნული კატასტროფის პირობებში ჩვენს ცნობიერებაში შემოიჭრნენ: უდიდესი მასშტაბის ენათმეცნიერები, მამანტი და ცირა ძაძამიები თავიანთი საკაცობრიო მნიშვნელობის ნაშრომებით“.

ქალბატონებო და ბატონებო! თავს უფლებას ვაძლევ, რამდენადმე გადაუხვიო ძირითად თემას, და ეს იმისათვის, რომ შეგახსენოთ შემდეგი ელემენტარული ჭეშმარიტება:

კაცობრიობის ისტორიაში უხვად არის მაგალითები, როცა მეცნიერების დარგში მიღწეული აღმოჩენები გაგებასა და მხარდაჭერას ვერ პოულობდნენ თანამედროვეებში.

ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემის აღმოჩენი, ყველა დროის უდიდესი

ბუნებისმეტყველი მეცნიერი დიმიტრი ივანეს ძე მენდელეევი 1880 წელს კეჭხ იყრიდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად და იცით რა მოხდა? - არ აირჩიეს, გააშავეს.

თანამედროვე ალგებრის საფუძვლების ერთ-ერთ შემქმნელს, გენიალურ მათემატიკოსს ევარისტ გალუას, რომელიც 21 წლის ასაკში პოლიტიკური მოტივებით პროვოცირებულ დუელში მოკვდა, თავის დროზე ვერაფერი გაუგეს ისეთმა უდიდესმა მათემატიკოსებმა, როგორც ივენდი ფურთი, კოში, პუასანე: არადა, მისი დაღუპვის შემდეგ გაირკვა, რომ გალუას მიერ შექმნილი უმაღლესი ხარისხის ერთეულობიანი განტოლების თეორიის გარეშე ალგებრა, - როგორც მათემატიკის შემსწავლელი ნაწილი, - არ არსებობს.

ეიფელის კოშკი არა მარტო პარიზის მშენებელი, არამედ ზოგადად საინჟინრო აზროვნების, კონსტრუქციის, განაგარების და გადაწყვეტის უნიკალური ნიმუშია.

გინდ დაიჯერეთ და გინდ არა: - მაშინდელი ფრანგი ინტელიგენციის ყველაზე ავტორიტეტულმა წარმომადგენლებმა: შარლ გუნომ, სიური ფრულომ, გი დე მოპასანმა, ალექსანდრე დიუმა და სხვებმა უმკაცრესი საჩივარი დაწერეს: - შეაჩერეთ ეიფელის კოშკის მშენებლობა, ის პარიზს ამახინჯებსო. მსოფლიოს ვოკალური ხელოვნების ისტორიას, ალბათ, ფიოდორ შალიაპინზე უფრო დიდი საოპერო მომღერალი არ ჰყოლია, მაგრამ თავის დროზე ის ეკლესიის მგალობელთა გუნდში არ მიიღეს: - ხმა და სმენა არ გივარგაო.

საუბრის იქითკენ მიმავს ბატონებო, რომ, ჩემის აზრით, მამანტი ძაძამიას მეცნიერული მოღვაწეობის მიმართ არაერთგვაროვან დამოკიდებულებას განსაზღვრავს რამოდენიმე მომენტი:

პირველი: მეცნიერების ერთმა ნაწილმა, არც მეტი არც ნაკლები, - ის უბრალოდ ვერ გაიგო;

მეორე: უფრო სტაიანი, ამბიციურ და კარგი ვაგებით პრეტენზიულ მეცნიერებს ბატონი მამანტის შურთ და ამადაც არიან არა მარტო გაოგნებულნი, არამედ დამწუხრებულნიც.

მოგესხენებათ, სულხან-საბა ორბელიანი: - შური არს მწუხარებაი, სხვისა კეთილსა ზედაო.

მე არა ვარ ის კაცი, რომელსაც ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში შეიძლება ერთი ტექსტი ჰქონდეს ტრიბუნისათვის, მეორე - ქუჩისათვის, მესამე - სუფრისათვის, და მეოთხე, - ვინ იცის, რისთვის;

ამიტომ, ვაცხადებ: ბატონ მამანტის ხელს უშლის მისი მეგრული წარმოშობა.

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში და არა მარტო ისტორიოგრაფიაში, უცერემონიოდ, დაუფარავად და ცუდად შენიღბულად შეუძლიათ თვით ქართული სახელმწიფოებრიობის ნამოყალიბების თარიღი გადასწვინ 1000-1500 წლით, ოღონდ ამ ისტორიაში როგორმე არ გამოჩნდეს კოლხეთის პრობორტე.

ამასთან დაკავშირებით, ახლო წარსულში, ცნობილი მეცნიერი სულმნათი ილია ანთელავა სვამდა ძალზე მარტივ კითხვას:

ციტატის დასაწყისი: „თუ ჩავთვლით, რომ ქართული სახელმწიფო მხოლოდ 2300 წლის წინათ შეიქმნა, მაშინ ის, რაც მანამდე არსებობდა, არ ყოფილა ქართული“.

რომელ სახელმწიფო და ეროვნულ ინტერესებს შეიძლება ემსახურებოდეს ასეთი დასკვნები, პირადად ჩემთვის გაუგებარია“.

(ციტატის დასასრული).

როგორღაც, უკანასკნელ წლებში კოლხოფობიამ და მეგრულოსიძეულიმ ახალი დინამიზმი შეიძინა.

უპასუხისმგებლო და ქარაფშუტა მეცნიერთა ერთი ჯგუფი გააფთრებით ებრძვის ჩვენი სამშობლოს ისტორიის კოლხური იბერიულ ფესვებს, ებრძვის მეგრულ და სვანურ ენებს, რაც, ლოგიკის ძალით, ნიშნავს პირდაპირ თუ ირიბად ამ ენების მატარებელი ხალხების წინააღმდეგ ბრძოლას.

ერთი სიტყვით, იდიოტიზმი და ავანტიურა ამის იქით ვერ წავა. დანარჩენებზე, - სხვა დროს.

(გაგრძელება მე-11 გვერდზე)

სიცოცხლეშივე უკვდავებად და ლეგენდად ქცეული

(გაგრძელება მე-10 გვერდიდან) მამანტი ძაძამია არც მეცნიერებაში და არც პოლიტიკაში შემთხვევითი კაცი არ არის. ჩვენ სხვადასხვა მენტალობის ადამიანები ვიყავით და ამიტომ მასთან განსაკუთრებული სიახლოვე და მეგობრობა არასდროს მქონია, მაგრამ მოვლამ მისმა ცხოვრებამ ჩემს თვალწინ ჩაიარა. ამიტომაც, ობიექტურად, აბსოლუტურად პატიოსნად და მიუკერძოებლად უნდა ვთქვათ:

სკოლის მერხიდან მოყოლებული, ის მართლაც იყო და დღემდე რჩება უნიჭიერეს ადამიანად და ეს ნიჭი მისი ცხოვრების ყველა ეტაპზე გამაგრებული იყო დაუდგარი შრომით.

წლების მანძილზე რაიონის ახალგაზრდობის წინამძღოლად გახლდათ. მამანტი ძაძამიამ თვითონ გამოჭედა თავისი ბიოგრაფია. მას არც გავლენიანი პროტექტორი ჰყოლია და არც ზურგის ქართი ყოფილა განებივრებული.

დიდი ერუდიცია დაანათლა უფალმა და ეს ქარიზმა, ერთის მხრივ, ყოველთვის წარმოაჩენდა, ამავე დროს, გასაგები მიზეზით, დისკომფორტსაც უქმნიდა.

მის ირგვლივ ხვავდებოდა მტრების რიცხვი, მაგრამ დიდი ვაჟა-ფშაველას სიტყვებით რომ ვთქვათ: „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრისა“.

დაიხ! მტრები არასდროს აკლდა, აფერხებდნენ; მის უნარს, შემართებას ასპარეზი არ მიეცა.

და ასეთ დროს მოხდა საოცრება: პოლიტიკურ არენაზე ბლოკირებული, უკვე არც თუ ისე ახალგაზრდა კაცის ნიჭმა, შეიძლება ასე ითქვას, ამოხეთქა; ამოხეთქა ყველასათვის მოულოდნელ ისეთ სფეროში, როგორც ენათმეცნიერება ჰქვია, და ამოხეთქა იმდენად, რომ მამანტი ძაძამიამ სასწაული მოახდინა.

პატონმა მამანტიმ და მისმა ქალიშვილმა მეცნიერული გმობა ჩაიდინეს. ამის არდანახვა მხოლოდ ბოროტ ადამიანს შეუძლია.

პირობითად ვთქვათ: ეს წიგნები კვლევა-ძიების ანუ მეცნიერული მხარის გარეშე, უბრალოდ მარტო მზა მასალა, გადასაწერი

რომ ყოფილიყო, სხვები ამასაც ვერ შეძლებდნენ.

მამანტი ძაძამიამ შესაშური ორგანიზებულიობითა და მიზანდასახულობით გასწია კოლოსალური შრომა. ეს უფრო ფასეულია, როცა მას, ყველაფერთან ერთად, წლების მანძილზე ჯანმრთელობის მხრივ სერიოზული პრობლემები ჰქონდა.

ასეთ პირობებში მის ადგილზე ბევრი დაიბნეოდა, ხელს ჩაიქნევდა, მაგრამ მტკიცე ნათესაოვანი და მიზნის სიციხადემ თავისი საქმე გააკეთეს.

ის არის პიროვნება, სიტყვის საუკეთესო და პირდაპირი გაგებით, ჩვენი სამშობლოს, საქართველოს საამაყო შვილი, მეცნიერი და მოქალაქე, ტრადიციულ და პატიოსან ოჯახში აღზრდილი კაცი.

პატონი მამანტი ყველა საკითხთან მიმართებაში სამშობლოს, სრულიად საქართველოს ინტერესებიდან გამოდის. პოლიტიკური სიმწიფე, დიდი შინაგანი კულტურა და მამულიშვილური გრძობა ამისკენ უბიძგებს.

მეცნიერებასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში ის ქადაგებს ურთიერთპატივისცემას, სამშობლოს სიყვარულს, ქვეყნის გამთლიანებას, ყველა მხარესა და კუთხეს შორის ერთობასა და ძმობას, მაგრამ ძმობასაც ხომ აქვს თავისი წესები და ურთიერთობის ნორმები.

ორჯერ ორი ოთხია და ვისაც არ უნდა მოუდეს საწინააღმდეგოს დამტკიცება. ის არასდროს იქნება ხუთი.

მისი ცხოვრება ისე აეწყო, რომ დღე და მოსწრება დინების წინააღმდეგ უწყვედა სვლა.

ალბათ არ ღირს დავა იმასთან დაკავშირებით, რომ ყველა მაღალი რანგის თანამდებობის პირს, მათ შორის, ცეკას მდივანს, მინისტრს, ცხადია, რაიკომის პირველ მდივანს, ყველაზე განათლებულ, ყველაზე ორგანიზებულ, ყველაზე პატიოსან და ყველაზე ავტორიტეტულსაც კი, ისტორია უმკაცრეს გამოცდას მოუწყობს და ჟამთა წილში ბევრი მათგანის სახელი ისე გაქრება, როგორც ყინულზე დავარდნილი ნაპერწკალი; პირველი მდივნის კარისკაცებისა

და პოლიტიკური გოშეებისა, – მით უმეტეს.

მაგრამ, ჩვენგან, რიგითი მოკვდავებისგან განსხვავებით, მამანტის ახალი სიცოცხლე მისი გადახვლის შემდეგ დაიწყო, რომელიც არასოდეს დამთავრდება. ასეთია უკუდავი ადამიანების ხვედრი.

მას სიცოცხლეშივე აქვს მოპოვებული საპატიო ადგილი ჩვენი ჩვენი რაიონისა და ქვეყნის საამაყო შვილთა გალერეაში. ბატონებო! ჩვენი რაიონის საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ მამანტი ძაძამიას ბიოგრაფიას გვირგვინად ადგას მისი აქტიური მოღვაწეობა ეროვნულ მოძრაობაში. ის იყო და დღემდე რჩება სულმანთა ზეიად გამსახურდიას იდეების აპოლოგეტად.

თითოეულ ჩვენგანს ახსოვს მისი ღრმად დასაბუთებული და მკვნივარე გამოხატულები ეროვნული ხელისუფლების მხარდამტკიცებისთვის.

არავისთვის სიადუმლო არ არის, რომ წარსულის ხელისუფლებას გართულება ჰქონდა ეროვნულ მოძრაობასთან. მისთვის მიუღებელი იყო ყველა, ვინც მეტ-ნაკლებად ჩართული იყო ამ მოძრაობაში.

მაშინ პატონ მამანტი ძაძამიას პიროვნებაში მოიაზრებოდა პოლიტიკური ოპონენტი და ეს სახსრებით საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ არ დაენახათ მისი მეცნიერული მოღვაწეობა და მოეხდინათ მისი სრული იგნორირება.

ამიტომ არც არის გასაკვირი ის, რომ რაიონის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ, არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, ვერ მოიხდინა თუნდაც ერთხელ მოეწყო საზოგადოებრიობის შეხვედრა პატონ მამანტისთან.

არც ისე დიდი ხნის წინათ, თანამედროვე საქართველოს საზოგადოების გამორჩეულმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, მეცნიერმა და მამულიშვილმა, „ფაზისი“-ს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა პატონმა ნუგზარ ნაღარაიამ დაუფარავად და უდიდესი გულსიტყვილით მითხრა:

ციტატა: „უყურადღებობა, რასაც მისი მშობლიური რაიონი იწენს პატონი მამანტი ძაძამიას მიმართ, არც მეტი არც ნაკლები,

დიდი სირცხვილია და არ ეკადრება წაღწევისას“.

დავიდეთ გულზე ხელი და ვაღიაროთ: პატონი ნუგზარი ცამდე მართალი იყო. მაღლობა რაიონის დღევანდელ ხელმძღვანელობას, რომელმაც აღნიშნული ვითარება შეცვალა და ეს დამსახურებული ფართომასშტაბიანი ღონისძიება მოაწყო.

ჩემთვის ზედმეტი იქნებოდა თქმა იმისა, რომ მამანტი ძაძამიამ დახურა ყველაფერი, მაგრამ ის, რომ მან კოლოსალური შრომა გასწია და ფანტასტიკური შედეგიც მოიპოვა, სადღისკენი საკითხი არ არის.

ალბათ დაეჯერება ცნობილ ენათმეცნიერს, პროფესორსა და აკადემიკოსს პატონ ნაპოლეონ ლემონჯავას, რომელიც ბრძანებს:

ციტატა: „ეს წიგნი მამანტი ძაძამიას და მისი ქალიშვილის ცირა ძაძამიას დაწერილი არ გახლავთ. იგი თვითონ ღმერთის მიერ არის დაწერილი. აბა, ადამიანებს როგორ შეეძლოთ ასეთი რამის დაწერა“.

ალბათ დაეჯერება სულმანთ ვლადიმერ ალფინდეს, რომელიც თავის დროზე წერდა:

ციტატა: „ეს მსოფლიო მნიშვნელობის ნაშრომია. მსგავსი ნაშრომი ენათმეცნიერებაში არ არსებობს“.

ცნობილი მეცნიერი, ეკონომისტი, პროფესორი ჯემალ პაჭკორია უფრო კატეგორიულია და ცალსახად აყენებს საკითხს, რომ:

ციტატა: „ეს ნაშრომი უნდა ითარგმნოს სულ მცირე 5 ენაზე და გაიგზავნოს ყველგან, მათ შორის სტოკჰოლმში, ნობელის პრემიაზე, რაც მას უთუოდ არ ასცდებია“.

ღმერთმა აახდინოს მისი ეს წინასწარმეტყველება. ღმერთმა ყველანი გაგვხადოს ამის მოწმენი.

გულითადად გულოცავ პატონ მამანტი ძაძამიას და მის თანაავტორებს ესოდენ დიდ გამარჯვებას, ამ ბრწყინვალე დღესასწაულს და გუსურვებ უღვევ სიხარულსა და ბედნიერებას.

ვალერი ზანტუშია, „აიასა“ და „ფაზისის“ სამეცნიერო აკადემიების წევრი

გამოსათხოვარი...



ადესრულა საცეკვაო ხელოვნების დიდი მასტრო რეზო ბულია... აი, ასე... უცერად, თითქოს მარტივად, მაგრამ ასე ლამაზად პირდაპირ სცენაზე ადესრულდა... სცენა იყო მისი ამქვეყნიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი და აი, ამ სცენაზე ყოველგვარი რეპეტიციის გარეშე მოაწყო საკუთარი გარდაცვალების გასაოცარი მისტერია... ო, არა, არა... იმას არ ვამბობ, რომ ნებაყოფლობით დატოვა ეს საწუთრო... არა, უბრალოდ იმის თქმა მსურს, რომ ის საკუთარ გარდაუვალ გარდაცვალებას მხოლოდ საცეკვაო დარბაზში თუ ინატრებდა და ასეც მოხდა... რა ვქნა, მე ეს ასე მწამს და ასეც მგონია...

სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული რეზო ბულია შეუერთდა ზეცად ამაღლებულ მამულიშვილთა მრავალრიცხოვან კოპორტას... მისი წყონდა სულ აუცილებლად დაიგანებს სასუფეველში დიდებულ წინაპართა შორის... ის აუცილებლად დაიკავებს საპატიო ადგილს კოლხთა უდიდესი და იგავიშუწვდომელი მეფის – აიგტის საფინგოში... დაიხ, მე უდაოდ ასე იქნება... ის აუცილებლად დაიკავებს საპატიო ადგილს კოლხურ-იბერიული როკის ქურუმთა შორისაც... დაიხ, დაიხ, მე ეს ასე მწამს და ასეც მგონია... სამწუხაროდ, ამ ქვეყნად იშვიათობაა, რომ ზეგარემო ნიჭი შემოქმედისა და სულისკვეთება მამულიშვილისა – შერწყმული იყოს ერთ ადამიანში... პატონი რეზო ბუ-

ლია ამ თვალსაზრისითაც ნამდვილად იშვიათთაგანი იყო... ამ ბუმბერაზ ადამიანში ეს ყველაფერი საოცრად იყო სინთეზირებული...

რეზო ბულია... ცეკვის ჯადოქარი... ქორეოგრაფიის კორიფე... კაცი ლეგენდა... ჩემი სისხლის და გუნის როკად გარდასახული კადნიერება... მითაჟამინდელ ქართველებს გამოეწვეული და ისტორიული ბედუკულ-მართობით დამცრობილი, დაკინებულნი ჩემი ეთნოსის ჯერ კიდევ არსებობის ერთგვარი სიმბოლოც თუ გნებავთ...

და, აი, დასრულდა სააქოს სტუმრობაც და სულ მაღე, ორიოდ დღეში, თახაშხას, მისი სათაყვანებელი მარგალიონას მიწამ მისი დადლილი სხეული გულში ჩაიხუტა... ხოლო, სული კი, ზეცად აფრენილი უკვდავი სული მუდამაქვამს მანც მისი მშობლები ხალხის თანამდევნი იქნება... მე ეს ასე მწამს და ასეც მგონია...

ნურგინ იტყვის, რომ სენტიმენტები დამემდა... ახლა, თხრობა მაქვს ჩემს ძვირფას უფროს მეგობართან, ჩემს რეზო ბულიასთან... პოდა, მის და ჩემს მშობლიურ ნანაშ ნინაზე – მეგრულ ენაზე მსურს მას მივმართო:

პატენი რეზო... ლემა მიღუა იდენტობაში გინასქლიდაფარო... თქვა დო მა ათეშენი ბრელშა მიხიებუნა ართო... ვავორექ ორაკული მარა კარაკანო ვორწყექ წოხელე უოსი კონწარი ბორჯი მეღანა... ქომრავადეთ კნონონეშა, ნამდა – ვემმორტუნანი თაქი დოსქლადირეფი დო ვათანმარურე უსამართობაშეკმა ლემას ასქლადირეფი... უინი ქიანაშე მოხვარა მოკონა დო გემანგარანი... ათენა მიღუ ოთხირო დო იმენდი მიღუ უკული აკა დლა იტი, თექი, ოშურეთის აკოლხეადირეთ ართიანც... ჩხონაფილო ქოლოფიდათ ჩქიმი ოფოროფე პატენი რეზო...  
ზურაბ კვარაცხელია, ზუგდიდი

ლია რუსიაში: ჯადოსნური ბომონები წმინდა მამათა სწავლებით უნდა ღავამხოთ!

გასულ საუკუნეში მღვდელ-მონაზონი სერაფიმ როუზი ასე აფრთხილებდა ადამიანებს: „ბავშვებს უკვე აღარც ზრდიან. თავად ის იდგა, რომ ისინი უნდა აღეზარდოთ განსახლებული სულისკვეთებით და პრინციპებით – არ არსებობს. ისინი თავისთავად იზრდებიან, გარემომცველი სამყაროს, ყოველგვარი გაფლანგის ქვეშეცვევიან და შედეგად რაღაც ძალიან არასერიოზულს ვიღებთ. ესაა მთავარი მიზეზი იმისა, რომ როცა ბავშვები გაიზრდებიან, მრავალი მათგანი უბრალოდ ჭეუიდან იშლება, ეზიარება სხვადასხვა ველურ და საშინელ რელიგიას, ხდება ნარკომანი, დამნაშავე და უამრავ უაზრო საქციელს სწადის...“

50 წლის წინ ამერიკაში დაწერილი ეს სიტყვები, ზუსტად მიანიშნებს იმ საშიშროებაზე, რაც ემუქრება მშობლების და ოჯახის ყურადღების გარეშე დარჩენილ მომავალ თაობას – თუ არ გამოინახათ დროს ბავშვებისთვის, რათა მათ შეიმეცნონ უმთავრესი სულიერი ღირებულებები, თუ თავს ინუგუმებთ იმით, რომ ბევრს მუშაობთ და ძალა აღარ შეგწევთ მათთან საკონტაქტოდ და სინდისს დაიმშვიდებთ, რომ ამას ისევ შვილების კეთილდღეობისთვის აკეთებთ, აი, მაშინ, მათ თქვენს ნაცვლად სწორედ ის გარემო აღზრდის, რომელზეც საუბრობდა სერაფიმ როუზი. და რაც მშობლებს ეგრა და, ბოროტ დედინაცვლობას კი ნამდვილად გაუწეებს ბავშვებს.

რით უნდა დაუპირისპირდეს საქართველოს-ნაირი, უდიდესი კულტურულ ტრადიციებს მოწყვეტილი და გლობალისტურ დუდუქზე გადაწვობილი ქვეყანა ამ ყოველისმომცველ აპოკალიფსურ ტემპს?

რით უნდა გადაიარჩინოს საკუთარი ღირსება, თვითმყოფადობა, ეროვნული სახე, ზნეობა და მორალი?

რედა თქმა უნდა, ისევ და ისევ, მართლმადიდებლურ, ტრადიციულ კულტურაზე გაასმაგებული ზრუნით. ამ თვალსაზრისით საბავშვო მწერლობა ერთერთი უპირველესი სფეროა. „სალი კოლხელის“ წერაც სწორედ იმ მიზნით დაიწყო, რომ აღმდგარიყო ჩატეხილი ხიდი მშობლობისა და შვილების შორის და საღამოობით ერთად წაეკითხათ, ეაზროვნათ, ემსჯელოთ იმ მოვლენებზე, რაც პატრიარქული ისტორიების პარადელურად აღწერილია წიგნში. საკითხში გარკვევის მიზნით მოვიხმობ მცირე

ამონარიდს პუბლიცისტ ზეიად ნოდიას ცნობილი წერილიდან – „არა ჩვენთა, არამედ ქრისტე ღმერთითა...“: „სალი კოლხელში“ ჯადოქრული ეპიზოდები იმიტომაც აღწერილი, რათა გვახსოვდეს და ფხიზლად ვიყოთ, რომ მართლაც არსებობს ბოროტი ძალები. იგი მხოლოდ ზეპირად და წერილობით გადმოცემებში როდი გვხვდება, არამედ, პირად ცხოვრებაშიც, რის მიმართაც შესაბამის მზახობას უნდა ვავლენდეთ. ჯადოქრული ეპიზოდების ჩვენება სწორედ იმისთვისაა საჭირო „სალი კოლხელში“, რომ განსხვავება მასსა და „მარი პოტერს“ შორის თვალნათელი შეიქმნას, რათა მოზარდმა გასაგებდ და წამოიღებინოს და გააცნობიეროს კეთილი ძალისა და ბოროტი ძალის სხვაობა, გააცნობიეროს ისიც, რომ ბუნებაში არ არსებობს „კეთილი“ და „ბოროტი“ ჯადოქარი, რადგან ჯადოქრობა ბოროტისგანაა, რომ კეთილი და მართალი უნდა ეძებოს და ისწავლოს ღმერთში, მის ეკლესიასა და მის ხალხში, რომლებიც სამართლიანად იბრძვიან და იმარჯვებენ ბოროტზე და რომ დეტის სასწაული არ აერთის ეშმაკის ცრუსასწაულში და საერთოდ, ქრისტიანული ცხოვრების წესის მაგიერ სხვა, დამღუპველი ცხოვრების გზა არ აირჩიოს...

„სალი კოლხელში“ ჯადოქრობა განიხილება როგორც ფაქტი, როგორც ბოროტება, რომელიც იოლადაა დასაძლევად ქრისტიანობით, რამეთუ სწორედ ქრისტეა ეშმაკის და ჯადოქრების დამთრგუნველი და ასევე მისი წმინდანები, რომლებიც ამგვარ მოვლენებს დეტის შემწეობით ააშკარავენ და ამარცხებენ. აქვს თუ არა მწერალს უფლება, რომ ასახოს ასეთი ამბები? ცხადია, აქვს კი არა, მოვალეცაა, რომ აღწეროს ქრისტიანობის ბრძოლა ეშმაკეულობასთან! როგორც წმინდა მოხსეს, დეტის კაცს მოუწყვეს ეგვიპტელმა მოგვებმა ცრუსასწაულები, მაგრამ ვერ აჯობებს და პირუკუ, დეტის კაცმა დაამარცხა ეშმაკის ქურუმები, ასევე, ამ წიგნის მიზანია დაანახოს მკითხველს, როგორ ამარცხებს ღმერთი და მისი წმინდა ეკლესია სატანას და მის ჯადოქრულ ძალებს. აი, ამ სადღოთ ძალას უწევს „სალი კოლხელი“ პოპულარიზაციას განსხვავებით „მარი პოტერისგან“, რომელმაც პირიქით, ღმერთს ძალას გაუწია პოპულარიზაცია და რის შედეგადაც, უამრავი მოზარდი სატანისტო რიგებში გაწვერიანდა...

კახა სხარაძე მკითხველებს პასუხობს



საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი ყოფილმა მწვრთნელმა კახა სხარაძემ "ინტერნეტკონფერენციაში" მკითხველთა შეკითხვებს უპასუხა.

ინტერნეტკონფერენცია დაწყებული იყო, როდესაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა ცხადადესთან კონტრაქტის გაწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო... არსებული ინფორმაციით, საკითხი საბოლოოდ მხარეთა შეხვედრის შემდეგ უნდა გადაწყდეს.

შესაბამისად, მაშინ კახა ცხადადე მკითხველთა კითხვებს ეროვნული გუნდის თავაკაცის რანგში უპასუხა.

მკითხველი: ბატონო კახა, გარედან ჩანს, რომ თუ ნატურალიზება საჭირო, მცველებზე მეტად ნაკრებს თავდამსხმელის პრობლემა აქვს. ამის თაობაზე მინტერესებს თქვენი აზრი.

ნატურალიზებას გარკვეული პირობები სჭირდება. მაგალითად, ფეხბურთელი გარკვეული წლები უნდა თამაშობდეს საქართველოში. რენე ფერერი უკვე სამი წელია, რაც აქ თამაშობს და სწორედ ამიტომ წამოგვიყვანეს ეს თემა. ის კარგი მცველია და ვფიქრობ, ნაკრებს გამოადგება.

მკითხველი: მინტერესებს, რას ფიქრობთ თბილისის "დინამოს" ფორვარდ გიორგი ქვიციანიძისაზე. როგორ დაახასიათებდით ამ ფეხბურთელს?

გიორგი ქვიციანიძემ ძალიან მოუმატა და, ჩემი აზრით, თუ ასე გააგრძელებს, აუცილებლად დაიმსახურებს ეროვნულ ნაკრებში გამოძახებას.

მკითხველი: შეუძლია თუ არა ჩვენს ნაკრებს ორი თავდამსხმელით თამაში?

ჩვენ ბევრი კარგი შემტევი ნახევარმცველი გვყავს, ამიტომ, მათი სასტარტო შემადგენლობაში გამოყენება სჯობს. მეორე ფორვარდი შეიძლება გამოიყენოს სხვა სქემაში, კერძოდ 5-3-2-ში.

მკითხველი: რას ურჩევდით ახალგაზრდა ფეხბურთელებს: თავად სცადონ უცხოეთში წასვლა ადრეულ ასაკში თუ ჯერ საქართველოს ჩემპიონატში მოსინჯონ ძალები და შემდეგ იფიქრონ წასვლაზე?

ყველა ფეხბურთელმა ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა იაროს, გაიაროს ყველა ეტაპი და მხოლოდ შემდეგ იფიქროს უცხოეთში წასვლაზე.

მკითხველი: იცნობთ თუ არა გუჯარატი მთავარი ნაკრებისათვის შემუშავებული ენერჯის მინიმალური დანახარჯით სირბილის სწავლების მეთოდს "ფიზიომომზადება დატვირთვის გარეშე 47+5" და აბირებთ თუ არა მის გამოყენებას?

ეროვნულ ნაკრებში ექსპერიმენტები დაუშვებელია. გუჯარატი აღნიშნული სირბილის მეთოდი ჯერ რომელიმე გუნდში უნდა მოსინჯოს.

მკითხველი: საქართველოს ეროვნული ნაკრების წინა ხაზში, დღეს ვინ მიგაჩნიათ ნომერ პირველ თავდამსხმელად, ან მთავალში ვის შეეძლება თუნდაც მიუახლოვდეს შოთა არველაძის ნაკრებში გატანა გოლების მანერებზე?

დღეს საუკეთესო ქართველი ფორვარდები ლევან მჭედლიძე და მათე ვაწაძე არიან.

მკითხველი: გამარჯობა ბატონო კახა, მინტერესებს თქვენი აზრი გიორგი არაბიძისთან დაკავშირებით, არის თუ არა იგი მზად ეროვნული ნაკრებისთვის? გმადლობთ.

გიორგი არაბიძე ძალიან პერსპექტიული ფეხბურთელია და უახლოეს მომავალში ის აუცილებლად გახდება ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი.

მკითხველი: მინტერესებს, თქვენი აზრით, რესურსიდან და ჩვენი ნაკრების მდგომარეობიდან გამომდინარე, რეალურად რა იქნება ნაკრების მიზანი ჯგუფში?

ჩვენს ქვეჯგუფში ჩვენს ეროვნულ ნაკრებს მეორე ადგილისთვის ბრძოლა შეუძლია.

მკითხველი: სტადიონი დაანგრევეს,

ფეხბურთში ერთიანობა არ არის, სახელმწიფოს არ აინტერესებს ბავშვების ბედი... როგორ მოვაბრუნოთ ბავშვები ფეხბურთისკენ, ანუ რითი დამარწმუნებლით, რომ ღირს ფეხბურთზე ბავშვის მიყვანა?

თუ ბავშვს ფეხბურთი უყვარს, ის აუცილებლად უნდა მიიყვანოს ფეხბურთზე.

მკითხველი: გამარჯობა ბატონო კახა, საინტერესო იქნებოდა თქვენი ტაქტიკური სქემის დეტალური განხილვა.

დიდი ხანია 1-3-4-3 სქემით ვთამაშობ და ის როგორც შეტევაში, ისევე დაცვაში ძალიან ეფექტურია. ამის ასხნა ძალიან დიდ დროს მოითხოვს. ვფიქრობ, რომ ეს ჩვენი ნაკრებისთვის ოპტიმალური სქემაა, თუმცა აქვე დაგამატებ, რომ ნაკრები მეორე სქემასაც საჭიროებს.

მკითხველი: შემტევი ფეხბურთელებიდან მარტო ვაკო ყაზაიშვილი არის სტაბილურად ძირითადში, დანარჩენები კი ან საერთოდ არ თამაშობენ, ან 15-20 წუთით. არ მიგაჩნიათ, რომ ეს დიდი პრობლემაა?

დაახლოებით მნიშვნელოვანია, რომ ნაკრების ფეხბურთელს ჰქონდეს სათამაშო პრაქტიკა. თუ ის თავის გუნდში არ თამაშობს, ის ფიზიკურად ვერ გაძლებს 90 წუთს, სამწუხაროდ.

მკითხველი: ბატონო კახა, ხომ არ თვლით, რომ ალექსანდრე იაშვილს ერთ-ერთ უახლოეს ამხანაგურ თამაშში, რომელიც თბილისში გაიმართება, ეკუთვნის გამოძახება და ღირსეული გაცილება ნაკრებიდან?

ალექსანდრე იაშვილს "გიორგი-ტან" შეხვედრისას, ძირითად შემადგენლობაში თამაში შევთავაზებ, თანაც კაპიტნის სამკლავურით. სამწუხაროდ, მან თავი შეიკავა. მე მას დიდ პატივს ვცემ, იაშვილი პროფესიონალიზმის მაგალითია.

მკითხველი: მინტერესებს, რა კრიტერიუმებით ათამაშებთ ნაკრებში უჩა ლობჯანიძეს?

უჩა ლობჯანიძე ყველაზე გამოცდილი მარჯვენა მცველია დღეს, მაგრამ, მე ვთვლი, ძალიან მალე მას კონკურენციას ოთარ კაკაბაძე გაუწევს.

მკითხველი: როგორც ცნობილი გახდა, თქვენი დაგეგმვაში გიორგი პაპუნაშვილის თამაშს ვენის "აუსტრიასთან". როგორ მოგეწონათ მისი თამაში და თქვენი აზრით,

რამე უნდა იმუშავოს გიორგიმ ყველაზე მეტად?

გიორგი პაპუნაშვილს დრო სჭირდება, რომ ფუნქციონალურად მოუმატოს.

მკითხველი: ბატონო კახა, 21 წლამდე ფეხბურთელებზე რომ შემოიღეს კანონი, მინტერესებს, გაქვთ თუ არა ინფორმაცია საჩხერის "ჩიხურაზე", სადაც ახალგაზრდა ფეხბურთელს აბსოლუტურად ყველა თამაშში მე-16 წუთზე ცვლიან?

ჩვენ აღნიშნული გადაწყვეტილება იმიტომ მივიღეთ, რომ ახალგაზრდებს თამაშის საშუალება მისცემოდათ და არა იმიტომ, რომ მატჩის მე-16 წუთზე გამოცვალონ. ეს დაუშვებელია!

მკითხველი: თქვენი აზრით, რომელ პოზიციაზე უჭირს საქართველოს ნაკრებს?

ყველა პოზიციაზე გვჭირდება ფეხბურთელი. ამით, კონკურენცია გაიზრდება ნაკრებში. კონკურენცია კი თამაშის დონეს ამაღლებს.

მკითხველი: ადრეულ ასაკში ახალგაზრდა ფეხბურთელები საზღვარგარეთ რომ მეორეხარისხოვან გუნდებში მიდიან, ხომ არ აჯობებს, დაწესდეს ასაკობრივი შეზღუდვა საზღვარგარეთ წამსვლელ ფეხბურთელთათვის 21 წლამდე, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, რომლებმაც ტოპ-კლუბებს ვგულისხმობ?

ეგ საკითხი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან და ამიტომ, მათი გადაწყვეტილებაა, რომელ რეგულაციებს შემოიღებენ.

მკითხველი: ახალ შესარჩევ ციკლს ვიწყებთ, პროგრამა მინიმუმით – ჯგუფში მესამე ადგილის დაგეგმვით, რომელსაც ჯგუფიდან ვერ გაგყავართ. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ასეთი ამოცანის დასახვა ეროვნული ნაკრებისთვის თვითდასრულებად უნდა იქნას და ჩვენ მორალურად უკვე თავიდანვე განწირულებივართ ჯგუფში ჩასარჩენად?

როცა ეროვნულ ნაკრებთან კონტრაქტი გაავლორძე, მაშინ არ ვიცოდი, თუ როგორი ჯგუფი შემხვდებოდა მომავალში, ამიტომაც ვთქვი, რომ მეექვსე კალათიდან, მინიმუმ, მესამე ადგილისთვის ვიბრძოლებდი, მაგრამ როცა გავიგე ჩვენი მეტოქეების ვინაობა, ვთქვი, რომ ჯგუფში მეორე ადგილისთვის ბრძოლა შეგვიძლია.

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის ნიგნ "ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომიანი გამოცემა



უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველინკოს წიგნი "პამპასი", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში. წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალალანია და ნუგზარ გოგუა. თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374

ქმარი ტელევიზორში კაშიროესკის სენსს უყურებს და ამბობს: – რა გქნა, მაგის არ მჯერა! – და ეკრანს ცერა თითს უჩვენებს. თითი სამჯერ გაეზრდა. კაცი შოკშია, ქალიკი მშვიდად ეუბნება: – ჯობდა, რამე სხვა გეჩვენებინა! \* \* \* თებრო და მარო ჭორაობენ: – ჩემი მეზობელი მიტუაი კაბის ქვეშ ხელს შემეყოფს ხოლმე და რაღაცას ფაფურებს... – ფრთხილად იყავი, ქა, ფულს ჩუქის ყელში ნუ ინახავ! \* \* \* მეგრელი კაფეში შევიდა. – სუპი მომიტანეთ. ცოტა ხანში ოფიციატს ეძახის: – ეგი სუპია თუ ჩაი? თუ სუპია, მარტილი მომიტანე, თუ ჩაი – შაქარი! \* \* \* ქუთაისელი ლუგრს ათვალეურებს. – ნახატებს ხელით ნუ ეხებით! – აფრთხილებს თანამშრომელი. – რა უჭირს, დაია, აქედან რომ გავაღო, ხელს დავიბან...

სახალხო მკურნალთა მოუამო ოფისი... მკურნალთა კოორდინატორები: თელავი, სოფელი შალაში, ბაბ-ნიძე ბიძიძე (ფონი 593-22-66-51) თბილისი, აჭყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.